საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 დეკემბერი **ორშაბათი** 2011
№292 (13589) ფასი 80 თეთრი




12

# შორია, მაინც რა შორია... BARCELUNA



## რეალიც ბარსას არეალშია

7



# მოსალოდნელი მოულოდნელობა

## კახა კალაძე ნაკრებს დაემშვიდობა



კახა კალაძე საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს, – ამის შესახებ ჩვენი ეროვნული გუნდის კაპიტანმა გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, "ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე განაცხადა.

საკუთარი გადაწყვეტილების მიზეზებზე კალაძეს ბევრი არ ულაპარაკია და თქვა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მისთვის იოლი არ იყო. *„ჩემი გადაწყვეტილებით დღეს ის ადამიანები გაიხარებენ, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა"*, - ესეც კახას სიტყვებია, მაგრამ არ დაუკონკრეტებია, თუ ვის უნდოდა მისი ნაკრებიდან წასვლა.

15-წლიან სანაკრებო კარიერაში კალაძემ ეროვნული გუნდის ფორმა 83-ჯერ მოირგო, 50-ჯერ კი ნაკრებს კაპიტნის ამპლუაში გაუძღვა მოედანზე.

თბილისს კალაძესთან ერთად მისი დიდი ხნის მეგობარი, უკრაინელი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკოც ეწვია.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

11.12. ქუთაისი. ტორპედო. 4 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 3 |
| მეტალურგი | 0 |

1:0 გოცირიძე (6), 2:0 თარხნიშვილი (46. გოცირიძის პასით), 3:0 გამეზარდაშვილი (52. ბოლქვაძის პასით)

| ტორპედო 4-4-1-1 | მეტალურგი 4-4-2 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | ბედიაშვილი |
| დ. ფოფხაძე | მახვილაძე |
| ს. თოდუა | კვახაძე |
| გამეზარდაშვილი | გ. კვარაცხელია |
| გურული | ჯაფარიძე |
| დოლიძე | ქავთარაძე |
| გ. დათუნაიშვილი | დობროვოლსკი |
| დილმელაშვილი | რაზმაძე |
| თარხნიშვილი | მაისურაძე |
| გოცირიძე | ტატანაშვილი |
| დ. ბოლქვაძე | მოდებაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| გ. გეგუჩაძე | კ. ჟორჟიკაშვილი |

**ტორპედო**

63. ბოლქვაძე - **კუხიანიძე**
66. გოცირიძე - **მეგრელაძე**
76. დილმელაშვილი - **იოსელიანი**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, დ. ჯანელიძე, საბანაძე*

**მეტალურგი**

45. ჯაფარიძე - **მიქაბერიძე**
56. მოდებაძე – **გენაძე.**
69. ქავთარაძე - **პავლიაშვილი**

სათადარიგოები: ბათიაშვილი, გავაშელიშვილი, ჩადუნელი, ჭედია

გაფრთხილება: დილმელაშვილი (19), რაზმაძე (31), ტატანაშვილი (43), დობროვოლსკი (45), თარხნიშვილი (90).

არბიტრი: ლ. სილაგავა



ქუთაისელები გამარჯვებას ზეიმობენ

# ინდუსტრიას არა, მაგრამ, ქუთაისში ტორპედოს აშენებენ

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა, მოულოდნელი ქუთაისელთა დიდი ანგარიშით გამარჯვება იყო.

**გია გეგუჩაძის** მისვლის შემდეგ "ტორპედო" გადასხვაფერდა, გამოცოცხლდა და ისე ათამაშდა, მეტოქეებს გამკლავება უჭირთ. ამჯერად ქუთაისელებმა რუსთაველებთან მოიპოვეს დამსახურებული გაიმარჯვება.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი რეალური საგოლე მომენტიც მათ შექმნეს: მე-5 წუთზე **გოცირიძის** თავური **ბედიაშვილმა** მუშტებით მოიგერია. თუმცა მალევე რევაზმა მაინც გაიტანა: **გრიგოლ დოლიძის** ჩაწოდებული ბურთი საჯარიმოში მიიღო, მცველები ახლოს არ გაიკარა, შემოტრიალდა და ზუსტად დაარტყა - 1:0.

მე-12 წუთზე მეკარესთან პირისპირ დოლიძე გადიოდა, მაგრამ ბურთი ვერ დაიმორჩილა.

36-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს **დავით დილმელაშვილმა** თავი შეაგება, მაგრამ ბედიაშვილმა ისევ იმარჯვა.

ერთ წუთში გოცირიძემ ორთაბრძოლისას **ლაშა ჯაფარიძეს** ცხვირი გაუტეხა და რუსთაველთა მცველმა მოედანი ნაადრევად დატოვა. რუსთაველები მასპინძელთა ფორვარდის დასჯას ითხოვდნენ, მაგრამ **ლაშა სილაგავა** ეპიზოდში კარგად ვერ გაერკვა.

ჯაფარიძის არყოფნაში კაცნაკლული "მეტალურგები" შეცდნენ, დოლიძის წამოწყებული შეტევა გოცირიძემ გააგრძელა, **თორნიკე თარხნიშვილი** მოძებნა, რომელაც ზუსტი დარტყმით ანგარიში 2:0 გახადა.

რუსთაველები მოიშალნენ და მეორე ნახევრის დასაწყისში მესამე გოლიც მიიღეს: 51-ე წუთზე **დავით ბოლქვაძემ** საჯარიმო დაარტყა, რუსთაველმა მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს, რითაც მეკარის საჯარიმოსთან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **დავით გამეზარდაშვილმა** ისარგებლა - 3:0.

68-ე წუთზე მასპინძლებს უფრო სოლიდური სხვაობით დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ **გია მეგრელაძის** სახიფათო დარტყმა ბედიაშვილმა მოიგერია.

რუსთაველები პრესტიჟის გოლის გატანას ცდილობდნენ, მაგრამ 78-ე წუთზე **დიმიტრი ტატანაშვილის,** 88-ეზე კი **ირაკლი მაისურაძის** გარჯა უშედეგო გამოდგა და "ტორპედომ" დამსაუხრებულად გაიმარჯვა.

**მატჩის შემდეგ**

**კობა ჟორჟიკაშვილი** ("მეტალურგი"): „შეხვდრა ცუდად დავიწყეთ, გოლი მივიღეთ, მერე იყო ჯაფარიძის ეპიზოდი, რომელზეც რეაგირება არ ყოფილა და სწორედ ამას მოჰყვა ჩვენი შეცდომა და მეორე გოლი. ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა კი შეუძლებელი აღმოჩნდა."

**გია გეგუჩაძე** („ტორპედო"): „ძლიერი მეტოქე გვყავდა, რომლის თამაშსაც კარგად გავეცანით, ბიჭებმა კი დავალება ჩინებულად შეასრულეს".

**მერაბ მამულაშვილი**
ქუთაისი-თბილისი



თენგიზ ჩიკვილაძე

# ჩიკვილაძეს ახალი კლუბის მოძებნა ურჩიეს

როგორც შევიტყვეთ, ქუთაისის „ტორპედო" მეორე წრის ბოლოს **თენგიზ ჩიკვილაძეს** შეელევა. ქუთათურთა თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** ფეხბურთელს ამის შესახებ უკვე აცნობა და მას ახალი კლუბის მოძებნა ურჩია, თუმცა სეზონის დასრულებამდე ფეხბურთელი გუნდში დარჩება და ივარჯიშებს.

გეგუჩაძემ გამოსაცდელი ვადა მისცა თავდამსხმელ **გია მეგრელაძეს.** როგორც ჩანს, „ტორპედოს" თავკაცი შეგირდების გარჯით უკმაყოფილოა და შემადგენლობის გადახალისებას გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ ჩიკვილაძე ქუთაისში **ნესტორ მუმლაძემ** წაიყვანა 2009 წელს, მას შემდეგ, რაც „ტორპედო" „ვისოლის" მფლობელობაში გადავიდა.

**მაგდა კლდიაშვილი**

# მონდომება დაუფასდათ

11.12. თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 2 |
| გაგრა | 1 |

0:1 ჯერემია (13, ჯიშკარიანის პასით), 1:1 შალამბერიძე (49, პენალტით), 2:1 მაისურაძე (63).

| სპარტაკი 4-2-3-1 | გაგრა 4-4-1-1 |
|---|---|
| ძაგანია | ბეგაშვილი |
| თიბილაშვილი | ხუციძე |
| ტეტუნაშვილი | ტყეშელაშვილი |
| ბოიომო | კალანდაძე |
| ნ. მაისურაძე | ჯგერენაია |
| ვ კილასონია | გაბედავა |
| თ. შონია | ნაკონეჩნი |
| შალამბერიძე | ყურულაშვილი |
| ჯიქია | ჯიშკარიანი |
| შარაშენიძე | შარიქაძე |
| მეტრეველი | ჯერემია |
| მწვრთნემლი: | მწვრთნელი: |
| ვ. ხაჩიძე | ზ. ჯელაძე |

**სპარტაკი**

46. კილასონია — **მამუჩიშვილი**
82. ჯიქია — **ბურძენაძე**
89. შარაშენიძე — **დ. გელაშვილი**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ლობჯანიძე, დეკანოიძე, მერეჩკო*

**გაგრა**

65. ყურულაშვილი — **ზ. ჩხეტიანი**
70. ნაკონეჩნი — **კვანტალიანი**
84. ხუციძე — **ზვიადაძე**

*სათადარიგოები: მაღრაძე, ჭკუასელი, ხოჯაშვილი, სიჭინავა*

გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (49), კვანტალიანი (73)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

ზედიზედ მესამე გამარჯვება და „სპარტაკიც" საუკეთესო რვა გუნდშია! **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა გუშინ უმნიშვნელოვანესი მატჩი მოუგო თავის ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს „გაგრას" და სატურნირო ცხრილში ადგილიც „გაუცვალა". არც ის იყო უმნიშვნელო ფაქტი, „სპარტაკმა" წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ თამაში რომ შემოაბრუნა: შესვენების შემდეგ მასპინძლები ბევრად უფრო მოტივირებულნი ჩანდნენ და საბოლოოდ, ეს მონდომება დაუფასდათ. აი, რაც შეეხება „გაგრას", ამ ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელობა კი ნამატჩევს უკმაყოფილებას არ მალავდა მსაჯობის გამო, თუმცა სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ.

... მატჩის პირველივე სახიფათო მომენტი გოლით დასრულდა: მარცხენა ფლანგზე **ნიკა ჯიშკარიანმა** იაქტიურა, რომლის გადაცემის შემდეგაც **ჯონი ჯერემია** „სპარტაკის" მეკარესთან, ფაქტობრივად, პირისპირ აღმოჩნდა და ახალგაზრდა ნიგერიელმა ფორვარდმა ზუსტად დაარტყა. „სპარტაკს" ერთ წუთშივე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ **თეიმურაზ შონიას** შორეული დარტყმა **გიორგი ბეგაშვილმა** მოიგერია, მერე კი, კუთხურის შემდეგ, **ბადრი ტეტუნაშვილმა** გააცუდა ხელსაყრელი მომენტი. „სპარტაკი" არ ეპუებოდა წაგებას და მარჯვენაფლანგელი **კობა შალამბერიძის** აქტიურობით **რევაზ ჯიქიას** ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ უშედეგოდ. პირველი ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა ერთ ეპიზოდში მასპინძლები აშკარა გოლს გადაურჩნენ: ვერცხლისწყალივით მოძრავი ჯონი ჯერემია კიდევ ერთხელ დაუსხლტა მეურვეებს, მაგრამ ხეირიანად ვერც თვითონ დაარტყა და ვერც **ლევან შარიქაძემ.**

არანაკლებ საინტერესოდ წარიმართა მეორე ტაიმიც და მატჩის საბოლოო შედეგზე სპარტაკელთა სწრაფმა გოლმაც დიდი გავლენა იქონია. სწორედ ამ ეპიზოდს აპროტესტებდნენ მატჩის შემდგომ „გაგრას" ხელმძღვანელებიც. სტუმართა საჯარიმოში რევაზ ჯიქიას წინააღმდეგ წესები დაირღვა, მაგრამ ბურთი „სპარტაკის" კაპიტანს **თეიმურაზ შონიას** დარჩა, ვინც ზუსტადაც დაარტყა. თუმცა გოლი არ ჩათვლილა — მანამდე მსაჯის სასტვენი გაისმა; სხვათა შორის, თავდაპირველად ტრიბუნებზე მყოფთა უმრავლესობას (ისე, როგორც „გაგრას" ფეხბურთელებს) გვეგონა, რომ პენალტი კი არა, სტუმართა სასარგებლოდ ჯარიმა ინიშნებოდა (არბიტრის ჟესტიკულაციდან გამომდინარე). თუმცა, არბიტრმა სტუმართა ფეხბურთელს ყვითელი ბარათი უჩვენა და პენალტიც დანიშნა, რომელიც უნაკლოდ და ერთობ ეფექტურად კობა შალამბერიძემ შეასრულა. ეს უკანასკნელი მთელი მატჩის განმავლობაში აქტიურობდა, ისევე როგორც ამპლუაშეცვლილი **ნიკოლოზ მაისურაძე,** რომელიც უკვე მეორე მატჩია მარცხენა მცველის პოზიციაზე ასპარეზობს. მაისურაძემ გუშინ შთამბეჭდავი მეორე ტაიმი ჩაატარა: ჯერ იყო ჩინებული შორეული გადაცემით რევაზ ჯიქია გაიყვანა დასარტყამ პოზიციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა „გაგრას" ახალგაზრდა მეკარეს გიორგი ბეგაშვილს ვერ აჯობა. თუმცა, ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იყო გასული, მაისურაძემ ჩინებული გოლი რომ გაიტანა: ეფექტური დრიბლინგით ჯერ ორ მეურვეს გასცდა, მერე კი საკმაოდ მახვილი კუთხიდან ზუსტად და ძლიერად დაარტყა! ამ ორი ეპიზოდის გარდა მაისურაძის ორი ჩინებული გადაცემაც უნდა აღვნიშნოთ, რის შემდეგაც **ზვიად მეტრეველსა** და ბადრი ტეტუნაშვილს უაღრესად ხელსაყრელი მომენტები შეექმნათ. საერთოდაც, მეორე ტაიმში სახიფათო მომენტი მრავლად ვნახეთ: ერთ ეპიზოდში შონიამ ვერ მოახერხა გოლის გატანა (კვლავაც ჩინებულად ითამაშა ბეგაშვილმა), აი, „გაგრას" ნიგერიელი ლეგიონერი ჯონი ჯერემია კი, სულ მცირე, სამჯერ აღმოჩნდა უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ ვერც ერთხელ ივარგა.

**გია ტუხაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 15 | 11 | 2 | 2 | 30 | 14 | 35 |
| 2 | ტორპედო | 16 | 11 | 1 | 4 | 23 | 11 | 34 |
| 3 | დინამო | 16 | 10 | 3 | 3 | 32 | 15 | 33 |
| 4 | მერანი | 15 | 8 | 2 | 5 | 19 | 16 | 26 |
| 5 | მეტალურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 20 | 18 | 26 |
| 6 | ბაია | 17 | 7 | 2 | 8 | 18 | 19 | 23 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 5 | 6 | 17 | 20 | 20 |
| 8 | სპარტაკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16 | 23 | 19 |
| 9 | გაგრა | 17 | 5 | 3 | 9 | 17 | 23 | 18 |
| 10 | დილა | 16 | 4 | 2 | 10 | 20 | 25 | 14 |
| 11 | კოლხეთი | 16 | 3 | 5 | 8 | 14 | 24 | 14 |
| 12 | სიონი | 16 | 1 | 4 | 11 | 10 | 28 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო) | 9 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 9 |
| დვალი (ზესტაფონი) | 8 |

**XV ტურის გადადებული მატჩები**

**14 დეკემბერი**

**ზესტაფონი-დინამო**
**სპარტაკი-მეტალურგი**
**ვიტ ჯორჯია-სიონი**
**დილა-კოლხეთი**
**ტორპედო-მერანი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვალეობის მოსახდელად



ალექსანდრე კოშკაძის გოლი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

11.12. თბილისი. დინამო არენა. 600 მაყურებელი

**დინამო 1**
**კოლხეთი 1**

0:1 ციცხვაია (37. პენ.), 1:1 კოშკაძე (74. რობერტინიოს პასით)

| დინამო 4-3-3 | კოლხეთი 4-4-1-1 |
|---|---|
| ლორია | ბობლიაშვილი |
| შ. კაშია | ცხვიტარია |
| ჰომოლა | ლომაშვილი |
| ხოჭოლავა | ინწკირველი |
| მ. ლომიძე | მეგრელიშვილი |
| კვეკვესკირი | მდივნიშვილი |
| ჯილაური | ცხადაია |
| ალვარო | ძებაძე |
| ლექვთაძე | პ. დათუნაიშვილი |
| კახელიშვილი | გვალია |
| იაგუე | ციცხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. გარსია | დ. მახარაძე |

**დინამო**

46. ლექვთაძე - **კოშკაძე**
73. კახელიშვილი – **რობერტინიო**
81. ალვარო – **თექთურმანიძე**

სათადარიგოები: ნადირაძე, ოდიკაძე, პარუნაშვილი, ჩისკო

**კოლხეთი**

63. მდივნიშვილი – **შავგულიძე**
71. ციცხვაია – **წიქარიშვილი**
82. გვალია – **გოგონაია**

სათადარიგოები: ნადირაშვილი, თედიაშვილი, გ. კილასონია, გულუა

გაფრთხილება: ცხვიტარია (13), ინწკირველი (89), ბობლიაშვილი (89)

გაძევება: ჰომოლა (36)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

"დინამოს" სამწვრთნელო შტაბი ამ შეხვედრას ზუსტად ისევე მოეკიდა, როგორც "ზესტაფონი" "სიონთან" მატჩს. **ალექს გარსიამ** მოქმედ ჩემპიონებთან საოთხშაბათო დაპირისპირების წინ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა – უმეტესად ისინი, ვინც გაფრთხილების შემთხვევაში ზესტაფონში ვერ ითამაშებდა. შესაბამისად, დედაქალაქელთა სასტარტოში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ვიხილეთ, რომლებსაც ნაკლები სათამაშო პრაქტიკა აქვთ.

ბუნებრივია, "დინამოსთან" სტუმრად მიღწეული 1:1 "კოლხეთისთვის" კარგი შედეგია, გარსიას გუნდისთვის კი ეს ფრე პრობლემა საერთოდ არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ფოთელები უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში ვერ მოხვდებიან.

თუმცა, ვფიქრობთ, **დავით მახარაძის** გუნდს გამარჯვებისთვის ბრძოლა უფრო დიდი მონდომებით მართებდა, რადგან სამი ქულა ბოლოსწინა ადგილისგან თავის დაღწევის საშუალებას მისცემდა და მეცხრე ადგილამდე ჩამოქვეითებულ "გაგრას" ორქულიანი დისტანციით მიაახლოვებდა. მას შემდეგ, რაც "დინამომ" ანგარიში გაათანაბრა, "კოლხეთმა" დროის გაყვანა განაგრძო და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა ტემპის დაგდებით გაანიავა.

მატჩის შედეგი კი დიდწილად 37-ე წუთზე მომხდარმა განაპირობა: **ლაშა გვალიას** დარტყმისას მეკარეობა **ირჟი ჰომოლამ** იკისრა და, ბუნებრივია, წითელი ბარათი მიიღო. პენალტი **დავით ციცხვაიამ** უნაკლოდ შეასრულა.

"დინამოს" დაცვის ცენტრში **ნიკა კვეკვესკირი** დადგა, შესვენებამდე კი დასამახსოვრებელი **ალბერტ იაგუეს** მიერ ხელსაყრელი პოზიციიდან გაცუდებული მომენტი იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში **მიკელ ალვარომ** ჩვეულად გაისროლა და "კოლხეთი" ხარიხამ იხსნა, 74-ე წუთზე კი შეცვლაზე შესულმა **რობერტინიომ** უმალ გაამართლა მწვრთნელის იმედი და მარჯვენა ფლანგიდან "დინამოს" კაპიტან **ალექსანდრე კოშკაძეს** საგოლედ უპასა – 1:1.

შეხვედრის დარჩენილი დრო, ისევე, როგორც მთელი მატჩი, საკმაოდ უსახური გამოდგა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამაში ლოგიკური შედეგით დასრულდა.

**მატჩის შემდეგ:**

**ალექს გარსია** ("დინამო"): *"პირველ ტაიმში ჩემი გუნდი ძალიან მოშვებული და მეტისმეტად თავდაჯერებული იყო, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. შესვენების შემდეგ უკეთ ავთამაშდით და მარცხს გადავურჩით. სასარგებლო მატჩი იყო, რადგან საშუალება მომეცა, იმ ფეხბურთელებს დავკვირვებოდი, რომლებიც უფრო ხშირად სათადარიგოები არიან".*

**დავით მახარაძე** ("კოლხეთი"): *"ჩემმა ფეხბურთელებმა ბევრი იბრძოლეს და მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვეს. წინ კიდევ რამდენიმე ტურია და გვაქვს იმის შანსი და იმედი, რომ პოზიციები გავიუმჯობესოთ და რვა საუკეთესო გუნდში მოვხვდეთ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

11.12. მცხეთა. მცხეთა პარკი. 300 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 4**
**ბაია 0**

1:0 ზაქრაძე (42. ჩიმაკაძის პასით), 2:0 კორიფაძე (58. ზაქრაძის პასით), 3:0 კორიფაძე (59. ჩიმაკაძის პასით), 4:0 კორიფაძე (70. ლანიაშვილის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ბაია 4-2-3-1 |
|---|---|
| ძაძამია | სომხიშვილი |
| ხურცილავა | ქვარცხავა |
| ბობიაშვილი | აფაქიძე |
| კასრაძე | პაჭკორია |
| ლანიაშვილი | აკობია |
| გურ. გურეშიძე | ტყემალაძე |
| ვასაძე | სიხარულია |
| კორიფაძე | სამუშია |
| გ. ჯანელიძე | გუგუჩია |
| ზაქრაძე | ენდელაძე |
| ჩიმაკაძე | ეხვაია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. პერიძე | ე. ქომეთიანი |

**ვიტ ჯორჯია**

68. ჯანელიძე – **გიორგი გურეშიძე**
71. ჩიმაკაძე - **სიხარულიძე**
83. ზაქრაძე - **ჯულელი**

სათადარიგოები: რეჭია, ხუჭუა, გეთიაშვილი, ვაშაკიძე

**ბაია**

46. სამუშია – **ჟიშკარიანი**
46. გუგუჩია - **ფარჯიკია**
67. ენდელაძე - **გამრეკლიძე**

სათადარიგოები: მაქაცარია, ნ. შონია, გუჯეჯიანი, გერგედავა

გაფრთხილება: აკობია (30), ჯანელიძე (32), გუგუჩია (35)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# კორიფე კორიფაძე

ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში დასამკვიდრებლად "ვიტ ჯორჯიამ" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. რაც შეეხება "ბაიას", მისგან მეტს ველოდით, ზუგდიდელებმა, მეტოქეს წინაალმდეგობა, ფაქტობრივად, ვერ გაუწიეს.

მიმდინარე სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" პირველად მოიგო დიდი ანგარიშით. "მცხეთა-პარკზე" ვიტჯორჯიელთა დღე იყო. მასპინძელთა გამარჯვება მეტწილად მათმა ფლანგელებმა განაპირობეს – **ბექა ზაქრაძემ** და **გიორგი კორიფაძემ** ჩინებულად ითამაშეს.

პირველი ტაიმი ასე თუ ისე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორივე გუნდი მხნედ ირჯებოდა. პირველი ხიფათი "ვიტ ჯორჯიამ" შექმნა – ზაქრაძემ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა. ამის მერე საგოლე შანსი "ბაიას" ჰქონდა, **ირაკლი ეხვაიამ** ოსტატურად გაატარა ბურთი და **გურამ სამუშია** ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა – ზუგდიდელმა კარგად ვერ დაარტყა და **გიორგი ძაძამია** იოლად დაეუფლა ბურთს.

ვერ ვიტყვით, რომ პირველ ტაიმში გუნდებს კომბინაციური თამაში გამოსდიოდათ. უპირატესობა მაინც უფრო "ვიტ ჯორჯიას" მხარეს იყო, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა – ზაქრაძემ **ბესიკ ჩიმაკაძის** პასის შემდეგ "ბაიას" კარს „ლრიჭო" მოუძებნა– 1:0.

ზუგდიდელებს მალევე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გადმოვარდნილ ბურთს უხეიროდ დახვდა **ლუკა გუგუჩია**.

შესვენების შემდეგ კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი დარჩა. საგოლე მომენტი ჯერ **ლაშა კასრაძემ** ვერ გამოიყენა, მერე – ჩიმაკაძემ. "ვიტ ჯორჯია" ზეწოლას განაგრძობდა და აძლიერებდა. გუნდს ტრავმამოშუშებული ლიდერი და კაპიტანი **გიორგი ჯანელიძე** დაუბრუნდა, მეორე საგოლე კომბინაცია სწორედ მან წამოიწყო, კარგად გაუქრა პასი ზაქრაძეს, რომელმაც დიდებულად გადააწოდა ბურთი კორიფაძეს და – 2:0. ყველაფერი აქ დამთავრდა, "ბაია" უკვე გატეხილი იყო.

კორიფაძემ კიდევ ორი გოლი მიაყოლა, ორჯერვე მიეცა საგოლე შანსი ჩიმაკაძეს, ზაქრაძესაც მართებდა გატანა. ერთი სიტყვით, "ვიტ ჯორჯიას" გაცილებით დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება.

**ნიკა გვათუა**
მცხეთა-თბილისი



ზესტაფონის შოთა გრიგალაშვილი (მარცხნივ) დაუბრუნდა

# ჩემპიონმა რეზერვით იმარჯვა

11.12. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 800 მაყურებელი

**ზესტაფონი 1**
**სიონი 0**

1:0 ჭანკოტაძე (69. თ. გრიგალაშვილის პასით)

| ზესტაფონი 4-4-2 | სიონი 4-3-2-1 |
|---|---|
| მამალაძე | ზუხბაია |
| თ. გრიგალაშვილი | კობაური |
| საჯაია | ლ. ჩხეტიანი |
| კობახიძე | გ. ოქროპირიძე |
| დონდაძე | თარგამაძე |
| სარდალიშვილი | გაბრიჭიძე |
| ჭანკოტაძე | კაციტაძე |
| ბაბუნაშვილი | ვ. ბოლქვაძე |
| შ. გრიგალაშვილი | ალავიძე |
| ფიფია | ქუცურუა |
| ლომია | უგულავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ჭიაბრიშვილი | ლ. გაჯელიძე |

**ზესტაფონი**

59. საჯაია - **ონიანი**
63. შ. გრიგალაშვილი - **აფციაური**
68. ჭანკოტაძე - **დვალი**

სათადარიგოები: კვასხვაძე, ძარია, გაგოშიძე, შარვაძე

**სიონი**

69. ალავიძე - **კობერიძე**
77. უგულავა - **ისიანი**

სათადარიგოები: კიკაბიძე, გიორბელიძე, ა. ნოზაძე, ხურციძე

გაფრთხილება: ვ. ბოლქვაძე (40), უგულავა (45), ლომია (66)

არბიტრი: ხ. გაგნიძე

„სიონის" მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძნელად წარმოსადგენი იყო, ბოლო ადგილზე მყოფ ბოლნისურ კლუბს თუნდაც გადახალისებული შემადგენლობით მოთამაშე „ზესტაფონისთვის" გაეძლო და იმერეთიდან ქულები წაეღო. საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა და **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა გაჭირვებით, თუმცა მაინც შეძლო ბოლნისელთა წინაალმდეგობის დაძლევა.

ზესტაფონელებს ოთხშაბათს თბილისის „დინამოსთან" უპრინციპულესი დაპირისპირება ელით, რის გამოც ჭიაბრიშვილმა ძირითადის თითქმის მთელი ბირთვი დაასვენა და „სიონს" გადახალისებული შემადგენლობა დაახვედრა.

უმთავრესად ეს იყო მიზეზი, საწყის წუთებში მასპინძლებმა თამაში რომ ვერ ააწყვეს, ბურთს ხშირად კარგავდნენ და მწვავე შეტევებიც არ გამოსდიოდათ. ქვემოქართლელებმა კი რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს და დამაგვირგვინებელ ფაზაში უკეთ რომ გარჯილიყვნენ, გატანაც შეეძლოთ. განსაკუთრებით **კობაურისა** და **ბოლქვაძის** სახიფათო დარტყმებია აღსანიშნი. პირველი ეპიზოდისას ბურთი მცირედით ასცდა მიზანს, ბოლქვაძის დარტყმა კი **მამალაძემ** მოიგერია. ბოლნისელთაგან აქტიურობდა **არჩილ ალავიძეც**, რომელიც მარჯვენა გარემარბის პოზიციაზე იყო გამწესებული. 36-ე წუთზე მან სახიფათო საჯარიმო შეასრულა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა, ცოტა ხანში კი **უგულავას** აქტიურობის შემდეგ დაარტყა და მეკარემ აულო. არ იფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, პირიქით, ბურთს „ზესტაფონი" აკონტროლებდა და უტევდა კიდეც, მაგრამ მასპინძლებს რეალური ხიფათის შექმნა უჭირდათ. როგორც ჩანს, ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა ვერ მოასწრო ზესტაფონელთა ლიდერმა **შოთა გრიგალაშვილმა,** რომელიც ბევრს მოძრაობდა, მაგრამ მისი შესრულებით გაცილებით უკეთესი თამაშები გვახსოვს. აქტიური იყო **გოგი ფიფია,** რომელსაც ტაიმის ბოლოს ორჯერ მიეცა გატანის შანსი, თუმცა ჯერ საჯარიმოს გარედან ააცილა, მერე კი **სარდალიშვილის** ნაქცევისთვის დანიშნული უაღრესად სახიფათო ჯარიმა ხეირიანად ვერ შეასრულა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბოლნისელებმა ხელსაყრელი მომენტი შექმნეს, უგულავას მიერ თავით დაგდებული ბურთი **ქუცურუამ** საჯარიმოს გარედან დაარტყა, მაგრამ მამალაძე კვლავ საიმედოდ გაისარჯა. ჭიაბრიშვილმა ვითარების გამოსწორება შეცვლებით სცადა და თამაშში **ონიანი, აფციაური** და **დვალი** ჩართო, თუმცა გამარჯვების გოლი არა გამოცდილებმა, არამედ ახალბედებმა „გამოაცხვეს": 69-ე წუთზე **თორნიკე გრიგალაშვილის** (რომელსაც გუშინ უმაღლეს ლიგაში დებიუტი ჰქონდა) აქტიურობისა და გადაცემის შემდეგ მიხეილ სარდალიშვილმა „სიონის" საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა, მცველებს დაასწრო და უმაღლესში პირველი გოლი გაიტანა - 1:0. დარჩენილ დროში ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო. ზესტაფონელთაგან დვალისა და **ლომიას** სახიფათო დარტყმები უნდა გავიხსენოთ, ბოლნისელთაგან კი ყველაზე მეტს ქუცურუა აქტიურობდა და სტუმართა ორივე სახიფათო შეტევა მის ანგარიშზე მოდის — პირველი მცდელობისას სტუმართა შემტევს კარიდან გამოსულმა მამალაძემ დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა, 88-ე წუთზე კი ქუცურუას სახიფათო ჯარიმა მამალაძემ ნახტომით მოიგერია და ბოლნისელებს ანგარიშის გათანაბრების ბოლო იმედიც გადაუწურა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფეხბურთი**

● საქართველოს ჩემპიონატი

# გორი გოლებს შეეჩვია

11.12. გორი. ქართლი.
600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **დილა** | **3** |
| **მერანი** | **0** |

1:0. ქარქუზაშვილი (6. ჩაგელიშვილის პასით), 2:0. ჩაგელიშვილი (44), 3:0. თოდუა (89. ნემსაძის პასით)

| დილა 4-5-1 | მერანი 4-5-1 |
|---|---|
| შეყრილაძე | შეროზია |
| ვ. ხორგუაშვილი | კაკუშაძე |
| ბაქრაძე | იობაშვილი |
| ქარქუზაშვილი | შალიკაშვილი |
| გველესიანი | მელიავა |
| რაჟამაშვილი | მემარნიშვილი |
| ჯოჯუა | ნოწორია |
| პ. ხორგუაშვილი | მანწკავა |
| გოგინაშვილი | ჩალაძე |
| დ. ჩაგელიშვილი | ამბროლაძე |
| ახალკაცი | სამადაშვილი |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| **თ. მახარაძე** | **გ. ჭვანია** |

**დილა**

**85.** გოგინაშვილი — **ნემსაძე**
**85.** ჩაგელიშვილი — **გ. თოდუა**
**80.** ახალკაცი — **ნოზაძე**
სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, სადალაშვილი, ი. ლომიძე, ჭითანავა

**მერანი**

**46.** მემარნიშვილი — **იატრო**
**64.** ამბროლაძე — **ტორაძე**
**86.** ჩალაძე — **ქამუშაძე**
*სათადარიგოები: შენგელია, კიკალიშვილი, ტაპე*

გაფრთხილება: შალიკაშვილი (10), ახალკაცი (42), იობაშვილი (69)
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

თასის ნახევარფინალში, ანუ საუკეთესო ოთხეულში გაღწეული „დილა" ეროვნულ ჩემპიონატში რვა საუკეთესოს შორის ადგილის დაბევებას ცდილობს. **თემურ მახარაძის** საქმიანობას თანდათან მოაქვს შედეგი. წინა ტურში ხუთი ბურთის გამტანმა გორელებმა ამჯერად სამი კი იკმარეს, მაგრამ ისევ დიდი ანგარიშით და შთამბეჭდავად მოიგეს.

ზოგადად, „მერანს" ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ მასპინძლები უფრო უკეთ გაისარჯნენ და მარტვილელთა ბარიერი იოლადაც დაძლიეს. სტუმრების რბევა შეხვედრის დებიუტშივე დაიწყო. სამსვლიანი კომბინაცია (**გოგინაშვილი — ჩაგელიშვილი — ქარქუზაშვილი**) თავურით დააგვირგვინა „დილას" კაპიტანმა და ცენტრალურმა მცველმა გივი ქარქუზაშვილმა. იგი ამპლუით განსაზღვრულ დავალებებს ყოველთვის კარგად ასრულებს, ამ დღეს კი შეტევაშიც ძალიან აქტიურად ირჯებოდა და პირველის გარდა, მეორე გოლშიც მიიღო მონაწილეობა, მატჩის ბოლოს კი ერთხელაც იყო მიზანთან ახლოს. სწრაფი გოლით დაწინაურებულმა „დილამ" უპირატესობაც მალევე მოიპოვა. ცენტრში ბურთის სწრაფად გათამაშების შემდეგ მასპინძლები აქტიურად მოქმედებდნენ ფლანგებზე და უამრავ თავსატეხს უჩენდნენ სტუმრებს. უნდა გამოვარჩიოთ ორი შუახაზელი დავითი, ჩაგელიშვილი და **რაჟამაშვილი**. ამ უკანასკნელმა ანგარიშის გახსნიდან ორიოდ წუთში სახეირო პოზიციაში მყოფ **რომან ახალკაცს** გადააწოდა ბურთი, ის, თავის მხრივ, ორი მეურვის ჩამოცილებით მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა კიპერს ველარ აჯობა. საერთოდაც, მარტვილელთა კარის დარაჯი **ჯონი შეროზია** თავისიანებში უდავოდ საუკეთესო იყო. მან პირველ ტაიმში ჯერ გოგინაშვილისა და ჩაგელიშვილის საშუალო დისტანციიდან, მერე კი რაჟამაშვილის ახლოდან დარტყმისას იხსნა სტუმრები. ტაიმის ბოლოს საჯარიმოში შექმნილი არეულობისას კი ველარაფერი გააწყო და ჩაგელიშვილმა ახლოდან გაახვია ბურთი ბადეში. გორელები „მერანს" პრესინგს ეთამაშებოდნენ და სტუმრებსაც უჭირდათ მეტოქის ნახევარზე ბურთის გორება და საჯარიმოსთან მიახლოება. შესვენებამდე მარტვილელებმა **შეყრილაძის** კარისკენ რამდენჯერმე თუ დაარტყეს და ისიც შორიდან.

მეორე ტაიმი „მერანის" უპირატესობით დაიწყო. სტუმრები მწვავედ უტევდნენ და, რომ არა შეყრილაძის ეფექტური გარჯა, 47-ე წუთზე **გიორგი მანწკავა** ანგარიშში სხვაობას შეამცირებდა. მალე ახალკაცი იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ შეროზიამ ერთხელაც ივარგა. 67-ე წუთზე სტუმრებმა მატჩში გარდატეხის შეტანის ყველაზე აშკარა შანსი ვერ გამოიყენეს, როდესაც იმავე მანწკავამ საპირისპირო ფლანგზე უყურადღებოდ დატოვებული **ტორაძე** მოძებნა, მან კი დაახლოებით 18 მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი; გადმოვარდნილს ისევ მარტვილელებმა დაამატეს, თუმცა მასპინძელთა მცველმა **დავით ბაქრაძემ** ზედ კარის ხაზიდან მოახერხა მისი გამოტანა. აი, აქ კი დაფაცურდა „დილა" და ისევ შეუდგა ბურთის კონტროლისთვის ბრძოლას, რასაც მალე შედეგიც მოჰყვა. „მერანს" ღირებული ალარაფერი შეუქმნია, გორელები კი ისევ დომინირებდნენ და კვლავაც იხეირეს. მორიგ გოლამდე, 83-ე წუთზე, ჩაგელიშვილის ბრწყინვალე სოლო რეიდი უნდა აღვნიშნოთ — იგი სამ კაცს გასცდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. მატჩის ბოლოს გატანილი გოლი კი ორიოდ წუთის წინ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა შექმნეს — **ვაჟა ნემსაძის** გრძელი, გამოზომილი პასისას **გია თოდუამ** ლამის პირველივე შეხება ბურთთან გოლად აქცია — 3 : 0.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო



მეკარე ჯონი შეროზიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია

● ლეგიონი



დავით თარგამაძე ტრავმის გამო შეცვალეს

# ერთით ორი

## ქართული ლეგიონის მწარე რეალობა

1:2 - ასეთი ანგარიშით წააგო ამ უქმეებზე ქართულმა ლეგიონმა. აქვე დავაზუსტებთ, ჩვენებურებმა მეტოქეთა კარში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს, სამაგიეროდ, ორჯერ საკუთარი დალაშქრეს. დადებითად მხოლოდ **ლადო დვალიშვილი** გამოირჩა, რომელმაც ქალაქ ჰაიფას დერბიში გახსნა ანგარიში. ამის მიუხედავად, მისი „მაქაბი" „ჰაპოელთან" 1:3 დამარცხდა. ლადოსთვის კი ეს მხოლოდ მე-4 გოლია ჩემპიონატში. საკუთარ კარში კი აზერბაიჯანული „თურანის" ვეტერანმა **ალეკო გოგობერიშვილმა** და ასევე აზერბაიჯანული აზალ-ის გამთამაშებელმა **ნუგზარ კვირტიამ** გაიტანეს.

უკრაინის ჩემპიონატი მარტამდე დაგვემშვიდობა. ალბათ, „ოლექსანდრიას" შემადგენლობაში უკანასკნელად ითამაშა ჩვენმა გამორჩეულმა ლეგიონერმა **დავით თარგამაძემ**, რომელმაც „მეტალისტთან" შეხვედრაში საგოლე პასი კი მიითვალა, მაგრამ მისი გუნდი 1:3 დამარცხდა. თარგამაძემ მე-60 წუთზე კუნთი დაიზიანა და შეცვლა ითხოვა, მერე და მერე კი „ოლექსანდრია", რომ იტყვიან, ნაწილებად დაიშალა და ხარკოველებმა იოლად დაჯაბნეს - ეს საგანგებოდ აღნიშნეს ჩვენმა უკრაინელმა კოლეგებმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. I ბუნდესლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | შალკე | 1:2 (შ) | 90 წუთი | 16 თ, 1 გ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | დუისბურგი | 1:3 (გ) | 90 წთ (შეცვალეს) | 17 თ, 5 გ. |
| **იტალია. სერია ა. XIV ტური** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | სიენა | 2:0 (გ) | დისკვ. | 7 თ |
| **იტალია. სერია ბ. XIX ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | ვიჩენცა | 0:1 (გ) | 70 წთ (შეცვლაზე) | 7 თ |
| ირაკლი შეკილაძე | 18 | ემპოლი | ვიჩენცა | 0:1 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | გინგამი | 1:0 (შ) | 90 წუთი | 12 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | შახტარი | 0:4 (შ) | 90 წუთი | 14 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | შახტარი | 0:4 (შ) | არ უთამაშია | 13 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ვორსკლა | 2:0 (შ) | სათადარიგო | 14 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ობოლონი | 3:1 (გ) | 86 წთ (შეცვალეს) | 11 თ, 4 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ჩერნომორ. | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | ვოლინი | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 8 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | მეტ. დონ. | 0:3 (გ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 18 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | მეტალისტი | 1:3 (შ) | 62 წთ (შეცვალეს), 1 პასი | 16 თ, 4 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | დინამო | 0:1 (შ) | არ უთამაშია | 6 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XV ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | გრონინგენი | 0:0 (შ) | 90 წუთი | 16 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | გრონინგენი | 0:0 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 14 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | გრონინგენი | 0:0 (შ) | 62 წთ (შეცვალეს) | 3 თ, 1 გ |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | პანათინაიკ. | 1:2 (შ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 11 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | დრამასი | 2:1 (შ) | 90 წუთი | 10 თ, 1 გ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XIIV ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | მერსინი | 0:1 (გ) | 90 წუთი | 7 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | კაისერი | კარაბუკი | | დღეს | 11 თ |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | აუსტრია | 5:1 (შ) | 8 წთ (შეცვლაზე) | 11 თ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | აელ | 0:0 (გ) | 90 წუთი, გააფრთხილეს | 11 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | აელ | 0:0 (გ) | სათადარიგო | 9 თ |
| **ისრაელი. ლიგატ ჰაალი. XV ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ჰაპ. ჰაიფა | 1:3 (შ) | 90 წუთი, 1 გოლი | 7 თ, 4 გ |
| **შვეიცარია. სუპერ ლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | ბაზელი | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. XVII ტური** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | გორნიკი | 2:0 (შ) | არ უთამაშია | 13 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ლეხია | 1:0 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| **სერბეთი. სუპერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | ცრვენა ზვ. | 2:0 (გ) | 90 წთ | 13 თ, 3 გ |

## საფრანგეთი. ლიგა 1. XVII ტური

**ნანსი-აიაჩო 2:2**

**გოლები:** 1:0 ბაკარი (10), 1:1 ლუისი (34. ს.კ.), 1:2 კავალი (73), 2:2 ნიკულაე (90)

**რენი-ბრესტი 1:1**

**გოლები:** 0:1 რუ (17), 1:1 დანსი (30)

**სენტ ეტიენი-კანი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნიკოლიცა (10), 2:0 საკო (74)
**გაძევება:** ნაბაბი (42. კანი)

**სოშო-პსჟ 0:1**

**გოლი:** 0:1 გამეირო (20)

**ტულუზი-ევიანი 2:1**

**გოლები:** 1:0 სისოკო (25), 1:1 ვასი (50), 2:1 ბულუტი (90)

**ვალანსიენი-მონპელიე 1:0**

**გოლი:** 1:0 კადირი (46)

**მარსელი-ბორდო 0:0**

**ოსერი-ნიცა 2:1**

**გოლები:** 1:0 ოლიე (13), 1:1 მულუნგი (22), 2:1 საჰარი (65)

**ლილი-დიჟონი 2:0**

**გოლები:** 1:0 სოვი (16), 2:0 აზარი (58)

**ლორიანი-ლიონი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლაკაზე (54)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 17 | 11 | 3 | 3 | 36-18 | 36 |
| 2. პსჟ | 17 | 11 | 3 | 3 | 30-17 | 36 |
| 3. ლილი | 17 | 9 | 7 | 1 | 29-15 | 34 |
| 4. ლიონი | 17 | 10 | 2 | 5 | 29-19 | 32 |
| 5. რენი | 17 | 8 | 5 | 4 | 28-22 | 29 |
| 6. ტულუზი | 17 | 8 | 5 | 4 | 19-16 | 29 |
| 7. სენტ ეტიენი | 17 | 7 | 6 | 4 | 21-19 | 27 |
| 8. მარსელი | 17 | 6 | 7 | 4 | 22-16 | 25 |
| 9. ლორიანი | 17 | 6 | 5 | 6 | 17-19 | 23 |
| 10. ბორდო | 17 | 4 | 8 | 5 | 19-21 | 20 |
| 11. ევიანი | 17 | 4 | 7 | 6 | 22-25 | 19 |
| 12. კანი | 17 | 5 | 4 | 8 | 23-27 | 19 |
| 13. ოსერი | 17 | 4 | 6 | 7 | 24-27 | 18 |
| 14. სოშო | 17 | 4 | 6 | 7 | 21-31 | 18 |
| 15. დიჟონი | 17 | 5 | 3 | 9 | 17-31 | 18 |
| 16. ბრესტი | 17 | 2 | 11 | 4 | 18-19 | 17 |
| 17. ვალანსიენი | 17 | 4 | 5 | 8 | 17-19 | 17 |
| 18. ნანსი | 17 | 3 | 6 | 8 | 14-22 | 15 |
| 19. ნიცა | 17 | 3 | 5 | 9 | 15-19 | 14 |
| 20. აიაჩო | 17 | 1 | 6 | 10 | 17-36 | 9 |

ბომბარდირები: 12 – ჟირუ (მონპელიე); 9 – გამეირო (პსჟ).

**მომდევნო ტური**

17 დეკემბერი: **ბრესტი-ოსერი, კანი-ნანსი, დიჟონი-სენტ ეტიენი, მარსელი-ლორიანი, მონპელიე-ტულუზი, ნიცა-ვალანსიენი.**
18 დეკემბერი: **ლიონი-ევიანი, აიაჩო-რენი, ბორდო-სოშო, პსჟ-ლილი.**

## შოტლანდია. პრემიერლიგა. XVIII ტური

**აბერდინი-სენტ მირენი 2:2**

**გოლები:** 1:0 ვერნონი (2), 2:0 ფელონი (17), 2:1 მაკლინი (34), 2:2 კერი (52)
**გაძევება:** ფაივი (90. აბერდინი)

**სელტიკი-ჰართსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ვანიამა (72)
***ვერ გაიტანა პენალტი:** ეგერტ ჯონსონი (90. ჰართსი)*

**ინვერნესი-დანდი 2:3**

**გოლები:** 1:0 ჰეიესი (2), 2:0 მაკეი (47), 2:1 რასელი (51), 2:2 გოლობარტი (64 ს.კ.), 2:3 რასელი (78)
**გაძევება:** დევისი (83. ინვერნესი)

**სენტ ჯონსტონი-მოზერველი 0:3**

**გოლები:** 0:1 დეილი (16), 0:2 მერფი (28), 0:3 მერფი (68)

**ჰიბერნიანი-რეინჯერსი 0:2**

**გოლები:** 0:1 იელხვიჩი (61-პენ), 0:2 იელავიჩი (69)

დანფერმლაინი-კილმარნოკი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 18 | 14 | 3 | 1 | 34-8 | 45 |
| 2. სელტიკი | 18 | 13 | 2 | 3 | 36-14 | 41 |
| 3. მოზერუელი | 17 | 10 | 3 | 4 | 23-18 | 33 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 17 | 7 | 5 | 5 | 20-16 | 26 |
| 5. ჰართსი | 18 | 6 | 4 | 8 | 16-14 | 22 |
| 6. კილმარნოკი | 17 | 5 | 7 | 5 | 23-25 | 22 |
| 7. დანდი | 18 | 5 | 6 | 7 | 24-29 | 21 |
| 8. სტ. მირენი | 18 | 5 | 6 | 7 | 17-23 | 21 |
| 9. ინვერნესი | 18 | 4 | 3 | 11 | 24-36 | 15 |
| 10. აბერდინი | 17 | 3 | 5 | 9 | 19-25 | 14 |
| 11. ჰიბერნიანი | 17 | 3 | 5 | 9 | 16-28 | 14 |
| 12. დანფერმლაინი | 17 | 3 | 5 | 9 | 20-36 | 14 |

**ბომბარდირები:** 12 - იელავიჩი (რეინჯერსი); 10 — ჰუპერი (სელტიკი); 9 –ნეისმითი (რეინჯერსი); 8 – სტოკსი (სელტიკი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არსენალი-ევერტონი 1:0

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი – ჯურუ, კოშელნი, მერტეზაკერი, ვერმაელენი (82. მიგელი) – უოლკოტი (90. ფრიმპონგი), არტეტა, სონგი, ჟერვინიო (83. როსიცკი) – რემსი, ვან პერსი.

**ევერტონი** (4-5-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – კოულმენი, ფელაინი, ფ. ნევილი (76. მაკელინი), ტ. კეჰილი, ბელიალეტდინოვი (77. გიე) – საა (64. დისტინი).

**გოლი:** 1:0 ვან პერსი (70)

**გაფრთხილება:** არტეტა, რემსი – კოულმენი, დისტინი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 7-14; **კარში დარტყმა:** 14-10 (3-0); **თამაშგარე:** 6-9; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 60 062

### ბოლტონი-ასტონ ვილა 1:2

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – ბოიატა, ნაითი, გ. კეჰილი, რობინსონი – თუნჩაი (71. კაკუტა), პრეტლი, მ. დევისი, იგლზი – კ. დევისი, კლასნიჩი (79. ნგოგი).

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – ჰატონი, დანი, კოლინზი, უორნოკი – ოლბრაიტონი, ჰერდი, ს. პეტროვი, ნ'ზოგბია – ბენტი (81. ჰესკი), აგბონლაჰორი.

**გოლები:** 0:1 ოლბრაიტონი (33), 0:2 ს. პეტროვი (39), 1:2 კლასნიჩი (55)

**გაფრთხილება:** მ. დევისი – აგბონლაჰორი, ოლბრაიტონი

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 12-9; **კარში დარტყმა:** 17-15 (7-5); **თამაშგარე:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 20 285

### ლივერპული-ქუინზ პარკი 1:0

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ენრიკე – დაუნინგი (87. შილვი), ადამი, ჰენდერსონი, მაქსი როდრიგესი (79. ბელამი) – კუიტი, სუარესი.

**ქუინზ პარკი** (4-4-2): ჩერნი – ლ. იანგი, გებიდონი, ა. ფერდინანდი (50. ორი), ტრაორე – მეკი (78. ჰილი), ფაურლინი, ბარტონი, სმიტი (66. დ. ჯ. კემპბელი) – რაიტ-ფილიპსი, ბოთროიდი.

**გოლი:** 1:0 სუარესი (47)

**გაფრთხილება:** აგერი, ბელამი (ორივე ლივერპული)

**კუთხური:** 17-5; **ჯარიმა:** 14-7; **კარში დარტყმა:** 25-4 (8-1); **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 45 016

### მანჩესტერ იუნ.-ვულვზი 4:1

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი, რ. ფერდინანდი, ევანსი, ევრა (67. ფრაიერსი) – ვალენსია, ფ. ჯონსი, ქერიკი, ნანი (77. ე. იანგი) – რუნი, უელბეკი (74. მაკედა).

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი – ზუბარი, ბერა, რ. ჯონსონი, უორდი – ედუარდსი (32. მილიამი), ო'ჰარა (71. ჰანტი), ჰენრი, ჯერვისი – დოილი, ფლეტჩერი (77. ებანკს-ბლეიკი).

**გოლები:** 1:0 ნანი (17), 2:0 რუნი (27), 2:1 ფლეტჩერი (47), 3:1 ნანი (56), 4:1 რუნი (62)

**გაფრთხილება:** რ. ფედრინანდი (90)

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 10-9; **კარში დარტყმა:** 20-11 (13-5); **თამაშგარე:** 4-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 75 627

### ნორვიჩი-ნიუკასლი 4:2

**ნორვიჩი** (4-4-2): რადი – ნაფტონი, მარტინი, უიტბრედი (83. ბერნეტი), ტიერნი – კროფტსი, ჰულაჰანი (85. ს. ჯეკსონი), ფოქსი, ხარმენი (77. ბ. ჯონსონი) – მორისონი, ჰოლტი.

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – რ. ტეილორი, პერჩი, სიმპსონი, სენტონი (90. ფერგიუსონი) – ობერტანი (81. ს. ამეობი), კაბაიე, გოსლინგი, ხონასი – ბა, შ. ამეობი (90. სმიტი).

**გოლები:** 1:0 ჰულაჰანი (39), 1:1 ბა (45), 2:1 ჰოლტი (59), 3:1 მორისონი (63), 3:2 ბა (71), 4:2 ჰოლტი (82)

**გაფრთხილება:** კროფტსი, ფოქსი, ჰულაჰანი – შ. ამეობი, გოსლინგი

**გაძევება:** გოსლინგი (66-ნიუკასლი)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 10-8; **კარში დარტყმა:** 14-13 (5-6); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 26 816

### სუონსი-ფულჰემი 2:0

**სუონსი** (4-4-2): ვორმი – ე. რიჩარდსი, უილიამსი, კოლკერი, ნ. ტეილორი – რუტლიჯი (89. დაიერი), ბრიტონი, გოვერი, სინკლერი – მური (69. ოგუსტეინი), ლიტა (76. გრემი).

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – კელი, ჰანგელანდი, სენდეროსი, რიისე – რუისი, ეტუჰუ, ს. დევისი (79. სა), დემპსი – დემბელე (77. ფრეი), ე. ჯონსონი.

**გოლები:** 1:0 სინკლერი (56), 2:0 გრემი (90)

***ვერ გაიტანა პენალტი:*** *დემპსი (87-ფულჰემი)*

**გაფრთხილება:** ვორმი - სენდეროსი

**კუთხური:** 6-5; ; **ჯარიმა:** 8-8; **კარში დარტყმა:** 17-13 (5-7); **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 19 296

### ვესტ ბრომვიჩი-უიგანი 1:2

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, ოლსონი, მაოლი, შორი – ბრანტი, ჯ. მორისონი (84. შარნერი), მულუმბუ (67. დორანსი), ტომასი – ლონგი, ოდემვინგე (81. ტჩოი).

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – სტამი (70. მაკარტური), ალკარასი (67. გოჰური), კოლდუელი, ფიგეროა – მაკარტი, დიამე, დ. ჯონსი – მოზესი, გომესი, სემონი (80. დი სანტო).

**გოლები:** 1:0 რიდი (33), 1:1 მოზესი (37), 1:2 გომესი (57-პენ)

**გაფრთხილება:** რიდი, დორანსი - გომესი

**კუთხური:** 13-2; **ჯარიმა:** 12-8; **კარში დარტყმა:** 23-10 (3-4); **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 25 446

### სანდერლენდი-ბლექბერნი 2:1

**სანდერლენდი** (4-4-2): ვესტვუდი – ო'ში, ბრაუნი, ბრემბლი, ბერდსლი – ლარსონი, კოლბეკი (76. მაკლინი), ვუგანი, რიჩარდსონი – სესენიონი, უიკჰემი (76. ჯი).

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – ლოუი, დანი, სამბა, ჟივე (22. ოლსონი, 45. ა. ჰენლი) – სალგადო (51. გ. ჰენლი), პედერსენი, დანი, ვუცკევიჩი – ფორმიცა, იაკუბუ.

**გოლები:** 0:1 ვიცკევიჩი (17), 1:1 ვიგანი (84), 2:1 ლარსონი (90)

**გაფრთხილება:** ო'ში, სესენიონი – სალგადო, სამბა

**კუთხური:** 9-0; **ჯარიმა:** 11-11; **კარში დარტყმა:** 23-3 (5-2); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 39 863

### სტოკი-ტოტენჰემი 2:1

**სტოკი** (4-4-2): სიორენსენი – ვუდგეიტი (84. დილეპი), ჰუთი, შოუკროსი, უილსონი – შოტონი, უიტჰედი, უილენი, ეზერინგტონი (88. პალასიოსი) – უოლტერსი, კრაუჩი.

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, გალასი, ქაბული, ასუ-ეკოტო (46. ბასონგი) – ლენონი (46. დეფო), მოდრიჩი, პარკერი, ბეილი – ვან დერ ვაარტი (88. დოს სანტოსი), ადებაიორი.

**გოლები:** 1:0 ეზერინგტონი (13), 2:0 ეზერინგტონი (43), 2:1 ადებაიორი (62-პენ)

**გაფრთხილება:** ვუდგეიტი, უილსონი – ქაბული, პარკერი

**გაძევება:** ქაბული (82 – ტოტენჰემი)

**კუთხური:** 7-12; **ჯარიმა:** 11-9; **კარში დარტყმა:** 8-13 (4-10); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 27 529

ჩელსი-მანჩესტერ სიტი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 14 | 12 | 2 | 0 | 48-13 | 38 |
| 2. იუნაიტედი | 15 | 11 | 3 | 1 | 35-14 | 36 |
| 3. ტოტენჰემი | 14 | 10 | 1 | 3 | 30-18 | 31 |
| 4. არსენალი | 15 | 9 | 2 | 4 | 31-23 | 29 |
| 5. ჩელსი | 14 | 9 | 1 | 4 | 31-17 | 28 |
| 6. ლივერპული | 15 | 7 | 5 | 3 | 18-13 | 26 |
| 7. ნიუკასლი | 15 | 7 | 5 | 3 | 21-19 | 26 |
| 8. სტოკი | 15 | 6 | 3 | 6 | 16-24 | 21 |
| 9. ასტონ ვილა | 15 | 4 | 7 | 4 | 18-19 | 19 |
| 10. ნორვიჩი | 15 | 5 | 4 | 6 | 24-28 | 19 |
| 11. სუონსი | 15 | 4 | 5 | 6 | 16-20 | 17 |
| 12. ევერტონი | 14 | 5 | 1 | 8 | 15-18 | 16 |
| 13. ქუინზ პარკი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-26 | 16 |
| 14. ფულჰემი | 15 | 3 | 6 | 6 | 16-18 | 15 |
| 15. ვესტ ბრომვიჩი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-23 | 15 |
| 16. სანდერლენდი | 15 | 3 | 5 | 7 | 18-18 | 14 |
| 17. ვულვზი | 15 | 4 | 2 | 9 | 16-28 | 14 |
| 18. უიგანი | 15 | 3 | 3 | 9 | 14-29 | 12 |
| 19. ბლექბერნი | 15 | 2 | 4 | 9 | 22-34 | 10 |
| 20. ბოლტონი | 15 | 3 | 0 | 12 | 20-36 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 — ვან პერსი (არსენალი); 11 - აგუერო (სიტი), ბა (ნიუკასლი), რუნი (იუნაიტედი); 10 - ჯეკო (სიტი); 9 - იაკუბუ (ბლექბერნი); 8 — ადებაიორი (ტოტენჰემი); 7 - ბალოტელი (სიტი), კლასნიჩი (ბოლტონი), სტარიჯი (ჩელსი); 6 - დეფო (ტოტენჰემი), ფლეტჩერი (ვულვერჰემპტონი), ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი), ერნანდესი (იუნაიტედი), ჰოლტი (ნორვიჩი), ლემპარდი (ჩელსი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

### ინგლისი. ჩემპიონშიპი. XXI ტური

**საუთჰემპტონი-ბლექპული 2:2**

**გოლები:** 1:0 ლამბერტი (30), 1:1 ბეშემი (36), 1:2 მაკმანამანი (49), 2:2 ლამბერტი (90)

**ბირმინგემი-დონკასტერი 2:1**

**გოლები:** 0:1 ფორჩუნი (50), 1:1 კინგი (62), 1:2 კინგი (88)

**ბარნლი-პორტსმუთი 0:1**

**გოლი:** 0:1 ნორისი (90)

**ქოვენთრი-ჰალი 0:1**

**გოლი:** 0:1 ევანსი (60)

**დერბი-ბრისტოლი 2:1**

**გოლები:** 0:1 ვულფორდი (56), 1:1 ბრისონი (64), 2:1 ბოლი (73)

**ლესტერი-პიტერბორო 1:1**

**გოლები:** 1:0 გალაჰერი (56), 1:1 ტომლინი (71)

**მიდლსბრო-ბრაიტონი 1:0**

**გოლი:** 1:0 მაკდონალდი (21)

**მილუოლი-კარდიფი 0:0**

**ნოტინგემი-კრისტალ პალასი 0:1**

**გოლი:** 0:1 მიურეი (56)

**რედინგი-ვესტ ჰემი 3:0**

**გოლები:** 1:0 პირსი (66), 2:0 ს. კრაუჩი (80), 3:0 ს. კრაუჩი (86)

**უოტფორდი-ლიდსი 1:1**

**გოლები:** 1:0 ნაითლი (28), 1:1 სონდგრასი (90-პენ)

**ბარნსლი-იფსვიჩი 3:5**

**გოლები:** 1:0 კ. დევისი (14), 2:0 ვაზ ტე (39), 2:1 ენდრიუსი (46), 2:2 ენდრიუსი (49), 2:3 კოლინზი (66), 2:4 ჩოპრა (68), 2:5 სკოტლანდი (83), 3:5 კ. დევისი (89)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 21 | 13 | 4 | 4 | 44-23 | 43 |
| 2. ვესტ ჰემი | 21 | 12 | 4 | 5 | 36-20 | 40 |
| 3. კარდიფი | 21 | 10 | 8 | 3 | 34-22 | 38 |
| 4. მიდლსბრო | 21 | 10 | 8 | 3 | 25-17 | 38 |
| 5. ჰალი | 21 | 11 | 3 | 7 | 24-22 | 36 |
| 6. ლიდსი | 21 | 10 | 5 | 6 | 36-29 | 35 |
| 7. ბრაიტონი | 21 | 9 | 5 | 7 | 23-22 | 32 |
| 8. ბლექპული | 21 | 8 | 7 | 6 | 33-27 | 31 |
| 9. ლესტერი | 21 | 8 | 6 | 7 | 28-23 | 30 |
| 10. რედინგი | 21 | 8 | 6 | 7 | 26-22 | 30 |
| 11. კრ. პალასი | 21 | 8 | 6 | 7 | 21-20 | 30 |
| 12. ბარნსლი | 21 | 8 | 6 | 7 | 30-31 | 30 |
| 13. ბირმინგემი | 19 | 8 | 5 | 6 | 26-22 | 29 |
| 14. დერბი | 21 | 8 | 4 | 9 | 26-31 | 28 |
| 15. ბარნლი | 21 | 8 | 3 | 10 | 31-31 | 27 |
| 16. პორტსმუთი | 20 | 7 | 5 | 8 | 23-22 | 26 |
| 17. პიტერბორო | 21 | 7 | 4 | 10 | 40-39 | 25 |
| 18. უოტფორდი | 21 | 6 | 7 | 8 | 22-30 | 25 |
| 19. მილუოლი | 21 | 5 | 8 | 8 | 23-24 | 23 |
| 20. იფსვიჩი | 20 | 7 | 2 | 11 | 31-42 | 23 |
| 21. ბრისტოლი | 21 | 5 | 5 | 11 | 21-33 | 20 |
| 22. ნოტინგემი | 21 | 6 | 2 | 13 | 18-36 | 20 |
| 23. დონკასტერი | 21 | 4 | 4 | 13 | 17-35 | 16 |
| 24. ქოვენთრი | 21 | 2 | 7 | 12 | 17-32 | 13 |

**ბომბარდირები:** 14 – ლამბერტი (საუთჰემპტონი); 10 - მაკკორმაკი (ლიდსი); 9 - ჰენდერსონი (მილუოლი), ვუდი (ბირმინგემი); 8 – ენდრიუსი (იფსვიჩი), ოსტინი (ბარნლი), დევისი (ბარნსლი), ფრაიატი (ჰალი), იუცკევიჩი (ქოვენთრი), მაკკენი (პიტერბორო), სონდგრასი (ლიდსი); 7 — ჩოპრა (იფსვიჩი), კოული (ვესტ ჰემი), ჯიული (საუთჰემპტონი), ემნესი (მიდლსბრო).

### პირველი ლიგა. XX ტური

ბრენტფორდი-ჰარტლპული 2:1, კოლჩესტერი-ბერი 4:1, ჰადერსფილდი-ბურნმუთი 0:1, ლეიტონი-ექსეტერი 3:0, ოლდჰემი-შეფილდ უენსდი 0:2, პრესტონი-სტივენიჯი 0:0, სკანთორპი-კერლისლი 1:2, შეფილდ იუნაიტედი-როჩდეილი 3:0, ტრანმერი-მილტონი 0:2, უოლსოლი-ჩარლტონი 1:1, უიკომბი-ჩესტერფილდი 3:2, იეოვილი-ნოთს ქაუნთი 1:0.

### მეორე ლიგა. XX ტური

უიმბლდონი-ეკრინგტონი 0:2, ოლდერშოტი-შრუსბერი 1:0, ბრედფორდი-პლიმუთი 1:1, ბრისტოლი-სუინდონი 1:1, ჩელტენჰემი-საუთენდი 3:0, ქროული-ბარტონი 3:0, დაგენჰემი-პორტ ველი 1:2, ჰერეფორდი-როტერჰემი 2:3, მაკლსფილდი-ჯილინგემი 0:0, მორკეიმბი-ოქსფორდი 0:0, ნორთემპტონი-ქრუ 1:1.

*ინგლისი. პრემიერლიგა. XV ტური*

# რუნის ახსოვს რა არის გოლი

ხომ ამბობდა სერ **ალექს ფერგიუსონი**, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა გულსატკენია, მაგრამ, როდესაც ძლიერი ხარ, სირთულეებს უნდა მოერიოო. ინგლისის ჩემპიონმა დაამტკიცა, რომ დაზაფრული ჯდომას დიდხანს არ აპირებს და ევროპული შეჯიბრების ჯგუფური ეტაპიდან გავარდნას, რამდენიმე დღეში დიდი ანგარიშით მოგება მიაყოლა — „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ვულვერჰემპტონს" 4:1 მოუგო. „ოლდ ტრეფორდზე" ჩატარებულ შეხვედრაში მანჩესტერელთაგან ორ-ორი გოლი **უეინ რუნიმ** და **ნანიმ** გაიტანეს. მატჩის შემდეგ ფერგიმ განსაკუთრებით რუნი შეაქო, რომელმაც დიდი ხნის უიღბლობის შემდეგ კვლავ დალაშქრა მეტოქის კარი. ხუმრობა ხომ არ არის, ახლა დეკემბერია, რუნის კი სექტემბრის შემდეგ გაეტანა. სერ ალექსმა თქვა:

*„ძალიან მასიამოვნა რუნის თამაშმა. მან სეზონის დასაწყისში 9 გოლი გაიტანა და მერე გაჩერდა. ახლა ნავსი გატეხილია. დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა. თუ გოლების გატანას თავიდან გავუგებთ გემოს, კარგ შედეგებს მივაღწევთ".*

ფერგიუსონი მარტო რუნით კი არა, მთელი გუნდის თამაშით ჩანდა გახარებული. ზემოთ ვახსენეთ, რომ ორი გოლი გაიტანა ნანიმაც. პორტუგალიელი იმ იშვიათთაგანი იყო, რომელმაც გასულ ოთხშაბათს, „ბაზელთან" წაგებულ შეხვედრაში კარგად ითამაშა და თავი არც ამჯერად შეურცხვენია. ნანი დრიბლინგით გამოირჩეოდა. ფერგიმ განაგრძო:

*„ბოლოხანს მხოლოდ ტრადიციული ოპონენტები კი არა, ის ხალხიც გვაკრიტიკებდა, რომელიც ჩვენიანი გვეგონა, მაგრამ არა უშავს. ამაზე უკეთეს პასუხს ვერ გავცემდით".*

დამარცხებულთა თავკაცმა, **მიკ მაკარტიმ** კი განაცხადა: *„ყველაფერი, რასაც „იუნაიტედის" კრიზისსა და ჩავარდნაზე ამბობდნენ, სისულელე ყოფილა. ამ გუნდის განკარგულებაში ბევრი ვარსკვლავი და უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომლებიც დღითი დღე ვითარდებიან".*

ამბობენ, როდესაც **რობინ ვან პერსის** გოლი გააქვს, „არსენალი" იგებსო. ეს ნათქვამი ძალიან ჰგავს სიმართლეს. მართალია, „ევერტონთან" შეხვედრაში 28 წლის ჰოლანდიელს მწვრთნელის, **არსენ ვენგერის** აზრით კარგად არ უთამაშია, მაგრამ მან გოლი შეაგდო, თან ლამაზად და „მეთოფეებმაც" მორიგი სამი ქულა მიითვალეს. შეგახსენებთ, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვება „არსენალისთვის" ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. მიზეზი: ჩრდილოლონდონური კლუბი დაარსების 125 წლისთავთან დაკავშირებულ იუბილეს იხდიდა.

ვენგერი: *„რობინმა შესანიშნავი გოლი გაიტანა, მაგრამ ამას წინათ თავისი პირით თქვა, რომ ძველებურად ველარ თამაშობს. მეორე მხრივ, სწორედ ეს არის ნამდვილი პროფესიონალიზმი — როდესაც კარგ ფორმაში ვერ ხარ, მაგრამ შენსას მაინც აკეთებ. მან მომენტი იხელთა და სამი ქულა მოგვიტანა".*

„ევერტონის" თავკაცი **დევიდ მოიესი**: *„ვან პერსიმ მართლაც ოსტატურად დაარტყა და „არსენალმა" დაგვამარცხა, მაგრამ თავის მოტყუება საჭირო არ არის — პირველი ტაიმი 0:0 რომ დამთავრდა, გაგვიმართლა. მეორე მხრივ, გოლის გაშვების შემდეგ ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და გოლის გამტან გუნდს ჩვენ უფრო ვგავდით. რასაკვირველია, თამაშის გადარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ ეტყობა, მაინც კლასი დაგვაკლდა".*

შეხვედრას „ემირეიტ სთედიუმის" ტრიბუნიდან თვალს „არსენალის" სხვადასხვა თაობის ვარსკვლავები ადევნებდნენ.

„ლივერპულს" „ენფილდ როუდზე" ლონდონელი სტუმრები ჰყავდა - პრემიერლიგაში წლეულს გადასული „ქუინზ პარკ რეინჯერსი". მერსისაიდელებმა 1:0 გაიმარჯვეს და მწვრთნელის, **კენი დალგლიშის** გასახარად გამარჯვების გოლი 24 წლის ურუგვაელმა, **ლუის სუარესმა** შეაგდო. უეინ რუნისა არ იყოს, არც სუარესს გაეტანა კარგა ხნის განმავლობაში. ბოლოს პირველ ოქტომბერს შეაგდო. მას მერე კი გაზეთებში სკანდალების გამო ხვდებოდა — ბოლოს ურუგვაელის შესახებ იმიტომ წერდნენ, რომ „კრეივენ კოტეჯზე", „ფულჰემთან" შეხვედრის დროს, მეტოქის გულშემატკივარს უხამსი ჟესტი აჩვენა. მანჩესტერელი **პატრის ევრას** ჩივილზე, რომ სუარესმა მას რასობრივი შეურაცხყოფა მიაყენა, აქ აღარ შევჩერდებით.

დალგლიშმა თქვა: *„საერთოდ, ჰედლაინებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ ხვალ სუარესზე მხოლოდ კარგს რომ დაწერენ, ფაქტია. მან ზოგადადაც კარგად ითამაშა და გამარჯვების გოლიც შეაგდო. თან, ლუისმა თავით გაიტანა, რაც იშვიათობაა. ძალიან კმაყოფილი ვარ მთელი გუნდის თამაშითაც. ჩვენ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთის მეტი ვერ გავიტანეთ. თუმცა, როდესაც მეტოქე საპასუხოდ ვერაფერს აკეთებს, ერთიც საკმარისია. პირველ ტაიმში ჩემმა ფეხბურთელებმა დიდებული ფეხბურთი ითამაშეს. ვიქრობ, „ლივერპული" გოლამდე უფრო კარგი სანახავი იყო, ვიდრე გოლის შემდეგ".*

„ასტონ ვილასა" და „ბოლტონის" შეხვედრაში აღსანიშნავი ის გახლდათ, რომ ბოლტონელებმა თავიანთ „რიბოკ სთედიუმზე" კვლავ წააგეს — ეს იყო მათი მეექვსე მარცხი ამ სეზონში, შინ ჩატარებულ მეშვიდე შეხვედრაში. აი, ბირმინგემელებმა კი სტუმრად პირველად მოიგეს.

პრემიერლიგაში ახალაღზევებულმა „ნორვიჩმა" „ნიუკასლ იუნაიტედის" შთამბეჭდავ სვლას, როგორც ჩანს, საბოლოო წერტილი დაუსვა — „კაჭკაჭებმა" ბოლო ოთხი შეხვედრიდან სამი წააგეს, მაგრამ თუკი პირველი ორი მარცხი „მანჩესტერ სიტისა" და „ჩელსისგან" ინვნიეს, მესამე, როგორც ნახეთ, „ნორვიჩმა" (4:2) მოუგო. ამ შეხვედრაში „ნიუკასლი" 66-ე წუთის შემდეგ კაცნაკლული იყო. **დენ გოსლინგი რასელ მარტინის** წინააღმდეგ უხეშობისათვის პირდაპირი წითლით გააგდეს მოედნიდან. როგორც ჩანს, ცამდე მართალი იყო ის ხალხი, ვინც ამბობდა, რომ „კაჭკაჭების" კარგი თამაში მთლიანად დაცვის ცენტრის, **ფაბრისიო კოლოჩინისა** და **სტივენ ტეილორის** კარგი თამაშით იყო განპირობებული. ტრავმების გამო „ნორვიჩთან" შეხვედრაში არც ერთი იყო და არც მეორე.

სუონსიში ნაღდი თრილერი გაიმართა. ჯერ მასპინძლებმა გაუტანეს ლონდონიდან ჩასულ „ფულჰემს", მერე, თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე, სტუმრებმა პენალტის ნიშნულიდან ვერ შეაგდეს და... ამით ფრთაშესხმულმა უელსელებმა ბოლო წამს ანგარიში ორამდე გაზარდეს. ეს გახლდათ „სუონსის" პირველი გამარჯვება ბოლო ხუთ შეხვედრაში.

„უიგანმა" კი ვესტ ბრომვიჩში მოიგო. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრაში სტუმრებმა მეორე გოლი პენალტით გაიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ალბიონის" კარში მსაჯები, აგერ უკვე მეოთხე საშინაო შეხვედრაა, თერთმეტმეტრიანებს ნიშნავენ.

**მარტინ ო'ნილის** ფეხბურთში დაბრუნება კი ძალიან ეფექტური გამოდგა. „სანდერლენდი" „ბლექბერნს" მასპინძლობდა, 1:0-ს აგებდა და შეხვედრის მიწურულს, ბოლო წუთებში გატანილი ორი გოლის წყალობით მოიგო. შეგახსენებთ, რომ ო'ნილისთავის ეს იყო პირველი შეხვედრა „შავი კატების" თავკაცის რანგში.

ტურის ბოლო შეხვედრაში კი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ექვსმატჩიან მოგებათა სერია (თუ გნებავთ, ზედიზედ 11 წაუგებელი თამაშისგან შემდგარ შეხვედრათა რიგი) დასრულდა — სტოკში **მეტიუ ეზერინგტონის** ორ გოლს „დეზებმა" **ემანუელ ადებაიორის** პენალტით უპასუხეს, მაგრამ მეტი ვერაფერი შეძლეს. საინტერესოა, რომ პენალტი, რომელიც **ლუკა მოდრიჩის** წაქცევის გამო დაინიშნა, კამათის საბაბს იძლეოდა, ამ ეპიზოდის შემდეგ კი „სტოკის" საჯარიმოში იყო მომენტი, რომლის დროსაც თერთმეტმეტრიანი თითქოსდა ულაპარაკოდ უნდა დანიშნულიყო, მაგრამ...



უეინ რუნი

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

**17 დეკემბერი:** ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი, ევერტონი-ნორვიჩი, ფულჰემი-ბოლტონი, ნიუკასლი-სუონსი, ვულვერჰემპტონი-სტოკი, უიგანი-ჩელსი.

**18 დეკემბერი:** ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნაიტედი, ასტონ ვილა-ლივერპული, ტოტენჰემი-სანდერლენდი, მანჩესტერ სიტი-არსენალი.

# უცხოური ფეხბურთი

### ჰერთა-შალკე 1:2

**ჰერთა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, მიატროვიჩი, კობიაშვილი – ოტლი, ნიმაიერი (81. რონი) – ებერტი (70. თორუნი), რაფაელი, რამოსი – ლასოგა.

**შალკე (4-1-2-1-2):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი – ხურადო (87. ჰიოგერი), ჰოლტბი (67. მორიტცი) – რაული – ჰუნტელაარი, პუკი (73. დრაქსლერი).

**გოლები:** 0:1 ჰუნტელაარი (19), 1:1 რამოსი (25), 1:2 პუკი (44)

**გაფრთხილება:** ჯონსი

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-11(4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 52 382

### ვერდერი-ვოლფსბურგი 4:1

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – სოკრატისი (60. არნაუტოვიჩი), ვოლფი (71. პრიოდლი), ნალდო, შმიტცი – ბარგფრედე – ფრიტცი, იგნიოვსკი – ტრინკსი – პისარო (73. ვაგნერი), როზენბერგი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო – ტრეში, თიოლკე, მადლუნგი, მ. შეფერი – ჟოსუე (46. შინდცილორცი), კრისი – სალიჰამიჯიჩი (46. პოლტერი), დეჟაგა, ოროსკო (77. იონსონი) – მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 სოკრატისი (18), 2:0 პისარო (45), 3:0 როზენბერგი (55), 4:0 არნაუტოვიჩი (71), 4:1 მ. შეფერი (86)

**გაფრთხილება:** სოკრატისი – ჟოსუე, კრისი, ტრეში

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 17-19; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 20(11)-17(6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 39 124

### მაინცი-ჰამბურგი 0:0

**მაინცი (4-1-4-1):** ვეტკლო – პოსპეხი, ბუნგერტი, სვენსონი, ფათი – კირხჰოფი – კალიჯური, ივანშიტცი (54. ჩუპო-მოტინგი), მალი (77. ნ. მიულერი), სოტო – ალაგუი (83. გავრანოვიჩი).

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი – დიკმაიერი, ვესტერმანი, ბრუმა, აოგო – რინკონი, ტეშე (68. კაჩარი) – ტიორე (68. პეტრიჩი), ილიჩევიჩი (84. ლამი), იანსენი – გერერო.

**გაფრთხილება:** პოსპეხი

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12(5)-8(5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 34 000

### ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი 0:2

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი – ჩენდლერი, ვოლშაიდი, მარო, პლატენჰარდტი – ჰეგელერი, სიმონსი – აიგლერი (46. ფოილნერი), დიდავი (68. კოენი), ესვაინი (68. ბუნიაკუ) – პეკჰარტი.

**ჰოფენჰაიმი (4-1-4-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა, კომპერი, ჯონსონი – რუდი (66. ვილიამსი) – მლაპა, სალიჰოვიჩი, რობერტო ფირმინიო, ბაბელი (84. ვაისი) – იბიშევიჩი (75. ვუკჩევიჩი).

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (39), 0:2 იბიშევიჩი (56)

**გაძევება:** ჩენდლერი (43. ნიურნბერგი) – კომპერი (91. ჰოფენჰაიმი)

**გაფრთხილება:** აიგლერი, პეკჰარტი, სიმონსი – ბაბელი, იბიშევიჩი, ბეკი

**კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 19-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 8(3)-15(6); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 35 389

### კიოლნი-ფრაიბურგი 4:0

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – ბრეჩკო, ჟერომელი, ჯემალი, სერენო – ლანიგი, რიტერი (78. მატუშიკი) – კლემენსი (78. ფრაისი), ჟაჟალო, პეჟკო (70. აიხნერი) – პოდოლსკი.

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი – შმიდი, კრმასი, ბუტშერი, ბასტიანსი – შუსტერი – პუცილა (85. აბდესადკი), მაკიადი, ფლუმი, როზენტალი (63. რაიზინგერი) – სისე.

**გოლები:** 1:0 კლემენსი (19), 2:0 პოდოლსკი (60), 3:0 კლემენსი (66), 4:0 პოდოლსკი (73)

**გაფრთხილება:** სერენო – ბასტიანსი, შუსტერი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 9-12; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 14(6)-11(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 44 500

### აუგსბურგი-ბორუსია (მ) 1:0

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ამსიფი – ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, სანკო, დე იონგი – ჰოსოგაი, დავიდსი – ბაიერი (85. ბრინკმანი), იორლი (91. სინკალა), ვერნერი (78. ჰაინი) – მიოლდერსი.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი – მარქსი (76. ოცუ), ნოიშტედტერი – ჰერმანი (70. ლეკიე), არანგო – ბობადილია (65. დე კამარგო), ჰანკე.

**გოლი:** 1:0 კალსენ-ბრაკერი (51)

**გაფრთხილება:** მიოლდერსი, კალსენ-ბრაკერი, ჰოსოგაი – მარქსი, დე კამარგო

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 22-22; **თამაშგარე:** 13-1; **კარში დარტყმა:** 11(5)-13(5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 660

### ჰანოვერი-ლევერკუზენი 0:0

**ჰანოვერი (4-2-2-1-1):** ცილერი – ჩაჰედი, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი (83. პანდერი) – პინტუ, შმიდებახი – შტინდლი (89. შტოპელკამპი), რაუში – შლაუდრაფი (80. ია კონანი) – აბდელაუ.

**ლევერკუზენი (4-2-2-2):** ლენო – კასტრო, შვააბი, მ. ფრიდრიხი, კადლეცი – ლ. ბენდერი, როლფესი (46. ბალაკი) – სემი, შიურლე – კისლინგი, დერდიოკი.

**გაფრთხილება:** შიურლე, ლენო

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 17(4)-12(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 44 800

### ბორუსია (დ)-კაიზერსლ. 1:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი (78. ოვომოიელა) – გიუნდოგანი, და სილვა (73. პერიშიჩი) – ბლაშჩიკოვსკი (66. გიოტცე), კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ტრაპი – დიკი, აბელი, როდნი, ბუგერა – კირხი (51. შეხტერი), დევიტი (83. პეცოსი) – ფორტუნისი, ტიფერტი, შაჰანი – კუემაა (78. ნემეცი).

**გოლები:** 1:0 კაგავა (27), 1:1 შაჰანი (60)

**გაფრთხილება:** გიუნდოგანი - კუემაა

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 12-25; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 23(5)-12(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 80 720

### შტუტგარტი-ბაიერნი 1:2

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბოკა, ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, გენტნერი (70. კაკაუ) – ჰარნიკი, ჰაინალი (87. ნიდერმაიერი), გებჰარდტი – შიბერი (70. პოგრებნიაკი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, კროოსი – რობენი (89. ბოატენგი), თ. მიულერი (79. ლუის გუსტავო), რიბერი (79. ალაბა) – გომესი.

**გოლები:** 1:0 გენტნერი (6), 1:1 გომესი (13), 1:2 გომესი (57)

**გაძევება:** მოლინარო (29. შტუტგარტი)

**გაფრთხილება:** გენტნერი, ბოკა, ნიდერმაიერი – თ. მიულერი, ბადშტუბერი, რაფინია, გომესი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 6(2)-18(5); **ბურთის ფლობა:** 26%-74%.

**მაყურებელი:** 60 469

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 11 | 1 | 4 | 40:10 | 34 |
| 2. ბორუსია (დ) | 16 | 9 | 4 | 3 | 31:11 | 31 |
| 3. შალკე | 16 | 10 | 1 | 5 | 33:22 | 31 |
| 4. ბორუსია (მ) | 16 | 9 | 3 | 4 | 24:11 | 30 |
| 5. ვერდერი | 16 | 9 | 2 | 5 | 30:26 | 29 |
| 6. ლევერკუზენი | 16 | 7 | 5 | 4 | 22:19 | 26 |
| 7. შტუტგარტი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:19 | 22 |
| 8. ჰანოვერი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:23 | 22 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 16 | 6 | 3 | 7 | 18:18 | 21 |
| 10. კიოლნი | 15 | 6 | 2 | 7 | 26:31 | 20 |
| 11. ჰერთა | 16 | 4 | 7 | 5 | 23:25 | 19 |
| 12. ჰამბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:26 | 18 |
| 13. მაინცი | 15 | 4 | 5 | 6 | 21:27 | 17 |
| 14. ვოლფსბურგი | 16 | 5 | 2 | 9 | 22:34 | 17 |
| 15. კაიზერსლ. | 16 | 3 | 6 | 7 | 12:20 | 15 |
| 16. ნიურნბერგი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:28 | 15 |
| 17. აუგსბურგი | 16 | 3 | 5 | 8 | 14:27 | 14 |
| 18. ფრაიბურგი | 16 | 3 | 4 | 9 | 20:35 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 – გომესი (ბაიერნი); 14 – ჰუნტელაარი (შალკე); 13 – პოდოლსკი (კიოლნი); 12 – პისარო (ვერდერი); 10 – ლევანდოვსკი (ბორუსია დ), როისი (ბორუსია მ); 9 – სისე (ფრაიბურგი).

## II ბუნდესლიგა

XVIII ტური

**დუისბურგი-კარლსრუე 3:1**

**გოლები:** 1:0 სუკალო (3), 2:0 იულა (57), 2:1 ბო. მიულერი (59), 3:1 ბროზინსკი (71)

**მიუნხენ 1860-ბრაუნშვაიგი 3:0**

**გოლები:** 1:0 აიგნერი (32), 2:0 რაკიჩი (58), 3:0 ლაუთი (65)

**პადერბორნი-ჰანზა 2:0**

**გოლები:** 1:0 მეჰა (17), 2:0 პრომშვიტცი (51)

**ბოხუმი-ფორტუნა 1:0**

**გოლი:** 1:0 ინუი (38), 1:1 რიოსლერი (74)

**უნიონი-ფრანკფურტი 4:0**

**გოლები:** 1:0 ედე (17), 2:0 ნ'დიაიე (28-საკ. კარში), 3:0 შტუფი (78), 4:0 ტეროდე (82)

**ალემანია-აუე 1:1**

**გოლები:** 1:0 აუერი (49), 1:1 კემპე (64)

**ინგოლშტადტი-ზანკტ პაული 1:0**

**გოლი:** 1:0 აკაიჩი (89)

**დინამო (დ)-კოტბუსი 2:1**

**გოლები:** 1:0 პოტე (50), 1:1 რანგელოვი (56), 2:1 პოტე (86)

**აინტრახტი-ფიურტი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფორტუნა | 18 | 12 | 6 | 0 | 41:17 | 42 |
| 2. აინტრახტი | 17 | 11 | 5 | 1 | 41:17 | 38 |
| 3. ფიურტი | 17 | 11 | 3 | 3 | 36:14 | 36 |
| 4. ზანკტ პაული | 18 | 11 | 3 | 4 | 36:21 | 36 |
| 5. პადერბორნი | 18 | 10 | 6 | 2 | 26:13 | 36 |
| 6. უნიონი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:24 | 31 |
| 7. მიუნხენ 1860 | 18 | 9 | 2 | 7 | 37:27 | 29 |
| 8. ბრაუნშვაიგი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:21 | 28 |
| 9. კოტბუსი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:29 | 22 |
| 10. დინამო (დ) | 18 | 6 | 3 | 9 | 31:32 | 21 |
| 11. ბოხუმი | 18 | 6 | 3 | 9 | 23:29 | 21 |
| 12. დუისბურგი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:26 | 19 |
| 13. აუე | 18 | 4 | 6 | 8 | 15:30 | 18 |
| 14. ალემანია | 18 | 2 | 8 | 8 | 16:25 | 14 |
| 15. ფრანკფურტი | 18 | 2 | 8 | 8 | 18:34 | 14 |
| 16. ინგოლშტადტი | 18 | 3 | 4 | 11 | 20:38 | 13 |
| 17. კარლსრუე | 18 | 3 | 3 | 12 | 18:40 | 12 |
| 18. ჰანზა | 18 | 1 | 8 | 9 | 11:28 | 11 |

**ბომბარდირები:** 11 – პრომშვიტცი (პადერბორნი), რიოსლერი (ფორტუნა); 10 - ოკეანი (ფიურტი); 9 – კრუპკე (ბრაუნშვაიგი), კრუსე (ზანკტ პაული), ფოლანდი (მიუნხენ 1860).

## III ბუნდესლიგა

**არმინია-ოსნაბრიუკი 1:1, ვეენი-შტუტგარტი II 1:1, რეგენსბურგი-ვერდერი II 3:2, ერფურტი-ბაბელსბერგი 2:3, ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი 4:2, ზაარბრიუკენი-ობერჰაუზენი 5:2, ჰაიდენჰაიმი-უნტერჰახინგი 3:1, ზანდჰაუზენი-ოფენბახი 1:1, პროისენ მიუნსტერი-ხემნიტცი 2:2, დარმშტადტი-აალენი 1:2.**

---

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

# შემოდგომა ბაიერნისაა!

## რეკორდმაისტერს პირველ წრეში პირველობას ველარავინ წაართმევს

პირველი წრის ბოლოსწინა ტური პარასკევს, „შალკეს“ გამარჯვებით დაიწყო: გელზენკირხენელებმა ბერლინში „ჰერტას“ 2:1 მოუგეს და ნახეთ, როგორი ბალანსი აქვს **ლევან ყენიას** კლუბს **ჰუუბ სტევენსის** ხელში: 19 ქულა 9 თამაშში. წარმატებულ სვლას ისიც დაემატა, რომ კლუბის ხელმძღვანელებმა **ლუკას პოდოლსკის** გადაბირების სურვილი ფაქტობრივად ოფიციალურად დაადასტურეს და „შალკეს“ ფანებიც გაბედნიერდნენ, რადგან პოდოლსკისა და **კლაას-იან ჰუნტელაარის** წყვილი თავდასხმაში მართლაც იდეალური იქნებოდა. ამ უკანასკნელმა „ჰერტასაც“ გაუტანა და ეს ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში მისი მე-14 გოლი გახლდათ. ამიტომაც იყო, გელზენკირხენელთა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ჰუნტელაარისადმი საქებარი სიტყვები რომ არ დაიშურა – ბრწყინვალე ფორმაშია და ზუსტად იცის, ბურთს რა დროს სად უნდა დახვდეს და როგორ უნდა დაარტყასო. „შალკეს“ ვერც **რამოსის** გოლმა დააკლო რამე – „ხუმარებმა“ მეორედ დაწინაურება პირველივე ტაიმში მოახერხეს – გოლის ავტორი კი ახალგაზრდა ფორვარდი **პუკი** გახლდათ, რომელმაც **რაულის** პასით იხეირა.

რაც შეეხება „ჰერტას“: ბერლინურ კლუბში დაძაბული ვითარებაა, რადგან მწვრთნელი **მარკუს ბაბელი** ბოსების შეთავაზებას ჯერ არ ეხმაურება და არავინ იცის, გააგრძელებს თუ არა კონტრაქტს, რომელსაც ვადა სეზონის ბოლოს გასდის. მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** ახალგაზრდა სპეციალისტს მოსაფიქრებლად დრო 21 იანვრამდე მისცა – გერმანიაში ამბობენ, ბაბელს ძალიან საინტერესო შეთავაზება აქვს და ამიტომაცაა, „ჰერტასთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას რომ არ თანხმდებაო. ჰო, მართლა, კინალამ დაგვავიწყდა: **ლევან კობიაშვილმა** ყოფილი გუნდის წინააღმდეგ სრულად ითამაშა და ისერა, შთაბეჭდილება დატოვა...

რა იქნებოდა „ვერდერი“ **კლაუდიო პისაროს** გარეშე? პასუხი: გავარდნის კანდიდატი! ბრემენელებმა „ვოლფსბურგი“ რომ გაანადგურეს (4:1), ეს პირველ რიგში 33 წლის პერუელი თავდამსხმელის დამსახურებაა, რომელმაც მართალია, ამჯერად მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა, მაგრამ სამაგიეროდ, ორი საგოლე პასიც მიითვალა და უდავოდ მატჩის გმირი იყო. რომ არა პისაროს 12 გოლი და 7 საგოლე პასი ამ სეზონში, „ვერდერს“ 14 ქულით ნაკლები ექნებოდა და **თომას შააფის** შეგირდები გასავარდნ ზონასთან ძალიან ახლოს იყვინთავებდნენ. პისაროსა და კომპანიის მიერ გალახული „ვოლფსბურგი“ კი უკვე მართლაც კრიტიკულ მდგომარეობაშია. **ფელიქს მაგათისთვის** ეს სეზონი ჯერჯერობით ყველაზე უარესია ყველა იმ სეზონს შორის, რომელიც მას „მგლების“ მთავარი მწვრთნელის რანგში აქვს ჩატარებული – მხოლოდ 17 ქულა 16 ტურის შემდეგ. „ვოლფსბურგს“ გასვლით მატჩებში მხოლოდ 4 ქულა აქვს აღებული და ამ მხრივ ყველაზე ცუდად გამოიყურება. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც კი ბრემენელებმა ანგარიში გახსნეს, „ვოლფსბურგი“ „წელში გადატყდა“, ფეხბურთელებმა თითქოს ბრძოლის სურვილი დაკარგეს. როგორც ჩანს, მაგათის შეგონებებმა შედეგი ისევ არ გამოიღო.

*„სოკრატისის გოლის შემდეგ ფაქტობრივად დავნებდით. მენტალური სიძლიერე გვაკლია, გასვლით შეხვედრებში კი ბრძოლისუნარიანობა მინიმუმამდეა დასული. მიხარია, რომ იანვრის შუა რიცხვებამდე სტუმრად თამაში აღარ მოგვიწევს,“* - თქვა მაგათმა საფინალო სასტვენის შემდეგ.

წინა ტურის შემდეგ ვწერდით, რომ „გლადბახი“ **მარკო როისის** გარეშეც გუნდია, ამ დასკვნამდე კი იმ ფაქტმა მიგვიყვანა, რომ თავიანთი მთავარი მოთამაშის გარეშე მიონხენგლადბახელებმა დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ფრეს მიაღწიეს. ახლა კი ამ მოსაზრებაში ეჭვი გვეპარება. თუკი როისთან ერთად „გლადბახმა“ „ბაიერნიც“ კი დაამარცხა, ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო და სეზონის აღმოჩენა გახდა, მარკოს გარეშე **ლუსიენ ფავრის** გუნდს უკუსვლა დაეწყო. შაბათს, აუტსაიდერ „აუგსბურგთან“ განცდილი მარცხი (0:1) სწორედ ამის დასტურია. თუმცა როისს სერიოზული ტრავმა აქვს და დიდი შანსია, რომ პირველი წრის ბოლო ტურში (მაინცთან) დაბრუნდეს. საინტერესო სტატისტიკა: როისი „გლადბახში“ 2009 წელს, „ალენიდან“ გადავიდა (ფასი 1 მილიონი ევრო) და მას მერე ტრავმის გამო ხუთი თამაში გამოტოვა. ამ ხუთი შეხვედრიდან მიონხენგლადბახელებმა



ფრანკ რიბერი და მარიო გომესი

ოთხი წააგეს, ერთხელ ფრეს მიაღწიეს, მოგებით კი არ მოუგიათ. „აუგსბურგმა“ კი სწორედ ამით ისარგებლა და ძალიან საჭირო სამი ქულა ჩაიწერა – გამარჯვების გოლის ავტორი კი, სხვათა შორის, ყოფილი გლადბახელი **იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერია...**

„კიოლნმა“ „ფრაიბურგი“ 4:0 გაანადგურა, რაც **ლუკას პოდოლსკის** დამსახურებაა, რომელიც კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო (თუ საუკეთესო არა) სეზონს ატარებს! გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, 26 წლის პოლდი მოედანზე საუკეთესო გახლდათ. მის ანგარიშზე კი უკვე 13 გოლია და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ პოდოლსკის ამაზე მეტი გოლი ბუნდესლიგაში მანამდე არცერთ სეზონში არ აქვს გატანილი, დუბლი კი ამ სეზონში უკვე მეხუთედ შეასრულა, თანაც, „კიოლნს“ სულ 26 გოლი აქვს გატანილი და აქედან 18-ში პოდოლსკის უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული (69-პროცენტი).

„ჰამბურგმა“ ისევ არ წააგო – ჩრდილოელებმა ამჯერად მაინცში ითამაშეს კარგად და უგოლო ფრეს მიაღწიეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჰამბურგი“ **ტორსტენ ფინკის** ხელში ჯერ კიდევ დაუმარცხებელია, რითაც ეს სპეციალისტი სამართლიანად ამაყობს. „ჰოფენჰაიმმა“ კი **ვედად იბიშევიჩის** დუბლით ნიურნბერგში მოიგო – ამბობენ, ვედოს პრემიერლიგაში ეპატიჟებიანო. შაბათს საღამოს „ჰანოვერმა“ და „ლევერკუზენმა“ ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს, გარდა ორ-ორი ქულისა – 0:0.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ ისევ ვერ მოიგო – თუკი ერთი კვირის წინ მიონხენგლადბახში მიღწეული ფრე მოქმედ ჩემპიონს მაინც გარკვეულწილად აქტივში ჩაეთვალა, საკუთარ მოედანზე „კაიზერსლაუტერნთან“ ვერმოგება უკვე ნაღდად წარუმატებლობაა. მართალია, **იურგენ კლოპის** გუნდმა წაუგებელი სერია ათამდე გაზარდა, მაგრამ ფაქტია, რომ BVB-ს ქომაგები საყვარელი გუნდისგან გუშინ მხოლოდ სამი ქულის მოპოვებას ითხოვდნენ. არადა, დორტმუნდელები **შინჯი კაგავას** საკმაოდ ეფექტური გოლით იგებდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „კაიზერსლაუტერნმა“ პირველიდან ბოლო წუთამდე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ვერავინ იტყვის, რომ პფალცელებმა ეს ქულა არ დაიმსახურეს. მაგალითად, კაგავას გოლამდე **დიკმა** დორტმუნდელთა კარის ძელი შეაზანზარა. სხვათა შორის, ძელმა იხსნა „ლაუტერნის“ კარიც – მე-14 წუთზე, **ლევანდოვსკის** დარტყმისას. მეორე ტაიმში წონასწორობა გერმანელ-თურქმა **შაჰანმა** მოხდენილი გოლით აღადგინა – აღსანიშნავია, რომ მან **პიუჩეკის** შეცდომით ისარგებლა, **ვაიდენფელერს** კი შანსი არ დაუტოვა. დარჩენილ ნახევარ საათში „ბორუსიას“ სამჯერ შეეძლო წინ გასვლა: ჯერ იყო და, **ჰუმელსის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი „კაიზერსლაუტერნის“ კარის ხარიხას მოხვდა, მერე ლევანდოვსკი **ტრაპთან** პირისპირ გავიდა და ვერ ივარგა, ბოლოს კი **გიოტცემაც** მოარტყა ბურთი ტრაპის კარის ძელს.

„გლადბახის“ და „დორტმუნდის“ წაფორხილებით „ბაიერნმა“ ისარგებლა – რეკორდმაისტერმა ტურის უკანასკნელ და ცენტრალურ შეხვედრაში „შტუტგარტი“ მისსავე მოედანზე უპრობლემოდ დაამარცხა და მდევრებთან უპირატესობა სამ ქულამდე გაზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენური გრანდი ფაქტობრივად შემოდგომის ჩემპიონია. ბურთების შეფარდების მხრივ ბავარიელებს დორტმუნდელებთან (+10) და გელზენკირხენელებთან (+19) იმდენად დიდი უპირატესობა აქვთ, რომ მომდევნო ტურში პირველი წრის მოგებას ნამდვილად გაინაღდებენ. არადა, შტუტგარტელებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო: შვაბები **გენტნერის** გოლით დაწინაურდნენ, თუმცა **მარიო გომესმა** წონასწორობა მალევე აღადგინა, მერე კი „შტუტგარტს“ **კრისტიან მოლინარო** გაუძევეს, რაც **რობენის** დამსახურებაა და ცხადი გახდა, რომ **ბრუნო ლაბადიას** გუნდი რეკორდმაისტერს ველარ გაუმკლავდებოდა. გომესმა მეორე გოლი 57-ე წუთზე გაიტანა (მარიოს მე-15 გოლი ამ სეზონში), რის შემდეგაც **ჰაინკესის** ბიჭებმა მატჩი უპრობლემოდ მიიყვანეს გამარჯვებამდე.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

16 დეკემბერი. ბაიერნი-კიოლნი.

17 დეკემბერი. ლევერკუზენი-ნიურნბერგი, ჰამბურგი-აუგსბურგი, ფრაიბურგი-ბორუსია (დ), ჰოფენჰაიმი-ჰერტა, ვოლფსბურგი-შტუტგარტი, შალკე-ვერდერი.

18 დეკემბერი. კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი, ბორუსია (მ)-მაინცი.

## თურქეთი. სუპერლიგა.

XIV ტური

**გაზიანთეფი-ესქიშეჰირი 0:1**

გოლი: 0:1 ოზბაირაქთარი (56)

**ანთალია-ანკარაგიუჯუ 1:0**

გოლი: 1:0 ზოტუნი (80)

**გენჩლერბირლიგი-ორდუ 3:1**

გოლები: 0:1 კულიო (47), 1:1 იოზთექინი (50), 2:1 ტუმი (59), 3:1 აიჰანი (90-საკ. კარში)

**მერშინი-სამსუნი 1:0**

გოლი: 1:0 ბეტუ (85)

**ბეშიქთაში-ბუიუქშეჰირი 1:1**

გოლები: 1:0 პექთემექი (70), 1:1 კიოშე (87)

**ტრაბზონი-გალათასარაი 0:3**

გოლები: 0:1 ელმანდერი (5), 0:2 ინანი (44), 0:3 გიულსელამი (90)

**ქაისერი-ქარაბიუქი** დღეს

**სივასი-მანიშა** დღეს

**ბურსა-ფენერბაჰჩე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 15 | 9 | 4 | 2 | 24:11 | 31 |
| 2. ბეშიქთაში | 15 | 8 | 4 | 3 | 23:16 | 28 |
| 3. ფენერბაჰჩე | 14 | 8 | 4 | 2 | 21:14 | 28 |
| 4. ესქიშეჰირი | 15 | 8 | 2 | 5 | 18:15 | 26 |
| 5. ბუიუქშეჰირი | 15 | 6 | 5 | 4 | 20:15 | 23 |
| 6. მერშინი | 15 | 6 | 5 | 4 | 15:13 | 23 |
| 7. მანიშა | 14 | 6 | 5 | 3 | 14:12 | 23 |
| 8. ტრაბზონი | 14 | 5 | 6 | 3 | 19:17 | 21 |
| 9. ქაისერი | 14 | 6 | 1 | 7 | 16:16 | 19 |
| 10. გენჩლერბ. | 14 | 5 | 4 | 5 | 18:19 | 19 |
| 11. ანთალია | 15 | 5 | 4 | 6 | 13:16 | 19 |
| 12. სივასი | 14 | 5 | 4 | 5 | 20:24 | 19 |
| 13. ბურსა | 14 | 4 | 5 | 5 | 16:14 | 17 |
| 14. ორდუ | 15 | 4 | 5 | 6 | 13:15 | 17 |
| 15. გაზიანთეფი | 15 | 3 | 5 | 7 | 12:16 | 14 |
| 16. ქარაბიუქი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:19 | 12 |
| 17. სამსუნი | 15 | 2 | 5 | 8 | 9:18 | 11 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 15 | 1 | 3 | 11 | 15:31 | 6 |

**ბომბარდირები:** 13 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 7 – ვებო (ბუიუქშეჰირი); 6 – ნობრე (მერშინი); 5 – ალექსი (ფენერბაჰჩე), ელმანდერი (გალათასარაი), მადურეირა (ბუიუქშეჰირი), უნალი (ქაისერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევანტე–სევილია 1:0

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, ფარინოსი (65. იბორა) - ვალდო, ბარკერო (88. რ. სუარესი), ხუანლუ (85. პალიარდო) - კონე.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე (61. კანუტე), სპაჰიჩი, ფასიო, ნავარო - მედელი, რაკიტიჩი (79. არმენტეროსი) - ხესუს ნავასი, ტროხოვსკი (67. კამპანია), დელ მორალი - ნეგრედო.

**გოლი:** 1:0 ნანო (56)

**გაფრთხილება:** ხუანლუ, ბალესტეროსი - ტროხოვსკი, ნავარო, ნავასი, სპაჰიჩი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-15 (3-6); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 16 000

## ბეტისი–ვალენსია 2:1

**ბეტისი (4-4-2):** კასტო - ისიდორო, მარიო, დორადო, ნაჩო - პოსუელო (75. ესეკილი), ირინეი, ბენატი, პერეირა (79. ხუანმა) - რ. კასტრო, სანტა კრუსი (75. მოლინა).

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, დეალბერტი, რუისი, მატიო - მ. თოპალი, ტ. კოსტა (83. ალბელდა) - პ. ერნანდესი, ჟონასი (76. პარეხო), ფეგული - სოლდადო (88. ადურისი).

**გოლები:** 0:1 დორადო (66 ს.კ.), 1:1 რ. კასტრო (91), 2:1 რ. კასტრო (94)

**გაფრთხილება:** მარიო, პერეირა, კასტრო - კოსტა, სოლდადო, ბარაგანი

**კუთხური:** 13-5; **ჯარიმა:** 11-16; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 18-7 (4-2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 39 000

## რეალი–ბარსელონა 1:3

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - კოენტრაო, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ჩაბი ალონსო, ლ. დიარა (62. ხედირა) - დი მარია (67. იგუაინი), იოზილი (57. კაკა), რონალდო - ბენზემა.

**ბარსელონა (3-4-3):** ვალდესი - პიკე, პუიოლი, აბიდალი - დანი ალვეში, ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (88. პედრო) - მესი, ფაბრეგასი (78. კეიტა), სანჩესი (83. ვილია).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (1), 1:1 სანჩესი (29), 1:2 მარსელო (52 ს.კ.), 1:3 ფაბრეგასი (65)

**გაფრთხილება:** ჩაბი ალონსო, დიარა, პეპე, რამოსი- სანჩესი, მესი, პიკე

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 21-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 17-12 (5-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 79 900

## რაიო ვალეკანო–სპორტინგი 1:3

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო, არიბასი, ლაბაკა, კასადო - მოვილია (46. რაიკო), რ. გარსია (63. დელიბაშიჩი) - ტრაშორასი, მიჩუ, პიტი () - ტამუდო.

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ბოტია, ი. ერნანდესი, გრეგორი, კანელია - რივერა, ანდრე კაშტრო - ტრეხო, ნაჩო ნოვო (69. ბილიჩი), დე ლას კუევასი (80. ს. ალვარესი) - ბარალი (76. კარმელო).

**გოლები:** 0:1 ბარალი (9), 0:2 ნაჩო ნოვო (36), 0:3 ნაჩო ნოვო (66), 1:3 მიჩუ (90)

**გაფრთხილება:** არიბასი, ტიტო - ბოტია, კანელია

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 6-8; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 19-13 (7-7); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 11 000

## ხეტაფე–გრანადა 1:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, რაფა, მანე - მიჩელი (58. კასკერო), ლასენი - სარაბია (56. კოლუნგა), აბდელი, დ. კასტრო - მიკუ (70. გუისა).

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი (77. კორტესი), ი. ლოპესი, პამარო, სიკეირა - მ. რიკო, იებდა (10. მოისესი) - უჩე, აბელი, ხარა - იგჰალო (75. ხეიხო).

**გოლი:** 1:0 კასკერო (81)

**გაფრთხილება:** ვალერა, მიჩელი, კასკერო, კასტრო - სიკეირა, იგჰალო

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 19-7 (7-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 10 500

## ვილიარეალი–სოსიედადი 1:1

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი (63. კამუნიასი), გონსალო, საპატა, ორიოლი (70. დე გუზმანი) - ბ. ვალერო, სენა, ბრუნო, კანი - ნილმარი (69. ხოსელუ), მ. რუბენი.

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, ესტრადა - ელუსტონდო, არანბურუ - ველა (81. ჩაბი პრიეტო), ზურუტუზა (75. კადამურო), გრიზმანი - აგირეჩე (66. მარიგა).

**გოლები:** 0:1 არანბურუ (51), 1:1 მ. რუბენი (70)

**გაფრთხილება:** საპატა, ორიოლი - გონსალესი, ელუსტონდო, ზურუტუზა

**გაძევება:** ელუსტონდო (62)

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 16-15; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 19-8 (7-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 16 000

## სარაგოსა–მალიორკა 0:1

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სუკულინი (46. ორტი), ლანსარო, პინტერი, აბრაჰამი - პონსიო, რუბენ მიკაელი (61. ა. ტომასი) - ბარბერა, ლუის გარსია (46. ლაფიტა), ხუან კარლოსი - პოშტიგა.

**მალიორკა (4-4-2):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, კასერესი - პერეირა, ტისონე, პინა (82. ჟოაო ვიქტორი), გ. კასტრო (70. ნსუე) - ალვარო (76. ჰემედი), ვიქტორი.

**გოლი:** 0:1 ვიქტორი (40)

**გაფრთხილება:** პინტერი, პოშტიგა - სენდროსი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 7-14 (3-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 24 500

## მალაგა–ოსასუნა 1:1

**მალაგა (4-4-2):** კაბალიერო - ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - კასორლა, ტულალანი, დუდა (46. ხოაკინი), ისკო - რონდონი, სება ფერნანდესი (61. ხუანმი).

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - როვერსიო, სერხიო, ფლანიო, სატრუსტეგი (57. რაიტალა) - პუნიალი, ლოლო (70. რ. ტორესი), ტიმორი - იბრაჰიმა, ნინო, ლამა (76. სეხუდო).

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმა (33), 1:1 ხუანმი (69)

**გაფრთხილება:** სანჩესი - სატრუსტეგი

**კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 19-7 (5-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 000

## ბილბაო–რასინგი 1:1

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა (68. ეკიზა), აურტენეჩე - იტურასპე, დე მარკოსი (63. დ. ლოპესი) - სუსაეტა (60. გაბილონდო), ანდერი, მუნიაინი - ტოკერო.

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო, სისმა - დიოპი, კოლსა - არანა (59. აკოსტა), ადრიანი (78. ხ. ლუკე), სერანო - მუნიტისი (86. სტუანი).

**გოლები:** 1:0 აურტენეჩე (79), 1:1 ალვარო (92)

**გაფრთხილება:** ირაოლა, იტურასპე - სისმა, სერანო, მუნიტისი, არანა

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 13-23; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16-6 (2-2); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 34 500

## ესპანიოლი–ატლეტიკო 4:2

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - გალანი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი (46. ბაენა), ვერდიუ - ტიევი, რუი ფონტე (63. კ. გომესი), რომარიკი - ს. გარსია (74. ალფონსო).

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - პერეა, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი (63. ასუნსაო), გაბი - სალვიო (46. ადრიან ლოპესი), დიეგო, არდა თურანი (83. კოკე) - ფალკაო.

**გოლები:** 1:0 ვერდიუ (5), 2:0 ვერდიუ (7), 3:0 რომარიკი (19), 3:1 ფალკაო (32), 4:1 ს. გარსია (54), 4:2 არდა თურანი (82)

**გაფრთხილება:** ფორლინი, გარსია, ბაენა - ასუნსაო, პერეა, მირანდა, გოდინი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 17-18; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 15-9 (12-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 11 | 4 | 1 | 50-8 | 37 |
| 2. რეალი | 15 | 12 | 1 | 2 | 50-13 | 37 |
| 3. ვალენსია | 15 | 9 | 3 | 3 | 24-16 | 30 |
| 4. ლევანტე | 15 | 9 | 2 | 4 | 24-17 | 29 |
| 5. სევილია | 15 | 6 | 6 | 3 | 16-11 | 24 |
| 6. მალაგა | 15 | 7 | 3 | 5 | 20-20 | 24 |
| 7. ოსასუნა | 15 | 5 | 7 | 3 | 19-27 | 22 |
| 8. ესპანიოლი | 15 | 6 | 2 | 7 | 15-19 | 20 |
| 9. ბილბაო | 15 | 4 | 7 | 4 | 21-18 | 19 |
| 10. ატლეტიკო | 15 | 5 | 4 | 6 | 23-25 | 19 |
| 11. მალიორკა | 15 | 4 | 6 | 5 | 14-20 | 18 |
| 12. სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 16-23 | 16 |
| 13. ბეტისი | 15 | 5 | 1 | 9 | 15-22 | 16 |
| 14. ბეტისი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-22 | 16 |
| 15. გრანადა | 15 | 4 | 4 | 7 | 8-15 | 16 |
| 16. ვალეკანო | 16 | 4 | 4 | 8 | 17-25 | 16 |
| 17. ვილიარეალი | 15 | 3 | 6 | 6 | 12-21 | 15 |
| 18. სპორტინგი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-25 | 15 |
| 19. რასინგი | 15 | 2 | 7 | 6 | 11-21 | 13 |
| 20. სარაგოსა | 15 | 2 | 4 | 9 | 12-29 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა); 12 - გონსალო იგუაინი (რეალი); 9 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 8 - ქარიმ ბენზემა (რეალი), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა).

## სეგუნდა დივიზიონი. XVII ტური

**ბარსელონა II-ალმერია 3:3**

**გოლები:** 1:0 ჟ. სორიანო (45), 1:1 ფ. სორიანო (55), 1:2 ფ. სორიანო (68), 2:2 რივეროლა (78), 3:2 ტელო (82), 3:3 ნიგესი (89)

**საბადელი-ელჩე 0:0**

**ხიმნასტიკი-კორდობა 0:0**

**გაძევება:** შარლესი (76. კორდობა)

**ალკოიანო-ხირონა 2:1**

**გოლები:** 1:0 ესტებანი (49), 2:0 გატო (68), 2:1 მიგე (69)

**ალკორკონი-სელტა 0:0**

**დეპორტივო-ნუმანსია 3:1**

**გოლები:** 1:0 ლასადი (15), 2:0 გუარდადო (34), 2:1 ხუანხო (61), 3:1 ხ. დომინგესი (85)

**კარტახენა-ლას პალმასი 0:0**

**გაძევება:** გერერო (58. ლას პალმასი)

**ვილიარეალი II-ხერესი 3:1**

**გოლები:** 1:0 პორკარი (41), 2:0 პორკარი (65), 2:1 კამპანო (84), 3:1 ხერარდი (90)

**გაძევება:** ხოსე მარი (90. ხერესი)

**უელვა-უესკა 1:1**

**გოლები:** 1:0 ფიდელი (75), 1:1 ტარიკ სპეცი (86)

**ერკულესი-ვალიადოლიდი 2:2**

**გოლები:** 0:1 გუერა (9), 0:2 ვ. პერესი (39), 1:2 აგილარი (51), 2:2 აგანსო (56)

**გაძევება:** ალემანი (57. ვალიადოლიდი)

**გვადალახარა-მურსია 2:1**

**გოლები:** 1:0 გაფური (12), 2:0 მორენო (33), 2:1 პედრო (82)

**გაძევება:** ბარალი (80. გვადალახარა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 17 | 10 | 3 | 4 | 18-11 | 33 |
| 2. ელჩე | 17 | 9 | 4 | 4 | 26-16 | 31 |
| 3. დეპორტივო | 17 | 9 | 3 | 5 | 28-22 | 30 |
| 4. ვალიადოლიდი | 17 | 7 | 8 | 2 | 24-16 | 29 |
| 5. კორდობა | 17 | 8 | 5 | 4 | 19-13 | 29 |
| 6. ალმერია | 17 | 7 | 7 | 3 | 24-18 | 28 |
| 7. სელტა | 17 | 8 | 3 | 6 | 29-19 | 27 |
| 8. გვადალახარა | 17 | 7 | 5 | 5 | 20-22 | 26 |
| 9. ალკორკონი | 17 | 7 | 4 | 6 | 19-13 | 25 |
| 10. ლას პალმასი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-21 | 24 |
| 11. საბადელი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-29 | 24 |
| 12. ბარსელონა II | 17 | 6 | 5 | 6 | 28-25 | 23 |
| 13. მურსია | 17 | 6 | 5 | 6 | 20-21 | 23 |
| 14. ნუმანსია | 17 | 5 | 7 | 5 | 19-18 | 22 |
| 15. უელვა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-21 | 19 |
| 16. ალკოიანო | 17 | 4 | 7 | 6 | 17-23 | 19 |
| 17. ვილიარეალი II | 17 | 4 | 6 | 7 | 26-31 | 18 |
| 18. ხერესი | 17 | 4 | 5 | 8 | 16-23 | 17 |
| 19. უესკა | 17 | 3 | 6 | 8 | 21-28 | 15 |
| 20. ხიმნასტიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 14-21 | 13 |
| 21. ხირონა | 17 | 2 | 7 | 8 | 19-28 | 13 |
| 22. კარტახენა | 17 | 2 | 7 | 8 | 9-20 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 - ულოა (ალმერია); 10 - ხოსელუ (ვილიარეალი); 9 - კამაჩო (უესკა); 8 - პაუელი (ხიმნასტიკი); 7 - ასპასი (სელტა).

## ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტური

## კლასიკოს ქრონიკა

**1 წთ: 1:0 - ვალდესის შეცდომის შემდეგ გოლი ახლო მანძილიდან ბენზემამ გაიტანა.**

**7 წთ: რამოსს** მოედანზე ფეხი დაუცდა, **მესის** დარტყმული კი **კასილიასმა** კუთხურზე მოიგერია.

**11 წთ: დი მარიას** მოწოდება, **ბენზემას** თავური - ბარსა **ვალდესმა** იხსნა.

**21 წთ: ჩავის** საჯარიმო, **კასილიასმა** კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**24 წთ: რონალდომ** ხელიდან გაუშვა რეალური შანსი, **ბენზემას** პასით ის საჯარიმოდან ურტყამდა, მაგრამ ააცილა, შეეძლო მარტო მყოფი **დი მარიასთვის** მიეწოდებინა.

**29 წთ: 1:1 - მესის ბრწყინვალე პასი, სანჩესმა ორ მცველს დაასწრო და გაათანაბრა.**

**49 წთ: რონალდოს** საჯარიმო დარტყმას **ვალდესი** ადგილზე დახვდა.

**52 წთ: 1:2 - ჩავის შორეულ დარტყმულს მარსელოს რიკოშეტი, ძელი და გოლი მოყვა.**

**62 წთ: მესი-სანჩესის** კომბინაცია ამჯერადაც კარგი დარტყმით დასრულდა, მაგრამ **კასილიასმა** იმარჯვა.

**65 წთ: ჩაბი ალონსომ** ჩაანოდა, **რონალდოს** ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ თავური ახლო მანძილიდან ააცილა.

**65 წთ: 1:3 - ალვეშმა ჩამოაწოდა და შორეულ ძელთან ყველას ფაბრეგასმა დაასწრო.**

**72 წთ: ალვეშმა** დააგვიანა, თორემ „ბარსა" კონტრშეტევაზე კიდევ ერთს გაიტანდა.

**75 წთ: ბენზემამ** არ მისცა პასი ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ **იგუაინს**, დაარტყა და ააცილა.

**81 წთ: ინიესტამ** ბრწყინვალედ ითამაშა კონტრშეტევაზე, მაგრამ სჯობდა თავად დაერტყა.

**84 წთ: კაკას** დარტყმული **ვალდესმა** მოიგერია.

**87 წთ:** კიდევ ერთი კონტრშეტევა, ახლა შანსი **ვილიამ** გაანიავა.

**88 წთ:** ბოლო წუთებში ყველაზე სახიფათო **ინიესტაა**, რომ არა **პეპე** „რეალი" გოლს ვერ გადაურჩებოდა.

**90 წთ:** რეფერიმ 3 წუთი დაამატა.

**93 წთ:** რეალის ბოლო შანსი - **რონალდო** ცოცხალ კედელს არტყამს.



ბარსამ სანტიაგო ბერნაბეუზე იზეიმა

# ეჰ, მოურინიო, მოურინიო...

## რეალს ბარსელონას წამალი ისევ არ აქვს

ეჰ, **მოურინიო**, მოურინიო! განსაკუთრებულმა მწვრთნელმა „ბარსას" განსაკუთრებული კომპლექსი „აიკიდე". თუმცა ამაში ყველაზე მეტად თავად ხარ დამნაშავე, შენ და შენივე სუპერვარსკვლავი **კრიშტიანო რონალდო**...

პორტუგალიელმაც და მისმა ვიზავი, **ხოსეპ გვარდიოლამაც** აღნიშნეს, საკმარისია, „რეალმა" სევილიაში მოიგოს ან ფრე ითამაშოს, რომ ლიდერი ისევ „სამეფო კლუბი" იქნებაო. დიახ, „ბარსელონა" მომდევნო ტურს ა(ღა)რ თამაშობს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ გაისად მოურინიო და კომპანია „კამპ ნოუზეა" ჩასასვლელი, მაშინ როცა პეპის „ბარსამ" ისინი ამ შაბათს მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" 3:1 დაამარცხა.

დავიწყოთ იმით, რა ითქვა ბოლოს - დამარცხებულმა აღნიშნა, რომ ფეხბურთის ბუნება ასეთიაო, მოედანზე ყველაფერი შეიძლება მოხდესო, პირველ ტაიმში ჩვენ რომ 2:0 გაგვეხადა, სულ სხვა თამაში წავიდოდაო. პეპმა თქვა, რომ კმაყოფილია მისი გუნდის თამაშით (რატომღაც, რომ არ იყოს). მან აღნიშნა, რომ, როცა „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადიხარ ან მამაცი უნდა იყო, ან ძალიან მამაციო.

ისე, სადაც პორტუგალიელი გამართლებას ახსენებს, არც ის უნდა დაავიწყდეს, როგორ გავიდა პირველი გოლი პირველივე წუთზე. თუმცა დავაზუსტებთ - 23-ე წამზე! ეს კლასიკოების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი და მისი ავტორი **ქარიმ ბენზემაა**. ფრანგის ასისტენტებად კი თავისუფლად შეგვიძლია მოვიხსენიოთ **ვიქტორ ვალდესი** და **სერხიო ბუსკეტსი**. იგებ 1:0-ს, ვირტუალურად 9 ქულით უსწრებ უკვე ერთადერთ კონკურენტს და მაინც შებოჭილი თამაშობ! აქ რაღაც მყარი და მაღალი კედელია, რომელიც მოურინიომ ჯერჯერობით ვერც შუბლით გაანგრია, ვერც შემოუარა და ვერც დაასუსტა - დღევანდელ „გალაქტიკოს" (მართლაც, თითქმის მსოფლიო ნაკრებს) „ბარსას" შიში აქვს, გინდა როგორც გუნდს და გინდა ინდივიდუალურად (მოუს, კრიშტიანოს, **იოზილს**, სხვებსაც).

მოურინიომ ვერც შემადგენლობა გამოიცნო - ბენზემამ (გოლის მიუხედავად), იოზილმა, **კოენტრაომ** სახეირო ვერაფერი გააკეთეს, ხოლო მეორე ტაიმში მისმა გუნდმა პირწმინდად წააგო „ბარსასთან", ისე როგორც, ეს შარშანდელ სეზონში ხდებოდა. სამაგიეროდ, პეპმა გარისკა და მატჩის დიდი ნაწილი (სადღაც 70 წუთი) 3 მცველით ითამაშა, მისმა შემტევებმა მუდმივი სიახლეებით თავგზა აუბნიეს, „რეალის" მცველებს, რომელთაც მადრიდული წვიმის წყალობით ფეხიც ხშირად უსხლტებოდათ, **მარსელოს** რიკოშეტმაც დიდი როლი ითამაშა საბოლოო შედეგში, ბოლოს კი „რეალი" ისე მოირღვა, **დავიდ ვილია** ცუდ ფორმაში რომ არ იყოს, „ბარსა" დიდი ანგარიშითაც მოიგებდა.

ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო **ჩავისთვის**, რომელმაც მე-600 მოირგო „ბლაუგრანას" მაისურა, მის დარტყმულს მოყვა გადამწყვეტი გოლი. ნამატჩევს კი ჩავიმ ცეცხლზე ნავთი დაასხა: *„ჩვენ დღეს დავამტკიცეთ, რომ „რეალს" ძალიან ბევრი უკლია „ბარსამდეო"*. ჩავის „ოქროს ბურთზეც" ჰკითხეს, *„შანსი არაა, მე ის არ მეკუთვნის, პრიზი ლეო მესის უნდა გადასცენ"*, - განაცხადა 31 წლის ნახევარმცველმა. და აი, **მესი** პირველად ვახსენეთ - მართალია, მას დიდებულად არ უთამაშია, მაგრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რონალდოზე წინ უნდა იდგეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა იერარქიაში, მის ანგარიშზე ერთი დიდებული საგოლე პასია, რომლის წყალობითაც **ალექსის სანჩესმა** ანგარიში გაათანაბრა. ამ თამაშზე წერისას ორი კაცი აუცილებლად უნდა ვახსენოთ: **ანდრეს ინიესტამ**, როცა „ბარსა" 3:1 დაწინაურდა, გაილაღა და 1-2 მეტოქის გამკლავება მისთვის უიოლესი საქმე იყო, ხოლო კაპიტანი **კარლეს პუიოლი** უბრალოდ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

ტურის წინათქმაში სხვა შეხვედრებზე არაფერი გვითქვამს, „ელ კლასიკომ" ყველაფერი დაჩრდილა, ახლა მხოლოდ ერთს შევეხებით - სევილიაში 91-ე წუთამდე „ვალენსია" 1:0-ს უგებდა „ბეტისს". ის, რაც „ბეტისმა" 11 მატჩსა და 90 წუთში ვერ გააკეთა, შეძლო მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში: ორჯერ **ხუანმას** პასით **რუბენ კასტრომ** გაიტანა და მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. „ვალენსიას" კოშმარული კვირა ჰქონდა, ჯერ ლიგიდან გავარდა, ახლა კი ერთ-ერთ აუტსაიდერთან დამარცხდა, რომელსაც 11 ტური ვერ მოეგო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. XII ტური

**ბრაგა-ფერეირა 5:2**

**გოლები:** 1:0 ალანი (4), 2:0 ლიმა (42-პენ), 2:1 მელგარეჟო (43), 2:2 კონი (59), 3:2 ლიმა (72), 4:2 ვიანა (86), 5:2 პაულო სეზარი (90)

**ბეირა მარი-პორტუ 1:2**

**გოლები:** 1:0 ჟანგი (34), 1:1 ჯ. როდრიგესი (40), 1:2 ჰალკი (58)

**სპორტინგი-ნასიონალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ონიეუ (22)

**გაძევება:** სტოიანოვიჩი (78. ნასიონალი)

**რიუ ავე-ჟილ ვისენტე 2:0**

**გოლები:** 1:0 ვირეში (17), 2:0 იაზალდე (53)

**სეტუბალი-ფეირენშე 1:1**

**გოლები:** 0:1 ბუვალი (3), 1:1 ნეკა (40-პენ)

**გაძევება:** სტოპირა (43. ფეირენშე)

**ლეირია-გიმარაეში 1:0**

**გოლები:** 1:0 სანტოსი (38)

**მარიტიმუ-ბენფიკა 0:1**

**გოლი:** 0:1 კარდოსო (85)

**გაძევება:** ოლბერდამი (47. მარიტიმუ)

**ოლანენშე-აკადემიკა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 12 | 9 | 3 | 0 | 30-8 | 30 |
| 2. ბენფიკა | 12 | 9 | 3 | 0 | 25-10 | 30 |
| 3. სპორტინგი | 12 | 8 | 2 | 2 | 25-11 | 26 |
| 4. ბრაგა | 12 | 6 | 4 | 2 | 20-9 | 22 |
| 5. მარიტიმუ | 12 | 6 | 4 | 2 | 18-14 | 22 |
| 6. ოლანენშე | 11 | 3 | 5 | 3 | 11-11 | 14 |
| 7. ჟილ ვისენტე | 12 | 3 | 5 | 4 | 12-19 | 14 |
| 8. გიმარაეში | 12 | 4 | 1 | 7 | 17-15 | 13 |
| 9. ბეირა მარი | 12 | 3 | 4 | 5 | 8-8 | 13 |
| 10. აკადემიკა | 11 | 4 | 1 | 6 | 14-16 | 13 |
| 11. ლეირია | 12 | 4 | 0 | 8 | 13-21 | 12 |
| 12. სეტუბალი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-18 | 12 |
| 13. რიუ ავე | 12 | 3 | 2 | 7 | 11-14 | 11 |
| 14. ფეირენშე | 12 | 2 | 5 | 5 | 9-18 | 11 |
| 15. ნასიონალი | 12 | 3 | 2 | 7 | 8-23 | 11 |
| 16. ფერეირა | 12 | 2 | 2 | 8 | 13-27 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - დიავარა (მარიტიმუ); 8 - ედგარ სილვა (გიმარაეში); 7 - ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი), კარდოსო (ბენფიკა); 6 - კლებერი (პორტუ), ლიმა (ბრაგა), ჰალკი (პორტუ); 5 - ნოლიტო (ბენფიკა), მელგარეჟო (ფერეირა), მიჩელი (ფერეირა).

## მომდევნო ტური

17 დეკემბერი: მალიორკა-ხეტაფე, სპორტინგი-ესპანიოლი, ბილბაო-სარაგოსა, სევილია-რეალი.

18 დეკემბერი: ატლეტიკო-ბეტისი, გრანადა-ლევანტე, ოსასუნა-ვილიარეალი. რასინგი-რეალ სოსიედადი, ვალენსია-მალაგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A XV ტური

# შავ-თეთრი კალჩო

## ორი ბიანკონერი ცხრილის სათავეში

### ლეჩე–ლაციო 2:3

**ლეჩე (4-1-4-1):** ბენასი – ოდო, ფერარიო, მესბა, ტომოვიჩი (46. ჯანდონატო – 55. გროსმიულერი) - ობოდო - კუადრადო, ჯაკომაცი, ოლივერა, მურიელი (80. პიატი) – დი მიკელე.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი (60. კარიცო) – დიაკიტე, ბიავა (46. ცანა), სტანკევიჩუსი, რადუ – გონსალესი, ლედესმა, ლულიჩი – ერნანესი – როკი (60. სისე), კლოზე.

**გოლები:** 1:0 დი მიკელე (11-პენ.), 1:1 კლოზე (28), 1:2 ცანა (47), 2:2 ფერარიო (58), 2:3 კლოზე (86).

**გაფრთხილება:** ჯაკომაცი, ოლივერა – მარკეტი, ერნანესი, ცანა.

**კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 16-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12(8)-8(3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 10 000

### სიენა–ჯენოა 0:2

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, კონტინი, ტერცი, დელ გროსო (59. როსი) – ბრიენცა, გაცი, დაგოსტინო (77. ლარონდო), გროსი (65. მანინი) – კალაიო, დესტრო.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – მორეტი (72. იანკოვიჩი), გრანკვისტი, მესტო, დაინელი – როსი, კონსტანტი, ველოზო (58. სეიმური), მერკელი – პალასიო, ზე ედუარდო (55. პრატო).

**გოლები:** 0:1 როსი (57), პალასიო (90).

**გაფრთხილება:** კონტინი, გაცი, ბრიენცა, როსი – კონსტანტი, ზე ედუარდო.

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 7(0)-12(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 000

### ინტერი–ფიორენტინა 2:0

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – მოტა, კამბიასო, ფარაონი, კოუტინიო (62. მუნტარი) – მილიტო (65. სარატე), პაცინი.

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – ბეჰრამი, მუნარი (52. სალიფუ), ვარგასი – ლაძარი (76. ხარჯა) – ჯილარდინო, ლიაიჩი (65. სილვა).

**გოლები:** 1:0 პაცინი (41), 2:0 ნაგატომო (54).

**გაფრთხილება:** მაიკონი - გამბერინი.

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17(6)-7(1); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 55 000

### პალერმო–ჩეზენა 0:1

**პალერმო (4-3-2-1):** ბენუსი - პიზანო, სილვესტრი, მუნოზი, ბალცარეტი – ასკუა (68. მანტოვანი), ბაჩინოვიჩი (34. ბერტოლო), ბარეტო – ილიჩიჩი – მიკოლი, პინილია (63. ვარელა).

**ჩეზენა (4-2-3-1):** რავალია – ჩეკარელი, ფონ ბერგენი, როდრიგესი, როსი – გუანა, გეზალი - კანდრევა, პაროლო, ედერი (73. ბოგდანი) – მუტუ (79. ჯოკოვიჩი).

**გოლი:** 0:1 მუტუ (63).

**გაფრთხილება:** ასკუა – როდრიგესი, როსი, გეზალი, ედერი.

**გაძევება:** მუნოზი (64. პალერმო)

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 10(6)-13(6); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 23 000

### ატალანტა–კატანია 1:1

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, ფერი, მანფრედინი, ბელინი (60. ბონავენტურა) – კარმონა (49. ტირიბოკი), ჩიგარინი, შელოტო, პადოინი – მორალესი (84. მარილუნგო) – დენისი.

**კატანია (3-5-2):** ანდუხარი – სპოლი, ბელუში, ლეგროტალიე - პოტენცა, დელ ვეკიო, ლოდი (89. კაპუანო), ალმირონი, მარკეზე – ბარიენტოსი (76. შაკა), მაქსი ლოპესი (67. ბერგესიო).

**გოლები:** 0:1 ლეგროტალიე (18), 1:1 ტირიბოკი (70).

**გაფრთხილება:** ბელინი, კარმონა, ტირიბოკი – დელ ვეკიო, მარკეზე.

**გაძევება:** სპოლი (42. კატანია).

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 19-17; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 11(4)-8(4); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 21 000

### ბოლონია–მილანი 2:2

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, კრესპო, მორლეო – კაზარინი (46. პერესი), მუდინგაი, კონე – დიამანტი (84. კერუბინი), რამირესი (76. ტაიდერი) – დი ვაიო.

**მილანი (4-3-1-2):** ამელია – აბატე, იეპესი (62. ბონერა), ტიაგო სილვა, ანტონინი – ზეედორფი (67. ემანუელსონი), ვან ბომელი, აკვილანი – ბოატენგი – პატო (77. რობინიო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (11), 1:1 ზეედორფი (16), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (72-პენ.), 2:2 დიამანტი (73).

**გაფრთხილება:** კონე, დიამანტი, რამირესი, პერესი – იეპესი, ანტონინი, აკვილანი.

**კუთხური:** 2-11; **ჯარიმა:** ; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 10(3)-9(4); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 32 000

### კალიარი–პარმა 0:0

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ბიონდინი (85. პერიკო), კონტი (23. ეკდალი), ნაინგოლანი – კოსუ - იბარბო, ლარივეი (63. რიბეირო).

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო (57. სანტაკროჩე), პალეტა, ლუკარელი, გობი – ბიაბიანი, მორონე, გალოპა, ვალიანი – ჯოვინკო (20. პალადინო – 78. მოდესტო) – ფლოკარი.

**გაფრთხილება:** ბიონდინი, კოსუ – პალეტა, ვალიანი, სანტაკროჩე.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 7(1)-8(5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 12 000

### უდინეზე–კიევო 2:1

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, ეკსტრანდი – ბასტა, ბადუ, ისლა (89. დოუბაი), ასამოა, არმერო – ფლორო ფლორესი (72. აბდი) – დი ნატალე.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, ანდრეოლი, დრამე – ბრედლი, ჰეტემაი, ლუჩანო – სამარკო (76. პალოსკი) – პელისიერი, თერეუ (87. მოსკარდელი).

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (68), 2:0 ბასტა (79), 2:1 პალოსკი (83).

**გაფრთხილება:** ისლა, ბადუ – დრამე, ბრედლი, პელისიერი, თერეუ, მოსკარდელი.

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 12(5)-7(1); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 16 000

### ნოვარა–ნაპოლი 1:1

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – მორგანელა, ჩენტურიონი, ლუდი (49. ლაბრინი), დელაფიორე – ჯემიტი, რადოვანოვიჩი (78. პორკარი), რიგონი – მარიანინი – მაძარანი, რუბინო.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – არონიკა (75. ცუნიგა), კანავარო, კამპანიარო – მაჯო, დოსენა (80. ინლერი), ჯემაილი, ჰამშიკი – ლავეცი, პანდევი – კავანი (67. მასკარა).

**გოლები:** 1:0 რადოვანოვიჩი (70), 1:1 ჯემაილი (84).

**გაფრთხილება:** დელაფიორე, რიგონი (ნოვარა).

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 10(2)-12(4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 12 000

### რომა-იუვენტუსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 14 | 9 | 3 | 2 | 18-7 | 30 |
| 2. იუვენტუსი | 13 | 8 | 5 | 0 | 24-10 | 29 |
| 3. მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-16 | 28 |
| 4. ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 22-11 | 28 |
| 5. ნაპოლი | 14 | 5 | 6 | 3 | 22-14 | 21 |
| 6. პალერმო | 14 | 6 | 2 | 6 | 16-16 | 20 |
| 7. კალიარი | 14 | 4 | 6 | 4 | 12-13 | 18 |
| 8. ჯენოა | 13 | 5 | 3 | 5 | 16-16 | 18 |
| 9. კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 15-20 | 18 |
| 10. ინტერი | 13 | 5 | 2 | 6 | 16-18 | 17 |
| 11. რომა | 13 | 5 | 2 | 6 | 15-17 | 17 |
| 12. პარმა | 14 | 5 | 2 | 7 | 15-20 | 17 |
| 13. ატალანტა | 14 | 5 | 7 | 2 | 17-16 | 16 |
| 14. ფიორენტინა | 14 | 4 | 4 | 6 | 13-13 | 16 |
| 15. კიევო | 14 | 4 | 4 | 6 | 11-18 | 16 |
| 16. ბოლონია | 14 | 4 | 3 | 7 | 13-20 | 15 |
| 17. სიენა | 14 | 3 | 5 | 6 | 14-14 | 14 |
| 18. ჩეზენა | 14 | 3 | 3 | 8 | 7-15 | 12 |
| 19. ნოვარა | 14 | 2 | 5 | 7 | 15-25 | 11 |
| 20. ლეჩე | 14 | 2 | 2 | 10 | 13-26 | 8 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 10 - დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე); 9 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 8 – კლოზე (ლაციო); 7 - ჯოვინკო (პარმა), კავანი (ნაპოლი); 6 - იოვეტიჩი (ფიორენტინა), მატრი (იუვენტუსი), მარკიზიო (იუვენტუსი), პალასიო (ჯენოა).

### გადადებული მატჩი

13 დეკემბერი: ჯენოა-ინტერი

### სერია B. XIX ტური

**სამპდორია-იუვე სტაბია 1:1**

გოლი: 0:1 საუ (55), 1:1 პოცი (90).

**ასკოლი-ვარეზე 0:0**

**ჩიტადელა-რეჯინა 3:2**

გოლები: 1:0 რობერტო (5-პენ.), 1:1 რიცო (26), 1:2 კამპანაჩი (54), 2:2 მაა (58), 3:2 კარმინე (85).

**გროსეტო-მოდენა 1:1**

გოლები: 0:1 გრეკო (57), 1:1 სფორცინი (81).

**გუბიო-პადოვა 1;0**

გოლი: 1:0 გრაფიედი (42).

**ნოჩერინა-კროტონე 0:2**

გოლები: 0:1 გაბიონეტა (53), 0:2 გაბიონეტა (54).

**სასუოლო-ლივორნო 2:1**

გოლები: 0:1 დიონისი (11-პენ.), 1:1 სანსონე (61), 2:1 სანსონე (80-პენ.).

**ტორინო-პესკარა 4:2**

გოლები: 1:0 ბაშა (38), 1:1 იმობილე (48), 2:1 ვივესი (58), 3:1 სგრინია (64), 4:1 სგრინია (68), 4:2 იმობილე (90).

**ვერონა-ალბინოლეფე 1:0**

გოლი: 1:0 პიჩლმანი (81).

**ვიჩენცა-ემპოლი 1:0**

გოლი: 1:0 რიგონი (67).

**ბრეშა-ბარი 1:3**

გოლები: 0:1 ბელომო (27), 1:1 ჯონატასი (45—პენ.), 1:2 სტოიანი (75), 1:3 სტოიანი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 18 | 12 | 5 | 1 | 24-10 | 41 |
| 2. ვერონა | 19 | 11 | 4 | 4 | 27-19 | 37 |
| 3. სასუოლო | 19 | 10 | 6 | 3 | 24-13 | 36 |
| 4. პესკარა | 19 | 10 | 3 | 6 | 40-31 | 33 |
| 5. პადოვა | 18 | 9 | 4 | 5 | 26-20 | 31 |
| 6. რეჯინა | 19 | 8 | 5 | 6 | 33-23 | 29 |
| 7. ვარეზე | 19 | 7 | 6 | 6 | 25-20 | 27 |
| 8. გროსეტო | 19 | 7 | 6 | 6 | 22-24 | 27 |
| 9. სამპდორია | 19 | 5 | 11 | 3 | 26-17 | 26 |
| 10. იუვე სტაბია | 19 | 8 | 5 | 6 | 26-24 | 25 |
| 11. ჩიტადელა | 19 | 7 | 4 | 8 | 23-26 | 25 |
| 12. ვიჩენცა | 19 | 6 | 6 | 7 | 23-24 | 24 |
| 13. კროტონე | 19 | 6 | 7 | 6 | 19-20 | 24 |
| 14. ბარი | 19 | 7 | 5 | 7 | 19-21 | 24 |
| 15. ემპოლი | 19 | 6 | 3 | 10 | 24-28 | 21 |
| 16. ლივორნო | 19 | 5 | 5 | 9 | 19-19 | 20 |
| 17. ალბინოლეფე | 19 | 5 | 5 | 9 | 25-34 | 20 |
| 18. ბრეშია | 19 | 4 | 7 | 8 | 17-26 | 19 |
| 19. მოდენა | 19 | 3 | 8 | 8 | 17-31 | 17 |
| 21. გუბიო | 19 | 4 | 5 | 10 | 16-30 | 17 |
| 20. ნოჩერინა | 19 | 3 | 6 | 10 | 26-34 | 15 |
| 22. ასკოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 21-27 | 12 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 13 – ტავანო (ემპოლი); 11 - აბრუსკატო (ვიჩენცა), იმობილე (პესკარა); 10 - სანსოვინი (პესკარა); 9 - კოკო (ალბინოლეფე), სფროცინი (გროსეტო).

### ლეგა პრო 1/A

აველინო-სპალ 2:1, ბენევენტო-ვიარეჯო 5:1, კომო-ლუმეცანე 2:1, ფოლინო-კარპი 1:0, პიზა-მონცა 2:2, პრო ვერჩელი-სორენტო 4:0, ტრიტიუმი-პავია 1:1, ფოჯა-ტერნანა 3:1, რეჯანა-ტარანტო 0:1.

### ლეგა პრო 1/B

პრატო-პორტოგრუარო 1:1, ანდრეა-პერგოკრემა 1:2, კარარეზე-ბარლეტა 0:0, კრემონეზე-ლატინა 2:0, ფროზინონე-ფერალპიზალო 1:1, პიაჩენცა-ბასანო 3:2, ტრაპანი-სუდტიროლი 1:0, ლანჩანო-სირაკუზა 1:1, სპეცია-ტრიესტინა დღეს.

შაბათის შეხვედრებიდან ყველაზე დიდ ინტერესს "ინტერისა" და "ფიორენტინას" დაპირისპირება იწვევდა, მაგრამ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გულშემატკივართა მოლოდინი სანახევროდ გამართლდა. "ნერაძურის" ქომაგები კმაყოფილნი დარჩებოდნენ მათი გუნდის დამაჯერებელი გამარჯვებით, მაგრამ ბრძოლა არ შედგა, რამაც თამაშს მთავარი ინტრიგა დაუკარგა. "რომაზე" მოპოვებული გამარჯვების გათვალისწინებით, "ფიორენტინა" თითქოს პროგრესის გზას დაადგა, მაგრამ როგორც ჩანს, წინა ტურის ფლორენციული რეზულტატი უფრო რომაელთა ჩავარდნის დამსახურება გახლდათ, ვიდრე ტოსკანელთა გამოღვიძების. ერთი სიტყვით, "ვიოლას" ისევ სძინავს, "ინტერი" კი ცდილობს გონზე მოვიდეს და ვნახოთ, რამდენად გამოუვა ეს საქმე.

» გვ-10 გვერდზე









ეროვნული ბიბლიოთეკა



# შავ-თეთრი კალჩო

## ორი ბიანკონერი ცხრილის სათავეში

« მე-8 გვერდიდან

კონკრეტულად შაბათის შეხვედრაში მილანელებმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვეს, ბევრს მოძრაობდნენ და შეტევაშიც უფრო კრეატიულად გაისარჯნენ, ვიდრე წინა პაექრობებში. უჩვეულოდ საიმედო იყო დაცვის ხაზი, რაც სავარაუდოდ **ლუსიოსა** და **სამუელის** ცენტრალურ მცველთა აღდგენილი ტანდემით გახლდათ განპირობებული – აღდგენილი კი იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში ხან ერთი იყო ტრავმირებული, ხანაც მეორე.

შეტევის წინა ხაზზე **კლაუდიო რანიერიმ დიეგო მილიტოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ტანდემი გაამწესა, პირველი გოლი კი სწორედ ამ უკანასკნელის ანგარიშზეა – პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთ წუთზე ნაკლები რჩებოდა, როდესაც მეტოქის საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან პაცინი შეიჭრა, დროული გადაცემა მიიღო და ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი **არტურ ბორუცის** კარის ჩარჩოში, 1:0. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც თავი **ნაგატომომ** გამოიჩინა და შეხვედრას საბოლოო წერტილი დაუსვა, იაპონელმა მეტოქის მცველისა და მეკარის შეუთანხმებლობით ისარგებლა, ბურთი ფაქტობრივად ცარიელი კარის წინ მიუვიდა და მისი ბადეში გახვევა აღარ გასჭირვებია, 2:0.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მეორე ტაიმში ტრავმის გამო მილიტო გახდა შესაცვლელი, ვის ნაცვლადაც თამაშში **მაურო სარატე** ჩაერთო. ნამატჩევს ჟურნალისტები დიეგოს ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდნენ, ამასთან, მას თამაშის შეფასება სთხოვეს: *"საბედნიეროდ, ტრავმა მსუბუქია და შესაძლოა უკვე მომდევნო შეხვედრაში მივიღო მონაწილეობა. ლაპარაკია არა XVI ტურის მატჩზე, არამედ გადადებულ პაექრობაზე, რომელსაც სამშაბათს "ჯენოასთან:" გავმართავთ. ჩემი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ თამაში ძალიან მინდა და იმედია, დროულად გამოვჯანმრთელდები. რაც შეეხება "ფიორენტინასთან" ჯახს, მთელი შეხვედრა ჩვენი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა – შესაბამისად, რეზულტატი სრულიად კანონზომიერია".*

მხიარული მატჩი გაიმართა ლეჩეში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა **სერსე კოსმის** თავკაცობით პირველი შეხვედრა გამართა, "ლაციოს" უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით წააგო, 2:3. არადა, შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და ანგარიშიც სწორედ მათ გახსნეს – მეთერთმეტე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც **ფედერიკო მარკეტი** მეტოქის შემტევს ეუხეშა და მატჩის არბიტრმა ხელი თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა – ბურთთან **დი მიკელე** მივიდა და შანსი ხელიდან არ გაუშვა, 1:0. გოლით ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა განაგრძეს იერიშები და დაახლოებით ხუთი წუთის ინტერვალში ორჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, თუმცა ორივე შემთხვევაში მარკეტი გახლდათ მონოდების სიმაღლეზე. ტაიმის შუაწელს რომაელები ხეირიანად პირველად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და გაათანაბრეს კიდეც ანგარიში: რამდენიმესვლიანი კომბინაცია **მიროსლავ კლოზემ** ერთი შეხებით დააგვირგვინა და 1:1.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც შეცვლაზე შესულმა **ცანამ** ბურთი მარჯვენა ფრთაზე მიიღო, მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და ძლიერი დარტყმით "ლეჩეს" კიპერს შანსი არ დაუტოვა, 1:2. კოსმიმ უმალ შეუძახა შეგირდებს, არ გატყდეთო და როგორც ჩანს, არც თუ უშედეგოდ – მასპინძლებმა მოიკრიბეს ძალა, აქტიურად გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე და გაათანაბრეს კიდეც ანგარიში – რომაელთა საჯარიმოში დიდი არეულობა შეიქმნა, ყველაზე უკეთ კი ვითარებაში **ფერარიო** გაერკვა და თავით გადაგზავნა ბურთი მარკეტის კარში, ეს უკანასკნელი კი ორიოდე წუთში ტრავმის გამო შესაცვლელი გახდა. საბოლოო წერტილი კი შეხვედრაში ისევ მირო კლოზემ დასვა, მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ, თავი დაჰკრა ბურთს და მეკარისაგან მარხენა დაბალ კუთხეში მოათავსა, 2:3. დასკვნის სახით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ კოსმის დაქოქილ ბიჭებს კლასმა აჯობა და "ლაციომ" მთლიანობაში სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

"ბოლონიასთან" ბრძოლაში 'მილანმა" ორი ქულა დაკარგა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ სერია A-ში გამარჯვების ძალების დაზოგვით მოპოვება შეუძლებელია. დიახ, "მილანი" თითქოს კლასის ხარჯზე ცდილობდა სამი ქულის მოპოვებას, რაც არ გამოვიდა. შეხვედრა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, რამაც შედეგი მე-11 წუთზე გამოიღო – დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა **მარკო დი ვაიომ** კიპერს თავზე გადაატარა ბურთი და გახსნა კიდეც ანგარიში, 1:0. მილანელები მალე მოვიდნენ გონს და ხუთიოდე წუთში სტატუს-კვო აღადგინეს: **კევინ პრინს ბოატენგის** ზუსტი გადაცემის შემდეგ **კლარენს ზეედორფმა** უძლიერესად დაარტყა და 1:1. მეორე ნახევრის შუაწელს **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** თერთმეტმეტრიანი მოინადირა და თვითონვე გაიტანა, რითიც დააწინაურა სტუმრები, თუმცა ერთი წუთის შემდეგ უკვე მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გაქვითვა: **დიამანტიმ** ერთი მეურვე კარგად ჩამოიცილა, მძლავრადაც დაარტყა და ბურთი მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაახვია, 2:2. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დიამანტის გოლისას შეცდომა დაუშვა მილანელთა მეკარე **მარკო ამელიამ** - ხელი წაარტყა ბურთს, თუმცა ვერაფრით შეიმაგრა. აქვე ვთქვათ, რომ საეჭვო იყო ის თერთმეტმეტრიანი, რომელიც ზლატანმა აიკიდა და ზოგადად, **ჯანლუკა როკის** მსაჯობამ ბევრი კითხვის ნიშანი დატოვა. ასეა თუ ისე, მოქმედმა ჩემპიონმა ორი ქულა დაკარგა.

და ბოლოს, მოკლედ ვთქვათ სატურნირო ცხრილის ლიდერის შესახებ – "უდინეზემ" "კიევოს" უმასპინძლა და მეტოქე მეორე ტაიმში გატეხა. ამასთან, მორიგი გოლი მიითვალა აქტივში **ანტონიო დი ნატალემ** და ბომბარდირთა დავაში **ხერმან დენისს** გაუთანაბრდა. ტურის ცენტრალური შეხვედრა დღეს გაიმართება, "რომა" "იუვეს" უმასპინძლებს და თუ ტურინელებმა სამი ქულა მოიპოვეს, პირველ ადგილსაც დაიბრუნებენ – ანუ, ერთი "ბიანკონერი" შეიძლება მეორემ ჩაანაცვლოს.

### მომდევნო ტური

17 დეკემბერი: კიევო-კალიარი, ფიორენტინა-ატალანტა, მილანი-სიენა;

18 დეკემბერი: კატანია-პალერმო, ჩეზენა-ინტერი, ჯენოა-ბოლონია, იუვენტუსი-ნოვარა, პარმა-ლეჩე, ლაციო-უდინეზე, ნაპოლი-რომა.

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XVI ტური

**დენ ჰააგი-ჰერაკლესი** 2:0

გოლები: 1:0 დუინენი (7), 2:0 იმერსი (81).

**ტვენტე-ნიიმეგენი** 2:0

გოლები: 1:0 იონგი 957), 2:0 ჩადი (73).

**ალკმაარი- დე გრააფსხაპი** 4:0

გოლები: 1:0 მაჰერი (22), 2:0 პულოსენი (310, 3:0 ვორმგორი (54-საკ. კარში), 4:0 ბენშოპი (79).

**ექსელსიორი-ჰეერენვეენი** 0:5

გოლები: 0:1 დოსტი (13), 0:2 დოსტი (18), 0:3 დოსტი (42), 0:4 დოსტი (58), 0:5 დოსტი (66).

**პსვ-ბრედა** 1:0

გოლი: 1:0 მერტენსი (38).

**ვენლო-როდა** 2:0

გოლები: 1:0 მაგუირე (45-პენ.), 2:0 ლინსენი (83).

**უტრეხტი-ფეიენოორდი** 2:2

გოლები: 0:1 გუიდეტი (2), 1:1 ბოვენბერგი (31), 2:1 დუპლანი (51), 2:2 კაბრალი (66).

**ვაალვიკი-აიაქსი** 0:1

გოლი: 0:1 რამოსი (42-საკ. კარში).

**ვიტესი-გრონინგენი** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 16 | 12 | 2 | 2 | 35:13 | 38 |
| 2. პსვ | 16 | 10 | 4 | 2 | 43:18 | 34 |
| 3. ტვენტე | 16 | 9 | 6 | 1 | 41:15 | 33 |
| 4. აიაქსი | 16 | 8 | 6 | 2 | 42:23 | 30 |
| 5. ჰეერენვეენი | 16 | 7 | 7 | 2 | 38:23 | 28 |
| 6. ფეიენოორდი | 16 | 8 | 4 | 4 | 31:20 | 28 |
| 7. ვიტესი | 16 | 7 | 5 | 4 | 22:16 | 26 |
| 8. გრონინგენი | 16 | 6 | 5 | 5 | 28:28 | 23 |
| 9. დენ ჰააგი | 16 | 6 | 3 | 7 | 22:27 | 21 |
| 10. როდა | 16 | 7 | 0 | 9 | 22:38 | 21 |
| 11. ჰერაკლესი | 16 | 5 | 5 | 6 | 27:24 | 20 |
| 12. ბრედა | 16 | 5 | 3 | 8 | 22:27 | 18 |
| 13. უტრეხტი | 16 | 4 | 5 | 7 | 28:34 | 17 |
| 14. ვაალვიკი | 16 | 4 | 3 | 9 | 14:27 | 15 |
| 15. ნიიმეგენი | 16 | 4 | 2 | 10 | 15:27 | 14 |
| 16. დე გრააფსხაპი | 16 | 3 | 3 | 10 | 15:36 | 12 |
| 17. ვენლო | 16 | 2 | 4 | 10 | 16:40 | 10 |
| 18. ექსელსიორი | 16 | 1 | 5 | 10 | 9:34 | 8 |

ბომბარდირები: 14 – დოსტი (ჰეერენვეენი); 13 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 10 - იანკო (ტვენტე), სულეიმანი (აიაქსი).

**ლაშა ნიკლაური**

## ბელგია.

ჟუპილერლიგა. XVII ტური

| | |
|---|---|
| მეხელენი-ანდერლეხტი | 2:1 |
| ლოკერენი-სტანდარდი | 1:1 |
| გენტი-ბეერსხოტი | 0:1 |
| კორტრიიკი-ვესტერლო | 1:0 |
| მონსი-სერკლ ბრიუგე | 0:2 |
| ლოივენი-ვარეგემი | 2:2 |
| გენკი-ლიერსი | 4:0 |
| ბრიუგე-სტ. ტრუიდენი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 17 | 11 | 3 | 3 | 33-15 | 36 |
| 2. ბრიუგე | 17 | 10 | 4 | 3 | 30-18 | 34 |
| 3. გენტი | 17 | 10 | 3 | 4 | 38-19 | 33 |
| 4. კორტრიიკი | 17 | 9 | 3 | 5 | 24-19 | 30 |
| 5. სერკლ ბრიუგე | 17 | 8 | 6 | 3 | 22-15 | 30 |
| 6. სტანდარდი | 17 | 8 | 6 | 3 | 23-21 | 30 |
| 7. გენკი | 17 | 7 | 5 | 5 | 32-24 | 26 |
| 8. ბეერსხოტი | 17 | 6 | 6 | 5 | 28-23 | 24 |
| 9. მონსი | 17 | 6 | 5 | 6 | 31-29 | 23 |
| 10. მეხელენი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-33 | 19 |
| 11. ლოკერენი | 17 | 4 | 7 | 6 | 23-25 | 19 |
| 11. ლოივენი | 17 | 4 | 4 | 9 | 19-31 | 16 |
| 13. ვარეგემი | 17 | 2 | 9 | 6 | 17-24 | 15 |
| 14. ლიერსი | 17 | 2 | 7 | 8 | 12-25 | 13 |
| 15. სტ. ტრუიდენი | 17 | 2 | 4 | 11 | 24-40 | 10 |
| 16. ვესტერლო | 17 | 2 | 4 | 11 | 13-30 | 10 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XVII ტური

| | |
|---|---|
| მაგდებურგი-ჰანოვერი II | 1:2 |
| ლაიფციგი-ჰალეშერი | 0:1 |
| კოტბუსი II-ვილჰელმსჰაფენი | 1:5 |
| ჰერტა II-ლიუბეკი | 2:1 |
| კილი-ვოლფსბურგი II | 2:1 |
| სტ. პაული II-ჰამბურგი II | გადაიდო |
| ბერლინერი-გერმანია | 0:2 |
| პლაუენი-ჰაველსე | 1:1 |
| მოისელვიცი-მეპენი | 1:0 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XXI ტური

| | |
|---|---|
| მემინგენი-კარლსრუე II | 1:1 |
| კასელი-აინტრახტი II | 3:2 |
| ინგოლშტადტი II-ბაიერნი (ა) | 4:1 |
| პფულენდორფი-ფრანკფურტი II | 1:0 |
| შტ. კიკერსი-ფრაიბურგი II | 0:0 |
| ვორმატია-ფიურტი II | 2:1 |
| ჰოფენჰაიმი II-მიუნხენი II | 1:1 |
| ნიურნბერგი II-ზონენჰოფი | 3:1 |
| ბაიერნი II-ვალდჰოფი | დღეს |

### რეგიონალლიგა (დას)

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი II-ვიდენბრუკი | 0:2 |
| ვუპერტალი-შალკე II | 2:0 |
| ესენი-ფორტუნა II | 3:1 |
| კაიზერი II-ობერჰაუზენი | 1:1 |
| კობლენცი-კიოლნი II | 2:2 |
| გლადბახი II-ფორტუნა (კ) | 2:1 |
| ლოტე-ტრირი | 2:3 |
| ფერლი-მაინცი II | 1:0 |
| ბოხუმი II-დორტმუნდი II | 0:3 |

## საფრანგეთის თასი

### II ეტაპი

| | |
|---|---|
| არჟანტრი-ნანტი | 2:2 პენ. 4:3 |
| ბურჟე-ლიონ ლა დუშერი | 1:3 |
| ვერსეი-ალფორტვილი | 2:0 |
| ვილერსი-კრეტეი | 2:4 |
| პონტარლიე-სტრასბური | 0:1 |
| გფკო აიაჩო-კალეი | 3:0 |
| ამნევილი-მეცი | 2:3 |
| ლოკმენი-ვანი | 2:1 დ.დ. |
| სანუა-ლავალი | 0:2 |
| ავრანში-ლე პებიერი | 3:1 |
| კალე-ანჟერსი | 1:2 |
| ლუკონი-ტრელისაკი | 1:0 |
| მონტკო-პონ დუ გარდი | 1:0 |
| ნიორი-ბეიონი | 3:2 |
| პარიზი-ბულონი | 0:3 |
| რაონი-ტრუა | 3:3 პენ. 2:4 |
| საბლე-ლა ვიტრენი | 4:1 |
| შანჟი-მონტანარდი | 1:2 დ.დ. |
| კომპეინი-დუნკერკი | 2:1 |
| ლე საბლე-ვიტრი | 2:3 |
| ბონი-მულუზი | 2:2 პენ. 0:3 |
| ბრივი-ტური | 0:1 |
| ლა ტური-მონაკო | 0:2 |
| ორლეანი-ივრი | 1:0 |
| ტიერი-ვენდე | 4:2 |
| ვალანსი-გრენობლი | 3:2 დ.დ. |
| შამალიერი-შატორუ | 0:6 |
| ფორბახი-რედ სტარი | 0:1 |
| პრი ლე მეზ-შილტინგეიმი | 1:0 დ.დ. |
| სენტ ვიტი-ბურჟი | 0:3 |
| შანტილი-ლე პორტელი | 1:0 |
| დესენი-ისტრი | 0:6 |
| მარკსი-რეიმსი | 2:1 |
| სარანი-შერბური | 1:2 |
| არასი-შამბლი | 0:2 |
| პერპინიანი-ფრეჟუსი | 1:3 |
| ევრი-დრანსი | 1:1 პენ. 3:4 |
| გრაველენი-პავრი | 1:2 დ.დ. |
| ლე მანი-გინგამი | 1:0 |
| ტულუზ როდეო-ლიმოჟი | 1:2 |
| მონ დე მარსანი-კლერმონი | 0:0 პენ. 4:5 |
| ფენიე-კევილი | 1:1 პენ. 0:3 |
| ქარვილი-სედანი | 0:4 |
| ლუანი-ბასტია | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-სტანდარდი (ვ) | 1:0 |
| ეუპენი-სტ. ნიკლაასი | 2:1 |
| დენდერი-აალსტი | 2:2 |
| რუზელარე-ბრიუსელი | 3:3 |
| ტუბეკე-შარლერუა | 2:1 |
| ვაასლანდი-პაისტი | 0:3 |
| ტინენი-ბორინაჟი | 1:3 |
| ვიზე-ლომელი | 1:1 |
| ოსტენდე-ეოლუვე | 4:0 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| მორეირენსე-ბელენენსეში | 3:2 |
| ნავალი-ეშტორილი | 0:3 |
| სანტა კლარა-მადეირა | 0:1 |
| არუკა-ოლივეირენსე | 3:3 |
| ატლეტიკო-პენაფიელი | 1:1 |
| ლეიქსოეში-ტროფენსე | 2:3 |
| კოვილია-ფრეამუნდე | 2:1 |
| პორტიმონენსე-ავეში | 1:1 |

## მს. ჩემპიონატი

### კლუბები

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ესპერანსი-ალ სადი | 1:2 |
| კაშივა-მონტერეი | 1:1 პენ. 4:3 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| აირი-როსი | გადაიდო |
| ფალკირკი-ჰემილტონი | 0:0 |
| დანდი-ქუინი | 2:1 |
| მორტონი-პარტიკი | 1:2 |
| რეითი-ლივინგსტონი | 0:1 |

### II დივიზიონი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-დამბარტონი | 3:1 |
| ბრეჩინი-სტირლინგი | გადაიდო |
| კოუდენბითი-არბროა | 0:0 |
| ფორფარი-ისტ ფაიფი | გადაიდო |
| სტენჰაუზმუირი-ეირდრი | 1:1 |

### III დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| ალოა-ქუინზ პარკი | 1:0 |
| ანანი-მონროუზი | 2:1 |
| კლაიდი-ელჯინი | გადაიდო |
| პიტერჰედი-ბერვიკი | გადაიდო |
| სტრანრარი-ისტ სტირლინგი | 6:0 |

## ავსტრია

XVIII ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-ტიროლი | 0:0 |
| მატერსბურგი-კაპფენბერგი | 2:0 |
| რიდი-ვინერი | 2:0 |
| შტურმი-აუსტრია | 5:1 |
| ზალცბურგი-ადმირა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიდი | 18 | 8 | 7 | 3 | 28-17 | 31 |
| 2. რაპიდი | 18 | 7 | 8 | 3 | 28-18 | 29 |
| 3. აუსტრია | 18 | 7 | 7 | 4 | 34-27 | 28 |
| 4. ადმირა | 18 | 7 | 7 | 4 | 29-26 | 28 |
| 5. ზალცბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 29-20 | 27 |
| 6. შტურმი | 18 | 7 | 5 | 6 | 32-27 | 26 |
| 7. ტიროლი | 18 | 4 | 9 | 5 | 19-24 | 21 |
| 8. ვინერი | 18 | 4 | 7 | 7 | 16-27 | 19 |
| 9. მატერსბურგი | 18 | 3 | 8 | 7 | 22-25 | 17 |
| 10. კაპფენბერგი | 18 | 2 | 4 | 12 | 13-39 | 10 |

## კვიპროსი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ანაგენისი-აეკ | 0:3 |
| ანორთოსისი-აპოლონი | 2:0 |
| აელ-ეთნიკოსი | 0:0 |
| ომონია-აპოელ | 1:3 |
| არისი-ნეა სალამისი | 2:3 |
| ერმისი-ოლიმპიაკოსი | 1:3 |
| ალკი-ენოსისი | გადაიდო |

## საბერძნეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| პაოკ-ატრომიტოსი | 3:1 |
| ქსანტი-ლევადია | 1:1 |
| აეკ-იანინა | 2:1 |
| ასტერასი-არისი | 1:0 |
| პანაიტოლიკოსი-ოფი | 1:0 |
| ერგოტელისი-დოქსა | 2:1 |
| პანიონიოსი-პანათინაიკოსი | 1:2 |
| კერკირა-ოლიმპიაკოსი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აეკ | 13 | 9 | 1 | 3 | 22-15 | 28 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 12 | 8 | 3 | 1 | 29-12 | 27 |
| 3. პანათინაიკოსი | 11 | 8 | 2 | 1 | 26-13 | 26 |
| 4. ატრომიტოსი | 12 | 5 | 5 | 2 | 13-13 | 20 |
| 5. პაოკ | 13 | 5 | 4 | 4 | 18-13 | 19 |
| 6. ქსანტი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-15 | 18 |
| 7. ოფი | 12 | 5 | 3 | 4 | 16-13 | 18 |
| 8. ერგოტელისი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 9. პანაიტოლიკოს | 11 | 4 | 2 | 5 | 10-14 | 14 |
| 10. პანიონიოსი | 13 | 3 | 4 | 6 | 12-16 | 13 |
| 11. ასტერასი | 11 | 3 | 3 | 5 | 6-12 | 12 |
| 12. იანინა | 11 | 2 | 4 | 5 | 12-16 | 10 |
| 13. არისი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-13 | 10 |
| 14. ლევადია | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 15. კერკირა | 11 | 1 | 3 | 7 | 7-19 | 6 |
| 16. დოქსა | 6 | 0 | 1 | 5 | 1-12 | 1 |

### II დივიზიონი

VI ტური

პანსერაიკოსი-კალონი 2:3; აგროტიკოსი-კალითეა 1:0; ანაგენისი (ე)-პიერიკოსი 2:0; ანაგენისი (ი)-ვერია 0:2; ფოკიკოსი-პანთრაკიკოსი 0:1; ირაკლისი (პ)-პლატანიასი 0:0; პანაჰაიკი-ტრასივულოსი 4:1; ეთნიკოსი (ა)-ლარისა 0:0; დიაგორასი-ვიცასი დღეს.

## ჩრ. ირლანდია

XX ტური

| | |
|---|---|
| კერიკი-დონეგალი | 1:2 |
| კლიფტონვილი-ლისბურნი | 3:1 |
| კოლრეინი-დუნგანონი | 3:2 |
| კრუზეიდერსი-ლინფილდი | 0:1 |
| გლენავონი-ბალიმენა | 3:0 |
| გლენტორანი-პორტდაუნი | 0:2 |

## აზერბაიჯანი

XVI ტური

| | |
|---|---|
| რავანი-ბაქო | 0:0 |
| ხაზარი-ყარაბახი | 0:0 |
| სიმურგი-თურანი | 2:1 |
| ნეფთჩი-აზალ | 7:1 |
| ქაბალა-ინტერი | 0:0 |
| სუმგაიტი-ქაფაზი | 4:1 |

## ავსტრალია

X ტური

| | |
|---|---|
| ველინგტონი-პერტი | 1:0 |
| სენტრალი-ნიუკასლი | 2:0 |
| მელბურნ ჰ-ადელაიდა | 1:1 |
| გოლდ კოუსტი-სიდნეი | 0:0 |

## შვეიცარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII ტური

| | |
|---|---|
| თუნი-იანგ ბოიზი | 1:1 |
| ციურიხი-სიონი | 1:1 |
| ლოზანა-გრასჰოპერსი | 2:1 |
| ლუცერნი-სერვეტი | 1:2 |
| ქსამაქსი-ბაზელი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 18 | 11 | 5 | 2 | 38-17 | 38 |
| 2. ლუცერნი | 18 | 9 | 4 | 5 | 25-15 | 31 |
| 3. სიონი | 18 | 9 | 4 | 5 | 26-17 | 31 |
| 4. იანგ ბოიზი | 18 | 7 | 6 | 5 | 26-17 | 27 |
| 5. ქსამაქსი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-22 | 26 |
| 6. სერვეტი | 18 | 7 | 3 | 8 | 25-29 | 24 |
| 7. თუნი | 18 | 6 | 5 | 7 | 21-21 | 23 |
| 8. ციურიხი | 18 | 6 | 3 | 9 | 26-26 | 21 |
| 9. გრასჰოპერსი | 18 | 6 | 1 | 11 | 19-36 | 19 |
| 10. ლოზანა | 18 | 3 | 2 | 13 | 16-44 | 11 |

### ჩელენჯლიგა

XV ტური

ბრიული-ვოლენი 3:2; ბელინცონა-სტ. გალენი 0:1; არაუ-კრინსი 3:1; ლუგანო-ვადუცი 2:0; ვილი-ბილი 1:2.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| ახისარი-დენიზლი | 3:3 |
| გიონგურენი-საქარია | 2:3 |
| ადანა-კონია | 0:0 |
| ბოლუ-ქარსიაკა | 1:0 |
| ერჩიესი-კასიმფაშა | 2:2 |
| გირესუნი-რიზე | 1:1 |
| ელაზიგი-თავშანლი | 3:0 |
| გიოზთეფე-ბუკა | 1:2 |
| გაზიანთეფი ბბ-ქართალი | დღეს |

## უელსი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბანგორი-ბალა | 2:1 |
| აფან ლიდო-ნიუთაუნი | 3:2 |
| აირბასი-კარმარტენი | 3:1 |
| ებერისტვითი-ნიუ სეინტსი | 1:1 |
| ლანელი-პრესტატინი | 3:2 |
| ნითი-პორტ ტელბოტი | გადაიდო |

## ისრაელი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ბნეი საქნინი-აშდოდი | 1:2 |
| ირონი (რ-ა)-ჰაპოელი (ფ-თ) | 0:0 |
| ირონი (რ-ლ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:1 |
| მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (ა) | 0:4 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ნ) | 1:1 |
| მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (ჰ) | 1:3 |
| ბნეი იეჰუდა-ბეითარი | 3:0 |

## პოლონეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| პოდბესკიძე-ბელხატოვი | 1:0 |
| ვისლა-პოლონია | 0:1 |
| რუხი-კორონა | 4:1 |
| ვიძევი-გურნიკი | 2:0 |
| ლეგია-კრაკოვია | 0:0 |
| ლკს-შლიონსკი | 1:2 |
| ლეჩია-იაგელონია | 0:1 |
| ლეხი-ზაგლებე | დღეს |

## რუმინეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ტარგუ-ბრაშოვი | 0:0 |
| უნივერსიტატეა-ვასლუი | 0:1 |
| სტიაუა-კლუჟი | 1:1 |
| სპორტული-პეტროლული | 1:1 |
| მიოვენი-ვოინტა | 1:2 |
| ოცელული-რაპიდი | 2:0 |
| ასტრა-დინამო | 0:0 |

## სერბეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ბორაცი-სპარტაკი | 0:1 |
| ბორჩა-იავორი | 1:1 |
| მეტალაკი-პარტიზანი | 0:3 |
| სევოინო-ოფკ | 1:2 |
| ბაჩკა-იაგოდინა | 0:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ვოივოდინა | 0:2 |
| სმედერევო-ჰაიდუკი | 3:0 |
| რადნიჩკი-რადი | 4:2 |

## უკრაინა

XX ტური

| | |
|---|---|
| ობოლონი-ტავრია | 1:3 |
| ოლექსანდრია-მეტალისტი | 1:3 |
| კარპატი-დინამო | 0:1 |
| დნიპრო-ჩერნომორეცი | 1:0 |
| არსენალი-ვორსკლა | 2:0 |
| მეტალურგი-ზორია | 3:0 |
| ვოლინი-ილიჩივეცი | 0:1 |
| კრივბასი-შახტარი | 0:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 16 | 4 | 0 | 41-8 | 52 |
| 2. შახტარი | 20 | 16 | 3 | 1 | 54-12 | 51 |
| 3. მეტალისტი | 20 | 14 | 5 | 1 | 38-16 | 47 |
| 4. დნიპრო | 20 | 10 | 3 | 7 | 31-25 | 33 |
| 5. კრივბასი | 20 | 9 | 4 | 7 | 18-19 | 31 |
| 6. არსენალი | 20 | 8 | 6 | 6 | 23-17 | 30 |
| 7. ტავრია | 20 | 8 | 6 | 6 | 29-24 | 30 |
| 8. მეტალურგი | 20 | 9 | 2 | 9 | 25-22 | 29 |
| 9. ვორსკლა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-29 | 24 |
| 10. ილიჩივეცი | 20 | 6 | 5 | 9 | 20-30 | 23 |
| 11. ჩერნომორეცი | 20 | 5 | 6 | 9 | 17-25 | 21 |
| 12. ვოლინი | 20 | 5 | 4 | 11 | 18-31 | 19 |
| 13. კარპატი | 20 | 3 | 7 | 10 | 17-30 | 16 |
| 14. ოლექსანდრია | 20 | 3 | 5 | 12 | 17-39 | 14 |
| 15. ზორია | 20 | 3 | 3 | 14 | 15-40 | 12 |
| 16. ობოლონი | 20 | 2 | 5 | 13 | 10-31 | 11 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. კანოს ტურნირი

# ცუდად დაცდილი ტოკიო

მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** (100) ტოკიო ცუდად დაებედა - მსოფლიოს შარშანდელი პირველობის მსგავსად, კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე წარმატებით დაბოლოება და პრინციპულ შეხვედრაში საჭიდაოდ გასვლა თურმე არც ამჯერად ეწერა. მაშინ ეს თუ მესამე წრეში კუბელ **ორეიდის დესპაინთან** შეხვედრისას მოხდა, ახლა ნახევარფინალში რუს **სერგეი სამოილოვიჩს** არ გამოუცხადდა და უბრძოლველად დაუთმო ფინალის საგზური, თვითონ კი ბრინჯაოს დასჯერდა. დარწმუნებული ვარ, მისმა გამოუცხადებლობამ ბევრს ძველი ამბავი გაახსენა, თუმცა ამ შემთხვევაში მიზეზი არა მაშინდელივით გაუგებრობა, არამედ ნეკნის ტრავმა ყოფილა, რომელიც ჩვენებურს მეორე წრეში იაპონელ **ტაცუკი მასუბუშისთან** შეხვედრაში მიუღია. ამის შემდეგ ცირეკიძემ კიდევ ერთი შეხვედრა მოიგო - უზბეკ **რამზიდინ საიდოვთან,** რომელთანაც გამაყუჩებლებით უჭიდავია. ქომაგს კი არა, თურმე მისი ტრავმისა ძიუდოს ფედერაციაშიც არ სჯეროდათ და კატეგორიულად სთხოვდნენ ჭიდაობას, მაგრამ დაშავებული რომ იყო, დაჯილდოების დროსაც, კვარცხლბეკზე ასვლა-ჩამოსვლისას ნამდვილად ეტყობოდა... სამედიცინო ჟარგონზე რომ ვთქვათ, ნეკნი ნეკნზეა „გადამჯდარი", თუმცა რამდენად სერიოზულია, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. ცირეკიძეს გუშინვე გამოიკვლევდნენ ტოკიოში, ოღონდ საბოლოო შედეგები ფედერაციაში არ იცოდნენ, ისე კი თავად სპორტსმენს მათთან საუბარში იმედი გამოუთქვამს, რომ ერთ კვირაში გასამართ ჩინეთის „დიდ პრიზამდე" გამოჯანმრთელდება და იქაც იჭიდავებს.

ცირეკიძემ ახლა ტოკიოში ბრინჯაოს მედალთან ერთად 1500-დოლარიანი პრემია და 120 ქულა მიიღო, რამაც რეიტინგში დიდად ახეირა.

## მათემატიკური ძიუდო

ტრავმა რომ არა, სხვა მხრივ ცირეკიძემ მშვენივრად იასპარეზა. რაც მთავარია, ისეთ შედეგს მიაღწია, ამ წონაში აქამდეც მძაფრი შიდა სანაკრებო კონკურენცია კიდევ უფრო დაძაბა - 14 დეკემბრიდან **ლომერ ჟორჟოლიანსაც** გადაუსწრებს, მანამდე კი საერთაშორისო რეიტინგში ტოპ-16-ში შევიდა. ამით 16-18 იანვარს ალმატიში მასტერსის სერიის ტურნირზე გამოსვლის შანსიც მიიღო, თუმცა ეს საკითხი საბოლოოდ მომავალ უქმეებზე ჩინეთში გაირკვევა თუ ქინგდაოში „დიდ პრიზზეც" წარმატებით იჭიდავებს (გამოვა საერთოდ?!). ახლა კი იმის თაობაზე, რატომ გადაუსწრებს ჟორჟოლიანს 14 დეკემბრიდან და არა დღესვე.

საქმე ისაა, რომ დრო ჟორჟოლიანის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, რომელსაც სულ მალე ლიცენზიების განაწილების წესი აზარალებს - 14-დან რეიტინგში გაუნულდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების, 2009 წელს გამართული კანოს მემორიალის შედეგი, რადგან იმ დღიდან ის უკვე სამი წლით ადრე გამართული გამოვა, ორ წელიწადზე ადრინდელები კი ნულდება. ტოკიოში მოპოვებული 120 მას უკვე გაუნახევრდა, 14 დეკემბრიდან კი, ანუ ჩინურ შეჯიბრებამდე ორი დღით ადრე, საერთოდ გაუნულდება. მოგვწონს თუ არა ეს წესი, უნდა დავემორჩილოთ. მით უფრო, ჟორჟოლიანი არათუ გამონაკლისია, ზოგიერთს ერთბაშად ორი შეჯიბრების შედეგი უუქმდება. მაგალითად, კორეელ მსოფლიოს ჩემპიონ **ჰე-ტაე ჰვანგს** 200 ქულა აკლდება. ასევე ორი შედეგი ჩამოეწერება ჩეხ **ლუკაშ კრპალეკსაც,** თუმცა კორეელთან შედარებით - ცოტა ქულები და დიდად არ დაქვეითდება.

ამდენად, ჟორჟოლიანს 14 დეკემბრამდე რეიტინგში ისევ 620 ქულა ექნება, თუმცა მერე 60 გამოაკლდება, სანაცვლოდ კი 18 დაემატება (საკონკურსოდ დარჩენილთაგან საუკეთესოს განახევრებული ვარიანტი მეტი არაა) და 578 ქულა გაუხდება, ცირეკიძეს კი ახლა მოპოვებული 120 ქულით მონაგარი 598-მდე გაეზრდება. მან წლეულს სულ ოთხ სალიცენზიო ტურნირში იჭიდავა. აქედან მსოფლიოზე მოპოვებული ბრინჯაოსთვის 200, ევროპული ბრინჯაოსთვის კი 72 ქულა მიიღო, რასაც ორჯერ 24-24-იც დაუმატა. მისი მდგომარეობა უკეთესი იმითაცაა, რომ რომელიმე შედეგის განულება არ ემუქრება - ყველაზე ბოლოს სალიცენზიო შეჯიბრებაში შარშან მაისში გამოვიდა რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე".

მოკლედ, უკვე ორივე ჩვენებური მყარად დამკვიდრდა ამ წონის სალიცენზიო რეიტინგის სანუკვარ 22-კაციან ზონაში, რაც ლონდონის ოლიმპიადის საგზურს ავტომატურად იძლევა, მაგრამ ცირეკიძემ თუ გაიუმჯობესა მდგომარეობა, ახლა ჟორჟოლიანი გაგვიხდა სადარდელი. მართალია, მას სალიცენზიო 22 კაციდან გავარდნა არ ემუქრება, მაგრამ 16-ეულში დარჩენა კი გაუხდება საბრძოლველი. 14 დეკემბრიდან ის ზუსტად მე-16 იქნება, ხოლო ოლიმპიურში მე-14-ზე გადაინაცვლებს. თუმცა ამჯერად ჩვენთვის საინტერესო არა ოლიმპიური რეიტინგი, არამედ 16-ეულში დარჩენა და მასტერსზე გამოსვლაა. ახლა ჟორჟოლიანის ბედი მისსავე ხელში და ჩინურ ტურნირზე წარმატებით გამოსვლაშია.

ცირეკიძემ რეიტინგში დიდი ნახტომი გააკეთა - საერთაშორისოში ახლა მე-15-ეა, მაგრამ 14 დეკემბრიდან ჟორჟოლიანის ადგილს დაიკავებს. ოლიმპიურ ჩამონათვალშიც მას გაუცვლის ადგილს და მე-12 გახდება.




## ცირეკიძის ფენომენი

ცირეკიძე სამოილოვიჩს აქამდე ორჯერ შეხვედრია და ორივეჯერ დაუმარცხებია - შარშან ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე მოუგო. ტრავმა რომ არა, ვფიქრობთ, მისი დამარცხება არც ახლა გაუჭირდებოდა იმის მიუხედავად, რომ რუსი ჩემპიონი გახდა. ჩვენებურმა ტურნირი ჩვეულად ძლიერად დაიწყო და ზედიზედ ორი იპონი მიითვალა - არგენტინელ **კრისტიან შმიდტთან** და ზემოხსენებულ მასუბუჩისთან, სადაც ნეკნიც იტკინა. როგორც გითხარით, საიდოვთან გამაყუჩებლით იჭიდავა და ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ ილეთი ვერ გააკეთა და მსაჯთა გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. ფიზიკურად საკმაოდ კარგად იყო მომზადებული, ხოლო ტაქტიკური ჭიდაობა არასოდეს უჭირდა. მოგებებსაც ამის ხარჯზე მიაღწია, მაგრამ ტრავმამ მეტის საშუალება არ მისცა. ბედის მუხთლობა რომ არა, ვინ იცის, იქნებ ნავსიც გაეტეხა და ქართველთაგან პირველს გაემარჯვა კანოს ტურნირზე, როგორც მსოფლიო და ოლიმპიადა მოიგო ჩვენებურთაგან პირველმა. ამის მიუხედავად, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ განსაკუთრებული ფენომენია და ლამის მწვრთნელის გარეშეც შეუძლია წარმატების მოპოვება. დაამტკიცა ისიც, რომ 100 კილოგრამშიც ფავორიტი იქნება, როგორც 90-ში იყო.

სამოილოვიჩი რეიტინგში აქამდე მეხუთე იყო, თუმცა, ალბათ, მის გამარჯვებას არავინ ელოდა, ლიდერებად უფრო ცირეკიძე, ჰვანგი და იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი, რეიტინგის ლიდერი **ტაკამასა ანაი** იყვნენ. ჰვანგი და ანაი მეორე ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და კორეელმა ვაზარით დამაჯერებლად იმარჯვა. ის თითქოს არ იყო საუკეთესო ფორმაში, თითქოს მოძრაობა უჭირდა, მაგრამ მონღოლ ოლიმპიურ ჩემპიონ **ნაიდან ტუვშინბაიარის** მომგები ანაი კიდევ უფრო მოშლილი ჩანდა. შეგახსენებთ, რომ მათ შარშანაც დიდი ომი გააჩაღეს ერთმანეთში - კანოზე ჰვანგმა ფინალში საკუთარი მაყურებლის თვალწინ დაამარცხა იაპონელი, რომელმაც რევანში მასტერსის ფინალში აუღო.

ჰვანგი ამჯერადაც იგებდა ფინალს სამოილოვიჩთან - ვაზარ-იუკოთი, მაგრამ დამთავრებამდე 11 წამით ადრე ფეხში ხელით შევიდა, რისთვისაც მოხსნეს. იმ მომენტში კორეელმა ფეხის გარედან გამოდება სცადა, თუმცა არ გამოუვიდა. გამეორებაზე კარგად არ ჩანდა ის ეპიზოდი, საერთოდ გამოსდო ფეხი თუ ააცილა, მაგრამ, ეტყობა, ეს შეტევის დასაწყისად მიიჩნია და ფეხშიც ამიტომ შეუვარდა, მაგრამ მსაჯებმა სხვანაირად განსაჯეს. ალბათ, მათ ის ფანდი ცრუ-შეტევად მიიჩნიეს, რითაც რუსს ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს - წაგებული შეხვედრა მოაგებინეს. ამით სამოილოვიჩმა მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონ თანაგუნდელ **ტაგირ ხაიბულაევსაც** გადაუსწრო რეიტინგში.

ახლა წინ ჩინეთის „დიდი პრიზია", რომელიც მომავალ უქმეებზე ჩინეთში გაიმართება. იქ ჩვენგან მხოლოდ ცირეკიძე და ჟორჟოლიანი იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**73 კგ.** 1. ჰიორიუკი აკიმოტო (იაპონია), 2. მანსურ ისაევი (რუსეთი), 3. რიკი ნაკაია (იაპონია), დირკ ვან ტიხელტი (ბელგია).

**81 კგ.** 1. ტომოჰირო ტავაკამი (იაპონია), 2. ლეანდრო გილეირო (ბრაზილია), 3. სვენ მარეში (გერმანია), კეიტა ნაგაშიმა (იაპონია).

**90 კგ.** 1. მასაში ნიშიამა (იაპონია), 2. ეშლი გონსალესი (კუბა), 3. კიუვონ ლეე (კორეა), კირილ ვოპროსოვი (რუსეთი).

**100 კგ.** 1. სერგეი სამოილოვიჩი (რუსეთი), 2. ჰე ტაე ჰვანგი (კორეა), **3. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)**, ტაკამასა ანაი (იაპონია).

**+100 კგ.** 1. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი), 2. გუჰამ ჩო (კორეა), 3. რაფაელ სილვა (ბრაზილია), აბდულო ტანგრიევი (უზბეკეთი).

#### ქალები

**57 კგ.** 1. კაორი მაცუმოტო, 2. აიკო სატო, 3. ანზუ იამამოტო (სამივე - იაპონია), რაფაელა სილვა (ბრაზილია).

**63 კგ.** 1. ურსკა ზოლნირი (სლოვენია), 2. იოში უენო, 3. მიკი ტანაკა (ორივე - იაპონია), ელიზაბეტ ვილბოდერსი (ჰოლანდია).

**70 კგ.** 1. ტომოე უენო (იაპონია), 2. სესილია ბლანკო (ესპანეთი), 3. კატარინა კლიში (პოლონეთი), ჰარუკა ტაჩიმოტო (იაპონია).

**78 კგ.** 1. აკარი ოგატა (იაპონია), 2. კაილა ჰარისონი (აშშ), 3. მაირა აგუიარი (ბრაზილია), ჰაიდე ვოლერტი (გერმანია).

**+78 კგ.** 1. მიკა სუგიმოტო, 2. მეგუმი ტაჩიმოტო (ორივე - იაპონია), 3. ნა-იოუნგ კიმი (კორეა), ლუსია პოლავდერი (სლოვენია).

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3
FM 96.3
WWW.RADIOJAKO.GE

ჭადრაკი

# 5 რჩეული 41-დან

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისთვის სხვადასხვა რეგიონის 41 წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის - 7 დიდოსტატი. ბოლო ტურის წინ 6,5-6,5 ქულით **ნინო ბაციაშვილი** და **სოფიკო გურამიშვილი** მეწინავეობდნენ. მე-9 ტურში გურამიშვილმა შავი ფიგურებით ანა კუჭავას სძლია და 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ბაციაშვილი, რომელიც **ინგა ჭარხალაშვილს** დაუზავდა. ნინო მე-2 ადგილზე გავიდა. ლიდერთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მაკა ფურცელაძე - სოფიო გვეტაძე 0:1, მირანდა მიქაძე - ლიკა კობეშავიძე 1:0, ანა გავაშელი - სოფიკო ხუხაშვილი 0:1, ინგა ხურცილავა - სალომე ხაჟომია 1:0. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გვეტაძემ და მიქაძემ გაინაწილეს. სამმა მოჭადრაკემ - ჭარხალაშვილმა, ხურცილავამ და ხუხაშვილმა - 6-6 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით ჭარხალაშვილი უმაღლეს ლიგაში გურამიშვილთან, ბაციაშვილთან, გვეტაძესთან და მიქაძესთან ერთად ითამაშებს, ხურცილავა და ხუხაშვილი რეზერვში იქნებიან.

**ვაჟა დანელია**

# ჭადრაკი და ინტელექტუალები

პეკინში სამი დღის წინათ დაიწყო მსოფლიოს ინტელექტუალური თამაშები, რომლის პროგრამაშიც მოჭადრაკეთა პაექრობებიც შედის. 16-16 დიდოსტატი ქალ-ვაჟი ჯერ სწრაფ ჭადრაკში (პარტიისთვის 20 წუთს + ყოველ სვლაზე 10 წამი) ცდიდა ძალებს. როგორც გაუწყეთ, ასპარეზობის პირველ დღეს **ნანა ძაგნიძემ** ევროპის ჩემპიონ ელმირა სკრიპჩენკოს (საფრანგეთი) სძლია, თუმცა თავადაც დამარცხდა მსოფლიოს, ევროპისა და საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან (რუსეთი). ნანამ გუშინ და გუშინწინ კიდევ 5 შეხვედრა გამართა: მოუგო ელინა დანიელიანსა (სომხეთი) და ელისაბედ პეტცს (გერმანია), დაუზავდა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანს (ჩინეთი), ძიუ ვენძიუნსა( ჩინეთი) და ორგზის ევროპის ჩემპიონ კატერინა ლახნოს (უკრაინა). შვიდი შესაძლებლიდან 4,5 ქულა მოაგროვა და ლახნოსთან და ვენძიუნთან ერთად მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო. 6 ქულით პირველი ადგილი კოსტენიუკმა დაიკავა. ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ჰოუ იფანი, ანა მუზიჩუკი 4-4 ქულით მეხუთე-მეშვიდე ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟებში პირველი-მეექვსე ადგილები ასე განაწილდა: ვან ჰაო (ჩინეთი) - 5,5, ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) - 5, გატა კამსკი (აშშ) - 4,5, პერეს დომინგესი (კუბა), რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ალექსანდრ გრიშჩუკი ( რუსეთი) - 4-4 ქულა.

დღეს ბლიცებში (3 წუთს + 2 წამი) დაიწყება შეჯიბრება წრიული სისტემით. მოჭადრაკეები რვა ტურის პარტიებს გაითამაშებენ, დარჩენილი შვიდი ტური ხვალ გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

# ჯობავამ ყველას აჯობა

მილანში კრესპის საერთაშორისო მემორიალის ბოლო ორ ტურში ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ** მონაგარს 1,5 ქულა შემატა - დაუზავდა ვლადიმირ მალანიუკს (უკრაინა) და დაამარცხა ალბერტო დავიდი (ლუქსემბურგი), 9 შესაძლებლიდან მოაგროვა 8,5 (!) ქულა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ბოლო ტურში დაზავდნენ დრაგან კოვაჩი (ჩერნოგორია) - ვლადიმირ მალანიუკი (უკრაინა), ალექსანდრ კოლოვიჩი (მაკედონია) - სინიცა დრაჟიჩი (სერბეთი), ალესიო ვალსეჩი (იტალია) - ვადიმ შიშკინი (უკრაინა).

ჯობავას 2 ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილი დაიკავა მალნიუკმა. შვიდმა მოჭადრაკემ 6-6 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით მე-3 ადგილი შიშკინს ერგო.



**ვაჟა დანელია**

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# სპორტი მასმედიას იმეგობრებს




თბილისის მასობრივი სპორტის ფედერაციის ინიციატივით ჟურნალისტებისთვის პირველი საქალაქო სპორტული ფესტივალის შეჯიბრებები ხუთ სახეობაში გაიმართა, რომლის მიზანი იყო დედაქალაქში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მასმედიის წარმომადგენლებს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცება.

უკვე ვწერდით, რომ ჭადრაკში ვაჟთა შორის „მედია პალიტრის" გუნდის წევრმა **რამაზ გურგენიძემ** შვიდიდან 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო **მაკო ლომაია** მესამე იყო. ქალებში პირველობა **სოფო ჩიხლაძეს** („24 საათი") ხვდა. ქუჩის კალათბურთში ადგილები ასე განაწილდა: 1. „რუსთავი 2", 2. ტელეკომპანია „იმედი", 3. ქომაგთა ლიგა. ბილიარდში **მიხეილ გურაბანიძემ** („24 საათი") გაიმარჯვა, მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, **ალექსანდრე ძაძამიამ** („იმედი") და **ლაშა მიქაძემ** („მედია პალიტრა") დაიკავეს. გუნდური ადგილებიც ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა.

გუშინ დილმის „ასტრა პარკში" დასკვნითი პაექრობები გაიმართა. კარტინგებში პირველობა არავის დაუთმო ტელეკომპანია „იმედის" წარმომადგენელმა **გიორგი ივანეიშვილმა.** ყველაზე მეტი მონაწილე ნარდში შეიკრიბა - ოცდათორმეტამდე ქალ-ვაჟი. მანდილოსნებში ყველას **ლალი ხოჯავამ** (რადიო „ფორტუნა") აჯობა, კაცებში მთავარი პრიზი **დათო ბაკურაძემ** („მსოფლიო სპორტი") დაიმსახურა. მესამე ადგილი რამაზ გურგენიძეს ერგო.

საბოლოოდ გუნდური საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: „24 საათი", ტელეკომპანია „იმედი", „მსოფლიო სპორტი".

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ქართველი იტალიაში

# დუბლ-სანიკიძე... მეოთხედ



ზედიზედ მეოთხედ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** იტალიის ჩემპიონატში ორმაგი დუბლი მიითვალა - იგი „ბიელასთან“ მატჩშიც ასცდა 10-ქულიან ზღვარს: 34 წუთში 15 ქულა და 13 მოხსნა მოაგროვა. 13-დან 11 ასხლეტილ ბურთს იგი საკუთარ ფარზე დაეუფლა, 6-6 სამქულიანი, ორიანი და საჯარიმო ისროლა, 4-4 საჯარიმო და ორქულიანი გამოიყენა, რასაც 1 სამიანი მიამატა.

გასულ კვირასაც მოგახსენეთ, რომ ვიქტორი იტალიის უმაღლეს ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელი იყო. მას ყოფილ თანაგუნდელ **ჯარედ ჰოუმანთან** ერთად საშუალოდ 9.9 მოხსნა ჰქონდა. ბოლო ტურში ქართველმა ფორვარდმა შედეგი გააუმჯობესა და საუკეთესო მომხსნელად იქცა: მის ანგარიშზე საშუალოდ 10.2 მოხსნაა. მეორე ადგილზეა **გრეგ ბრუნერი** (მონტაგრანარო) - 9.6, მესამეა **ლინტონ ჯონსონი** (აველინო) - 9.3.

რადგან ზოგად სტატისტიკაზე ვლაპარაკობთ, აქვე უნდა გითხრათ, რომ სანიკიძე ქულებშიც ერთ-ერთი გამორჩეულია. მის ანგარიშზე საშუალოდ 14.2 ქულაა, რაც მეათე მაჩვენებელია.

■ ■ ■

ზედიზედ სამი მოგების შემდეგ ვიქტორის „ვირტუსი“ სტუმრად „ბიელასთან“ 78:83 დამარცხდა. სირენამდე 5 წუთით ადრე ქართველმა ფორვარდმა ორი საჯარიმო გამოიყენა და ბოლონიელთა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს იყო ყველაზე მცირე სხვაობა ბოლო წუთებზე - „ბიელამ“ გადამწყვეტ მომენტში სამქულიანს საჯარიმოები მიაყოლა და 83:78 გაიმარჯვა.

9 ტურის შემდეგ „ვირტუსს“ 5 მოგება და 4 წაგება აქვს, მომდევნო მატჩს 18 დეკემბერს შინ „ვენეციასთან“ გამართავს.

### ქართველი ბელგიაში

# ომისთვის მოუმზადებელნი



„ანტვერპენთან“ მატჩის შემდეგ „შარლერუას“ თავკაცმა **ჯოვანი ბოძიმ** აღნიშნა:

- ომისთვის მოუმზადებელნი აღმოვჩნდით, გვაკლდა აგრესიულობა და სიზუსტე. არაფერი მუშაობდა. ამიტომაც წავაგეთ.

„შარლერუამ“ „ანტვერპენთან“ სტუმრად 58:80 დათმო. მატჩის ბედი ფაქტობრივად პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა **თორნიკე შენგელიას** თანაგუნდელებმა 29:46 წააგეს. განსაკუთრებით დიდი უპირატესობა მასპინძლებს ფარქვეშ ჰქონდათ: მოხსნებში 36:24 იმარჯვეს.

ერთადერთი შარლერუელი, ვისაც ქულათა მონაგარში ორნიშნა რიცხვი ჩაეწერა, **კრის ჰილი** იყო. მის ანგარიშზე 16 ქულაა. თორნიკემ 21 წუთში 5 ქულა და 3 პასი მიითვალა.

წაგების მიუხედავად „შარლერუა“ ბელგიის ჩემპიონატში პირველობას მყარად ინარჩუნებს. მას 9 ტურის შემდეგ 7 მოგება აქვს და ორი გამარჯვებით უსწრებს მეორეადგილოსან „აალსტარს“. შენგელიას თანაგუნდელები მომდევნო თამაშს ევროლიგაზე მილანში „არმანის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ.

### საქართველოს ჩემპიონატი. IX ტური

# ასები



მიმდინარე ჩემპიონატამდე **კოტე ტულუშს** 3 სამმაგი დუბლი ჰქონდა შესრულებული, ხოლო **ბუბა კვიმსაძეს** - ერთი. 21-ე პირველობაზე მეცხრე ტურამდე ერთი ტრიპლ-დაბლიც არ დაფიქსირებულა, შაბათს კი ერთბაშად ორი სამმაგი დუბლი შესრულდა - ქუთაისელი **რიჩარდ მათიაშვილი** და ოლიმპელი **ლაშა გამყრელიძე** იოლად ასცდნენ 10-იან ნიშნულს სამ კომპონენტში: ქულებში, პასებსა და მოხსნებში.

გამყრელიძემ „დინამოსთან“ 27 ქულა, 14 პასი და 10 მოხსნა მოაგროვა, ხოლო მათიაშვილმა - 10 მოხსნა, 11 პასი და 12 ქულა.

სწორედ ეს ორი კალათბურთელი დავასახელეთ ტურის საუკეთესოებად, თუმცა MVP-ს ტიტულს ქუთაისელი **გიგი ბარბაქაძე** (7-დან 7 სამქულიანი, 31 ქულა) და შსს-ელი **ლარი ბლერიც** (33 ქულა, 8 პასი) იმსახურებდნენ. რადგან სამმაგი დუბლი საქართველოში არცთუ ხშირად ფიქსირდება, საერთო გადაწყვეტილებით საუკეთესოებად ლაშა გამყრელიძე და მათიაშვილი დავასახელეთ.

**არმია-ბათუმი 102:68**

**33:8, 19:20, 28:17, 22:23**

**არმია:** ვუდსაიდი (19ქ, 6პ), საყვარელიძე (14ქ), რიჩარდსონი (13ქ, 5პ), ტომასი (10ქ), შელბომი (9ქ), ბაბიაშვილი (15ქ), ბოისა, მინაშვილი (5ქ), კვიმსაძე, ჰოუკინსი, მოსეშვილი (5ქ), ათანელიშვილი (12ქ).

**ბათუმი:** მიქელაძე (14ქ, 7პ), რამიშვილი, ვ. მაისურაძე (21ქ), კეშელავა (13ქ), ელიაშვილი (10ქ), ემირიძე, ელიაძე (10ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ს. საინერისი, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** რ. გელოვანი

პარასკევს თსუ-ს დაწყებული საქმე კარგად განაგრძო „არმიამ“, ისიც ასცდა 100-ქულიან ბარიერს. საქართველოს ჩემპიონმა აუტსაიდერი „ბათუმი“ 102:68 დაამარცხა.

რა კომპონენტში აჯობეს ძალოვნებმა ზღვისპირელებს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია მაშინ, როცა ანგარიშში 34-ქულიანი სხვაობა ფიქსირდება. ევროჩელენჯზე გადამწყვეტი მატჩის მომლოდინე არმიელებს კარგი ვარჯიში გამოუვიდათ. ეს აუცილებელიც იყო, რადგან გუნდში ბევრი ახალწვეულია. მწვრთნელმა, **კოტე ტულუშმა** სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზი გამოსცადა და ყველაფერი კარგად გამოუვიდა. იგივეს იმედი გვაქვს „ლეიდენთან“ სამშაბათის მატჩში.

თავის მხრივ, მაღალი დონის ლეგიონერებთან ჭიდილში დიდი გამოცდილება შეიძინეს ახალგაზრდა ბათუმელებმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა 18-წლამდელთა ნაკრების გამთამაშებელმა **ირაკლი მიქელაძემ** (14 ქულა, 7 პასი).

**სამედიცინო-შსს 80:105**

**21:25, 15:24, 18:28, 26:28**

**სამედიცინო:** სამოილოვიჩი (3ქ), ტომარაძე (17ქ), ჭოჭუა (10ქ, 8მ, 5პ), ბექაური (21ქ, 12მ, 4დ), ილიჩი (8ქ, 9მ), ჩიკვილაძე (11ქ), პირველაშვილი, აბაიშვილი, შვანგირაძე (7ქ), ჭინჭარაძე (3ქ).

**შსს:** ბლერი (33ქ, 8პ), კრეპსი (18ქ, 7პ), მაკქემონი (15ქ), ლონდარიძე (8ქ, 10მ), სმიტი (5ქ, 7მ), ლაფანაშვილი (7ქ), ნიკოლაძე (2ქ), ლომოური (2ქ), თენიეშვილი (1ქ), ტუჯანი (8ქ), იმნაძე (6ქ), ბოქოლიშვილი.

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**კომისარი:** მ. რატიშვილი

თანაბარ თამაშს ველოდით შსს-სა და „სამედიცინოს“ შორის, თუმცა წინა კვირას „სოხუმთან“ წაგების შემდეგ ძალოვნები იმდენად მობილიზებულები გამოვიდნენ, რომ ტურში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სხვაობა დააფიქსირეს - 105:80.

მედიკოსთაგან ბევრი იშრომა ახალგაზრდა მეფარე **ბექა ბექაურმა**, საბოლოოდ სარკისებური დუბლიც მიითვალა - 21 ქულა, 12 მოხსნა. თუმცა ვერავინ შეძლო შსს-ს გამთამაშებლის, ლარი ბლერის შეჩერება, რომელმაც 31 წუთში 33 ქულა (9/6 ორქულიანი, 8/5 სამიანი, 6/6 საჯარიმო), 6 მოხსნა, 8 პასი და 4 ჩაჭრა მიითვალა. ლარის მარგი ქმედების კოეფიციენტი 42-მდე ავიდა, რაც მიმდინარე სუპერლიგის რეკორდის გამეორებაა (ასეთივე შედეგი ჰქონდა სოხუმელ **ლევან ფაცაციას**).

ამ შეხვედრის შემდეგ შსს-ს მოგება-წაგებათა რაოდენობა გაუთანაბრდა (4-4), ხოლო დამარცხებამ „სამედიცინო“ მეცხრე ადგილამდე ჩამოაქვეითა.

**სტუ-ქუთაისი 78:107**

**13:30, 18:32, 24:25, 23:20**

**სტუ:** ძიძიგური (10ქ), დეკანოიძე (2ქ), ჩაჩიბაია, ხანიაშვილი (17ქ), კობიძე (13ქ, 8მ), ტეტელაშვილი (6ქ), თევზაძე (8ქ), ჭოხონელიძე (3ქ), მაჩალაძე (5ქ), კორძაძე (6ქ), ვ. ბერუაშვილი (5ქ), ანთაძე (3ქ).

**ქუთაისი:** ფაშაევი (7ქ), ბაბუნაშვილი (3ქ), დიდია (5ქ), გ. ბარბაქაძე (31ქ), მათიაშვილი (12ქ, 13პ, 11.), ტუკვაძე (4ქ), დ. ბარბაქაძე (18ქ, 9მ), ლომინაშვილი (4ქ), კუჭავა (7ქ), კოლუაშვილი (14ქ, 9მ), ქორიძე (2ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი, გ. მიქელაძე

**კომისარი:** რ. ხომერიკი

ტექნიკოსები ყველა მეტოქესთან ბოლომდე ბრძოლით გამოირჩევიან. ამას ველოდით „ქუთაისთანაც“. სტუ-მ ჩვეულად მოინდომა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან ქუთათურებმა თავი შესანიშნავად დაიცვეს - სტუ-ს კალათბურთელებს პერიმეტრიდან ტყორცნებს არ ანებებდნენ, რამაც ახალგაზრდა ტექნიკოსებს ხელ-ფეხი შეუკრა და პირველ ტაიმში იმერლებმა 62:31 იმარჯვეს. ფარქვეშ კი, ისედაც ცნობილი იყო, რომ რიჩარდ მათიაშვილის წინამძღოლობით ქუთათურები თბილისელებს აჯობებდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა - სტუდენტებმა მოხს-





ნებში 38:61 დათმეს. მეორე ნახევარში თამაში გაიხსნა და „ქუთაისიც“ იოლად ასცდა 100 ქულას.

უმთავრესად ვინ განაპირობა სტუმართა წარმატება, შესავალში მოგახსენეთ.

**დინამო-ოლიმპი 66:99**

**12:22, 26:25, 12:32, 16:20**

**დინამო:** ბაქრაძე (10ქ), სანაძე (14ქ), მარხვაშვილი, კარტერი (8ქ, 9მ), სუხიშვილი (7ქ), ს. ლეჟავა (7ქ), ლომიძე, კეიდია (1ქ), ალხანაიძე (2ქ), ჯანგველაძე (2ქ), ნოელი (15ქ).

**ოლიმპი:** გამყრელიძე (27ქ, 14პ, 10მ), გულისაბედაშვილი (4ქ), სლიუკა (11ქ), მ. ბერიშვილი (12ქ), მილუტინოვიჩი (12ქ), ნანიტაშვილი (4ქ), თავართქილაძე, სიგუა, მუმლაძე (2ქ), ტუტუსი (15ქ), სულაბერიძე, ჰოგერი (12ქ, 10მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

ტურის მეხუთე მატჩშიც ველოდით 100 ან მეტ ქულას, მაგრამ „ოლიმპმა“ 99 იკმარა და ლამაზი ანგარიშით იმარჯვა - 99:66.

„ლამაზი“ მხოლოდ „ოლიმპისთვის“ იყო, „დინამოს“ კი მწარედ დაამახსოვრდება შაბათის შეხვედრა. მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ვერ გადალახა 10-იანი ზღვარი „დინამოს“ ფორვარდმა **კეიენ კარტერმა**. დიდი სხვაობით წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. თუმცა ერთი დადებითი მომენტი მაინც უნდა გამოვარჩიოთ - დინამოელთა ახალწვეულმა **დეივ ნოელმა** 15 ქულა, 6 მოხსნა, 3 პასი მოაგროვა და დაგვარწმუნა, რომ საწყის მატჩებში მისი უფერული თამაში არასათანადო ფორმის ბრალი იყო.

„ოლიმპს“ გამარჯვებისკენ ლაშა გამყრელიძე გაუძღვა, რომელმაც პირადი რეკორდი გაიმეორა - ამჯერადაც 14 პასი მიითვალა. მას არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა: 13-დან 10 ორქულიანი, 4-დან 2 სამიანი, 3-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და 27 ქულამდე ავიდა. მის სამმაგ დუბლზე ზემოთ მოგახსენეთ. ლაშას მარგი ქმედების კოეფიციენტი 36 იყო.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 8 | 8 | 0 | 746/508 | 16 |
| 2. ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 772/678 | 16 |
| 3. ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 659/581 | 15 |
| 4. სოხუმი | 8 | 6 | 2 | 700/606 | 14 |
| 5. შსს | 8 | 4 | 4 | 701/688 | 12 |
| 6. თსუ | 8 | 4 | 4 | 632/630 | 12 |
| 7. სამედიცინო | 9 | 3 | 6 | 772/814 | 12 |
| 8. დინამო | 8 | 3 | 5 | 657/722 | 11 |
| 9. სტუ | 8 | 3 | 5 | 649/717 | 11 |
| 10. ბათუმი | 8 | 0 | 8 | 563/713 | 8 |
| 11. რუსთავი | 8 | 0 | 8 | 557/751 | 8 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# პლეი ოფისთვის ისევ შვიდივე იბრძვის

ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ეტაპის პირველი წრე დასრულდა. „ჰეინეკენის თასსა" და „ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა შვიდი გუნდიდან პლეი ოფში გასვლის შანსს შვიდივე ინარჩუნებს.

„ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში A ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა" პირველი გამარჯვება მოიპოვა შინ ინგლისურ „ნორსჰემპთონთან" - 41:22. მასპინძლებს დასაწყისში ოდნავ გაუჭირდათ, თუმცა გადამწყვეტ უპირატესობას მატჩის ბოლო 15 წუთში მაინც მიაღწიეს.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. ამავე ჯგუფში გალიდერდა ირლანდიური „მანსტერი", რომელმაც სტუმრად პირველი მარცხი აგემა უელსურ „ჰლანეჰლის" - 17:14. ირლანდიური კლუბის წარმატება, ისევე როგორც წინა შეხვედრებში, ამჯერადაც მგეზავის, **რონან ოგარას** ფეხჩუბინობამ განაპირობა. მან გუნდს 12 ქულა შესძინა.

**A ჯგუფი**

**კასტრი-ნორსჰემპთონი 41:22, ჰლანეჰლი-მანსტერი 14:17**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. მანსტერი - 12 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 10, 3. კასტრი - 6, 4. ნორსჰეპმთონი - 3.**

**IV ტური**

**მანსტერი-ჰლანეჰლი, ნორსჰემპთონი-კასტრი**

C ჯგუფში **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძისა, გიორგი ჟღენტი** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" სტუმრად წააგო შოტლანდიაში „გლაზგოსთან" - 15:20 და მხოლოდ ერთი საპრემიო ქულა ირგუნა. მონპელიელთა თავკაცმა **ფაბიენ გალტიემ** გორგოძე დაასვენა, შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და ნარიაშვილმა 65-ე წუთზე შეცვალა, ჟღენტმა მოედანი სამი წუთის შემდეგ დატოვა.

ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ლენსტერმა" სტუმრად მოუგო ინგლისურ „ბასის" და გალიდერდა.

**C ჯგუფი**

**გლაზგო-მონპელიე 20:15, ბასი-ლენსტერი 13:18**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლენსტერი - 11 ქულა, 2. გლაზგო - 8, 3. ბასი - 6, 4. მონპელიე - 4.**

**IV ტური**

**მონპელიე-გლაზგო, ლენსტერი-ბასი**

D ჯგუფში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" შინ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზთან" 30:12 და 10 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, 36-ე წუთზე დაშავდა და შეცვალეს.

ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ალსტერმა" შინ მოუგო იტალიურ „აირონს" - 31:13.

**D ჯგუფი**

**ალსტერი-აირონი 31:13, კლერმონი-ლესტერი 30:12**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კლერმონი - 10 ქულა, 2. ალსტერი - 9, 3. ლესტერი - 8, 4. აირონი - 0**

**IV ტური**

**ლესტერი-კლერმონი, აირონი-ალსტერი.**

**B ჯგუფი**

**კარდიფი-ედინბურგი 25:8, მეტრო რასინგი-ლონდონ აირიში 14:34**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. კარდიფი - 12 ქულა, 2. ედინბურგი - 9, 3. ლონდონ აირიში - 7, 4. მეტრო რასინგი - 3.**

**IV ტური**

**ედინბურგი-კარდიფი, ლონდონ აირიში-მეტრო რასინგი**

**E ჯგუფი**

**ბენეტონი-ბიარიცი 30:26, სრასენზი-ოსფრიზი 31:26.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სრასენზი - 10 ქულა, 2. ოსფრიზი - 7, 3. ბიარიცი - 7, 4. ბნეტონი - 6.**

**IV ტური**

**ოსფრიზი-სარასენზი. ბიარიცი-ბენეტონი**

**F ჯგუფი**

**ჰარლიქვინზი-ტულუზი 10:21, ქონოთი-გლოსტერი 10:14**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 12 ქულა, 2. ჰარლიქვინზი - 8, 3. გლოსტერი - 5, 4. ქონოთი - 1.**

**IV ტური**

**გლოსტერი-ქონოთი, ტულუზი-ჰარლიქვინზი**

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებაში, მესამე ტურში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან, მხოლოდ ორმა მოიგო, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს ყველა ინარჩუნებს.

B ჯგუფში პირველი გამარჯვება მოიპოვა **ტარიელ რატიანიძისა** და **გურამ კავთიძის** „ლიონმა". ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად დაამარცხა ჯგუფის აუტსაიდერი „პადოვა" 31:16 და ახლა 5 ქულით მესამე ადგილზეა.

კავთიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 57-ე წუთზე შეცვალეს, რატიანიძე განაცხადში არ იყო. „ლიონს" ხუთი ქულით უსწრებს და მეორე ადგილზეა, **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონი", რომელმაც სტუმრად წააგო „ნიუკასლთან" - 3:6. როგორც უკვე ვწერდით, ამ შეხვედრაში ქართველთაგან მხოლოდ მიქაუტაძემ ითამაშა.

**B ჯგუფი**

**ნიუკასლი-ტულონი 6:3, ლიონი-პადოვა 31:16.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნიუკასლი - 13 ქულა, 2. ტულონი - 10, 3. ლიონი - 5, 4. პადოვა - 0.**

**IV ტური**

**პადოვა-ლიონი, ტულონი-ნიუკასლი.**

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა E ჯგუფის ლიდერმა **დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა". ამჯერად ბრიველებმა სტუმრად დაამარცხეს ესპანური „ლა ვილა" - 47:18. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **უგო მილამ** მათ დასვენების საშუალება მისცა.

ამავე ჯგუფში შინ წააგო ინგლისურ „სეილ შარქსთან" **ბექა შეყლაშვილის** „აჟენმა" - 14:29.

**E ჯგუფი**

**აჟენი-სეილ შარქსი 14:29, ლა ვილა-ბრივი 18:47.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრივი - 13 ქულა, 2. სეილ შარქსი - 10, 3. აჟენი - 5, 4. ლა ვილა - 0.**

**IV ტური**

**ბრივი-ლა ვილა, სეილ შარქსი-აჟენი.**

**A ჯგუფი**

**კროკიატი-სტად ფრანსე 0:57, ბუქარესტი-ვორსტერი 13:27.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტად ფრანსე - 14 ქულა, 2. ვორსტერი - 14, 3. ბუქარესტი - 5, კროკიატი - 0.**

**IV ტური**

**სტად ფრანსე-კროკიატი, ვორსტერი-ბუქარესტი.**

**C ჯგუფი**

**როვიგო-ბორდო 7:31, ბაიონი-ვოსფსი 19:11.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბაიონი - 13 ქულა, 2. ვოსფსი - 10, 3. ბორდო - 5, 4. როვიგო - 0.**

**IV ტური**

**ბორდო-როვიგო, ვოსფსი-ბაიონი.**

**D ჯგუფი**

**პერპინიანი-პრატო 54:20, ექსეტერი-ნიუპორტი 14:21.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ნიუპორტი - 13 ქულა, 2. პერპინიანი - 9, 3. ექსეტერი - 4. პრატო – 0.**

**IV ტური**

**პრატო-პერპინინი, ნიუპორტი-ექსეტერი.**



ბურთით გიორგი ჟღენტი

მსოფლიოს თასის ექო





# ვუდვორდი ისევ უკმაყოფილოა

ინგლისის რაგბის კავშირის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ - „პომებს" დროებით მწვრთნელთა ტრიომ უხელმძღვანელოს, ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **კლაივ ვუდვორდის** კიდევ ერთი აღშფოთება გამოიწვია. თანაც, როგორც გაირკვა, ინგლისელთა თავკაცის კანდიდატებს შორის ყველაზე რეალურად სამხრეთაფრიკელი **ნიკ მალეტი** მოიაზრება. ცხადია, ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა და ვუდვორდი სანაკრებო რაგბის მენეჯერ **რობ ენდრიუს** „თავს დაესხა".

*„მიუხედავად იმისა, რომ რობ ენდრიუს სარაგბო საზოგადოება და სპორტული მედია მწვავედ აკრიტიკებდა, ის არც დაუქვეითებიათ და, მით უმეტეს, არ გაუნთავისუფლებიათ თანამდებობიდან. არადა, ინგლისის ნაკრების წარმატების გასაღები სწორედ მის ხელთაა.*

*თუ ინგლისის რაგბის კავშირის საქმიანობას ბიზნესის ნებისმიერ სფეროს შევადარებთ, ვნახავთ, რომ საწარმოს წარმატება მთლიანად სწორეს მენეჯმენტზეა დამოკიდებული. მენეჯერის თანამდებობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თუნდაც გუნდის მთავარი მწვრთნელის.*

*იმედი მაქვს, რომ ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცი 2012 წლიდან ინგლისელი ან ვინმე ბრიტანელი იქნება. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ინგლისში მაღალი დონის მწვრთნელების ახალი პლეადა წამოვიდა. მათ შორის ტობი ბუტი (ლონდონ აირიში), მარკ მაკკოლი (სარასენზი), ჯიმი მალიდნერი (ნორსჰემპთონი) და სხვები.*

*როგორც მოსალოდენლი იყო, ახალ მწვრთნელს სანაკრებო კომიტეტი დანიშნავს, ანუ არავინ იქნება ისეთი, ვისაც წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხი შეიძლება მოსთხოვო. მერე დამნაშავე მხოლოდ მთავარი მწვრთნელი იქნება.*

*ერთადერთი რაც მომეწონა ისაა, რომ დროებით მთავარ მწვრთნელს მხოლოდ ორი ასისტენტი ეყოლება. შესაძლოა, ეს ჩემს ფილოსოფიას ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ ეპოქა, როცა მთავარი მწვრთნელი ასისტენტების დიდ ჯგუფს ქმნიდა, ვფიქრობ, წარსულს ჩაბარდა."* - თქვა კლაივ ვუდვორდმა.

შეგახსენებთ, რომ კლაივ ვუდვორდი სწორედ ის ინგლისელი სპეციალისტია, რომლის კანდიდატურაც საქართველოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე განიხილება.

ცვლილებები

# უმაღლეს ლიგაში ათი გუნდი ითამაშებს

„შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" შაბათს საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის გაფართოებული სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს. მრავალსაათიანი თათბირისა და დავა-კამათის შემდეგ დადგინდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მომავალ სეზონში ათ-ათი გუნდი ითამაშებს.

ამასთან ერთად, გადაწყდა, რომ შეიცვლება ჩემპიონატის გამართვის დრო და ის შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით ჩატარდება. გამგეობის გაფართოებული სხდომის კიდევ ერთი განსახილველი თემა საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელის ვინაობა იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას რაგბის კავშირი უახლოეს დღეებში მიიღებს.

იდეა

# ზე გუნდები სეზონის შეცვლაზე ფიქრობენ

ინგლისისა და საფრანგეთის წამყვანი კლუბების ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ უმჯობესი იქნება საშინაო ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით ჩატარდეს, რადგან საერთაშორისო სანაკრებო მატჩებისთვის განკუთვნილი ფანჯარა კლუბებს თავის რიგებში საუკეთესო მოთამაშეების ყოლის საშუალებას ართმევს.

*„ჩვენ ამის თაობაზე დირქტორთა საბჭოზე ვისაუბრეთ. კლუბებს, განსაკუთრებით იმ წელიწადს, როცა მსოფლიოს თასის გათამაშება იმართება, სეზონის დასაწყიში, ორი თვის განმავლობაში წამყვანი მოთამაშეების გარეშე უწევთ ასპარეზობა.*

*ვფიქრობთ, რომ სეზონი მარტში დავიწყოთ და ნოემბერში დავასრულოთ. ეს, ცხადია, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. საჭიროა საყოველთაო დებატები გავმართოთ და ყველასთვის მისაღებ სწორ გადაწყვეტილებამდე მივიდეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ივნისში „ბრიტანელი ლომების" ტურნე იმართება სამხრეთ ნახევარსფეროში"* - თქვა ინგლისის ჩემპიონატის ორგანიზატორის - „პრემიერ ლიგის" აღმასრულებელმა დირექტორმა **მაკ მაკფერტიმ.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჩენდლერი ნიუ იორკში, ოდომი დალასში...

## ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დიდი ყიდვა-გაყიდვა დაიწყო

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თავისუფალი აგენტების ბაზარი გაიხსნა. უკვე განხორციელდა რამდენიმე საინტერესო ტრეიდი.

სამგუნდიანი გაცვლა შედგა „ნიუ იორკს“, „დალასსა“ და „ვაშინგტონს“ შორის. ამ გარიგების თანახმად, **ტაისონ ჩენდლერი** „ნიქსის“ რიგებში ჩაირიცხა, „ვაშინგტონში“ გადავიდა ფრანგი **რონი ტურიაფი**, ხოლო „დალასმა“ მიიღო მცველი **ენდი რაუტინსი** და დრაფტის მეორე რაუნდში რამდენიმე მოთამაშის არჩევის უფლება.

ამასთან, „ნიუ იორკი“ **ჩონსი ბილაპსს** გამოეთხოვა და შესაბამისად, ვეტერანი გამთამაშებელი თავისუფალი აგენტების ბაზარზე გავიდა.

რა თქმა უნდა, ამ გარიგებაში მთავარი მოქმედი პირი ჩენდლერი იყო, რომელიც ოთხი წელი ითამაშებს „ნიქსის“ რიგებში და ამისთვის 58 მილიონ დოლარს მიიღებს.

### ვინსი და ოდომი დალასში

რამდენიმე წყაროს მიერ გავრცელებული დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, NBA-ის ჩემპიონმა „დალას მავერიქსმა“ ტრეიდი განახორციელა „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“. მისი მიხედვით, „კოვბოების“ რიგებში 32 წლის ფორვარდი **ლამარ ოდომი** გადავიდა, თავის მხრივ, „ლეიკერსი“ 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში მოთამაშის არჩევის უფლებით დაკმაყოფილდა.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ კალიფორნიულმა კლუბმა ხელი აიღო **კრის პოლის** გადაბირებაზე და ახლა „ორლანდოს“ ცენტრ **დუიატ ჰოვარდს** უმიზნებს. ოდომის გაშვებაც ამით არის განპირობებული - „ლეიკერსს“ სურს სახელფასო ბიუჯეტში გამოათავისუფლოს თანხა „სუპერმენის“ გასაფორმებლად.

როგორც ESPN ირწმუნება, „დალასი“ ძალიან ახლოსაა ვეტერან **ვინს კარტერთან** მრავალწლიანი კონტრაქტის გაფორმებასთან.

ორი დღის წინ „ფინიქსმა“ „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ რვაგზის მონაწილეს კუთვნილი 18 მილიონიდან 4 მილიონი გადაუხადა და გუნდიდან დაითხოვა.

შარშან 34 წლის კალათბურთელის საშუალო შედეგიანობა 13.5 ქულას შეადგენდა.

გარდა ამისა, „დალასმა“ შემადგენლობა შეავსო ფორვარდ **ბრენდან რაიტით**, რომელმაც შარშანდელი სეზონი „ნიუ ჯერსიში“ დაასრულა და ამ გუნდში საშუალოდ 5.4 ქულასა და 3.0 მოხსნას აგროვებდა.

### ბოსტონი აქტიურობს

სატრანსფერო ბაზრის პირველ ორ დღეს იაქტიურა „ბოსტონ სელტიქსმა“. მისი მთავარი შენაძენი გახდა თავისუფალი აგენტი **დევიდ უესტი**. 31 წლის ფორვარდი „ნიუ ორლეანმა“ 2003 წლის დრაფტზე 21-ე ნომრად აირჩია.

გასულ სეზონში უესტმა „ჰორნეტსის“ შემადგენლობაში საშუალოდ 18.9 ქულა და 7.6 ქულა მიითვალა.

გარდა ამისა, „სელტიქსი“ დათანხმდა გაცვლას „ორლანდოსთან“. კერძოდ, „ბოსტონმა“ მოიშორა მძიმე ფორვარდი **გლენ დევისი**, ხოლო მის სანაცვლოდ ამავე ამპლუის **ბრენდონ ბასი** დაიმატა. ექსპერტთა შეფასებით, „სელტიქსმა“ უკეთესი კალათბურთელი მიიღო, ვიდრე ჰყავდა, თანაც ბასისთვის უფრო ნაკლების გახადა მოუწევს, ვიდრე დევისს უხდიდა.

ისე კი, ამ კალათბურთელების შარშანდელი სტატისტიკა თითქმის თანაბარია: დევისს 11.7 ქულა და 5.5 მოხსნა ჰქონდა, ბასს - 11.2 ქულა და 5.6 მოხსნა.

„ბოსტონმა“ კიდევ ორი კალათბურთელი გაიფორმა. ამ გუნდში ჩაირიცხა 29 წლის ცენტრი **კრის უილკოქსი**, რომელმაც ვეტერანის მინიმალური კონტრაქტი მიიღო. შარშან ამ კალათბურთელმა „დეტროიტში“ 7.4 ქულა და 4.8 მოხსნა დააგროვა.

აგრეთვე „სელტიქსმა“ ერთი წლით გაიფორმა 25 წლის **ჯეფ გრინი**. ეს კალათბურთელი შარშანდელი სეზონის მსვლელობისას გადავიდა „ოკლაჰომადან“ „ბოსტონში“ და ახალ კლუბს საშუალო 5.9 ქულით დაეხმარა. მისი ახალი კონტრაქტის ღირებულება 5.9 მილიონს შეადგენს.


ლამარ ოდომი


ტი ჯეი ფორდი

# სხვა ტრანსფერები

„სან ანტონიო სპურსმა“ 28 წლის მცველი **ტი ჯეი ფორდი** აიყვანა. 2003 წლის დრაფტის მერვე ნომერმა „მილუოკიში“, „ტორონტოსა“ და „ინდიანაში“ მოასწრო თამაში. „სპურსთან“ მისი კონტრაქტის დეტალები უცნობი დარჩა.

გასულ სეზონში ფორდმა 41-ჯერ ითამაშა „პეისერსის“ რიგებში და საშუალოდ 5.4 ქულა და 3.4 შედეგიანი პასი დააგროვა. ლოკაუტის პერიოდში ტი ჯეი მცირე ხნით ხორვატიის „ზაგრებში“ ირიცხებოდა.

■ ■ ■

ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ „ლოს ანჯელეს კლიპერსმა“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **კერონ ბატლერთან**. ხელშეკრულება სამწლიანია და მისი ღირებულება 24 მილიონ დოლარს შეადგენს.

გასული სეზონი ბატლერმა „დალასის“ შემადგენლობაში დაიწყო და საწყის 29 მატჩში საშუალოდ 15.0 ქულა და 4.1 მოხსნა დააგროვა, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლომდე აღარ უთამაშია.

■ ■ ■

33 წლის წლის ცენტრმა **ჯამალ მაგლოირმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ტორონტოსთან“. 2004 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილის ბოლო კლუბი „მაიამი ჰიტი“ იყო, რომლის რიგებში შარშან 18 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 1.9 ქულითა და 3.4 მოხსნით დაეხმარა გუნდს.

ასევე „ტორონტოს“ წევრი გახდა ფრანგი **მიკაელ პიეტრუსი** - კანადურმა კლუბმა ის 2012 წლის დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანში გაუცვალა „ორლანდოს“. გასულ სეზონში ფორვარდის საშუალო მონაგარი 7.2 ქულა და 2.2 მოხსნა იყო.

პიეტრუსის ხელფასი 5.3 მილიონი დოლარი იქნება.

■ ■ ■

დიდი ხანი არ მოუწია თავისუფალ აგენტად ყოფნა 32 წლის მცველ **ირლ უოტსონს**. ვეტერანმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და თავის ყოფილ კლუბთან - „იუტა ჯაზთან“ გააფორმა კონტრაქტი.

შარშან უოტსონმა რეგულარულში 80-ჯერ (13-ჯერ სასტარტო შემადგენლობაში) დაიცვა „იუტას“ ღირსება და საშუალოდ 4.3 ქულა და 3.5 შედეგიანი პასი დააგროვა.

ასევე ცნობილი ხდება, რომ თავისუფალი აგენტი **ჯოშ ჰოვარდი** მალე კონტრაქტს გააფორმებს „ჯაზმენებთან“. შარშან „დალასის“ ყოფილმა მოთამაშემ ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი გამოტოვა, თუმცა გარკვეული ხანი ითამაშა „ვაშინგტონის“ შემადგენლობაში და კარგი სტატისტიკაც ჰქონდა - 13.4 ქულა და 6.5 მოხსნა.

■ ■ ■

„საკრამენტოს“ სარფიან წინადადებას დათანხმდა ცენტრი **ჩაკ ჰეიესი**. ოთხწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ კალათბურთელი 21.3 მილიონ დოლარს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ თავის ბოლო სეზონში ჰეიესმა „ჰიუსტონში“ ითამაშა. 74 მატჩში მისი მონაგარი 7.9 ქულა და 8.1 მოხსნა იყო.

გარდა ამისა, „მეფეებმა“ შეინარჩუნეს ფორვარდი **მარკუს ტორნტონი**, რომელიც უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში 33 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ტორნტონი შარშან „საკრამენტოს“ ერთ-ერთი ლიდერი იყო - 12.8 ქულა და 3.5 მოხსნა.

■ ■ ■

მცველმა **ჯერემი პარგომ** „მემფის გრიზლისის“ შემადგენლობა შეავსო. 23 წლის კალათბურთელმა 2 მილიონ დოლარად შეფასებული ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

23 წლის პარგო 2009 წლის დრაფტზე არ აირჩეს და მან პროფესიული კარიერა ევროპაში დაიწყო, სადაც ისრაელის „ჰაპოელისა“ და „მაკაბის“ შემადგენლობაში თამაშობდა.

■ ■ ■

გარდა იმისა, რომ **ვინს კარტერი** გაუშვა, „ფინიქსმა“ ვინმე **ჯანი ლოუელი** გაიფორმა, რომელიც დრაფტის მეორე რაუნდში იყო არჩეული. მისი სტატისტიკა D-ლიგისთვისაც კი მოკრძალებულია, ამიტომაც გაურკვეველია რა გამოუვა NBA-ში.

პარალელურად, ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა ვეტერან ფორვარდ **გრანტ ჰილთან**. 39 წლის კალათბურთელი, რომელიც გასულ სეზონში 13.2 ქულას, 4.3 მოხსნასა და 2.5 შედეგიან პასს აგროვებდა, 2011-12 წლების სეზონში 6.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

ფორვარდი **ვლადიმირ რადმანოვიჩი** კარიერას „ატლანტა ჰოქსში“ გააგრძელებს. კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, გარიგების დეტალები არ ხმაურდება. შარშანდელ სეზონში 31 წლის კალათბურთელი (2001 წლის დრაფტის 21-ე ნომერი) „გოლდენ სტეიტის“ რიგებში 5.1 ქულასა და 3.9 მოხნას იხვეჭდა.

■ ■ ■

„დეტროიტის“ ხელმძღვანელობამ გამოისყიდა სასტარტო ხუთეულის მცველის **რიჩარდ ჰემილტონის** კონტრაქტი. ხელშეკრულება 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე იყო ძალაში და მისი მიხედვით მცველს კიდევ 25 მილიონი ერგებოდა.

ჰემილტონს, რომელიც შარშან საშუალოდ 14.1 ქულას აგროვებდა, „ბოსტონი“ და „ჩიკაგო“ ეპატიჟებიან.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტმა“ სამი წლით შეინარჩუნა **ჯეიმს ჯონსი** და ამავე ვადით გაიფორმა გამთამაშებელი **მარიო ჩელმერსი**.

ჯონსი სამ სეზონში 4.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, ჩელმერსი - 12 მილიონს. ჯეიმსმა გასულ ჩემპიონატში საშუალოდ 5.9 ქულა დააგროვა, ჩელმერსის სტატისტიკა კი 5.4 ქულასა და 2.5 შედეგიან პასს უდრიდა.

# როი და ბილაპსი მიდიან

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ მცველი **ბრენდონ როი** უახლოეს ხანში პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადებს, - წერს ამერიკული პრესა. ამის მიზეზად 27 წლის კალათბურთელი ორივე მუხლის ქრონიკულ ტრავმას ასახელებს.


ჩონსი ბილაპსი

როი 2006 წლის დრაფტზე მეექვსე ნომრად აირჩია „მინესოტამ“, რის შემდეგაც ის „პორტლენდში“ ტრეიდით გაუშვა. ამ გუნდის რიგებში ბრენდონმა ხუთი სეზონი გაატარა და საშუალოდ 19.0 ქულა, 4.3 მოხსნა და 4.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

შეგახსენებთ, უფრო ადრე „პორტლენდის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ახალახან გახსნილ საწვრთნელ ბანაკში როის მონაწილეობის იმედი აქვს.

■ ■ ■

ასევე კარიერის დასრულებას აპირებს ვეტერანი გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**. როგორც უკვე ვწერდით, ეს კალათბურთელი მისმა ბოლო კლუბმა - „ნიუ იორკმა“ შემადგენლობიდან დაითხოვა და ეტყობა, ჩონსის კალათბურთზე გული აუცრუვდა.

ბილაპსის აგენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კლუბის გადაწყვეტილების გაგების შემდეგ ჩონსიმ ისე დატოვა „ნიქსის“ ოფისი, რომ არავის გამოლაპარაკებია.

## კვალიფიკაცია ვენესუელაში

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირის მასპინძელი ქვეყნები დაასახელა. მამაკაცები ლონდონის ოლიმპიადის დარჩენილ სამ საგზურს ვენესუელაში გაითამაშებენ. ტურნირის მასპინძლობაზე აგრეთვე პრეტენზიას აცხადებდნენ ლიტვა და დომინიკის რესპუბლიკა.

შეგახსენებთ, რომ მამაკაცთა საკვალიფიკაციო ტურნირის (2-8 ივნისი) პირველ ეტაპზე მონაწილე გუნდებს ოთხ ჯგუფში გაანაწილებენ (თითოში სამ-სამი). ნაკრებები გეოგრაფიული პრინციპით იქნებიან განთესილნი: პირველი კალათა - რუსეთი, საბერძნეთი, ლიტვა, მაკედონია; მეორე კალათა - პუერტო რიკო, ვენესუელა, დომინიკის რესპუბლიკა, ახალი ზელანდია; მესამე კალათა - ანგოლა, ნიგერია, იორდანია და სამხრეთ კორეა.

თითო ჯგუფიდან პლეი ოფში ორი-ორი საუკეთესო გუნდი გავა. მეორე ეტაპზე ისინი მეოთხედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას. ნახევარფინალებისა და მე-3 ადგილისთვის მატჩის გამარჯვებულები ოლიმპიურ თამაშებზე მოხვდებიან.

რაც შეეხება ქალთა საკვალიფიკაციო ტურნირს, რომელზეც ოლიმპიადის ხუთი საგზური უნდა გათამაშდეს, მას თურქეთი უმასპინძლებს.

## დერონის ნაცვლად აროიო

თურქეთის „ბეშიქთაშმა“ შემცვლელი მოუძებნა NBA-ში დაბრუნებულ **დერონ უილიამსს**. კლუბმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა „მაიამისა“ და „ბოსტონის“ ყოფილ გამთამაშებელ **კარლოს აროიოსთან**.

32 წლის პუერტორიკოელმა გასული სეზონი „მაიამიში“ დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით ფლორიდულმა კლუბმა მასთან კონტრაქტი გაწყვიტა. საბოლოოდ, აროიო „ბოსტონში“ ამოჩნდა და რეგულარული ჩემპიონატის 15 მატჩში საშუალოდ 2.4 ქულა და 1.7 შედეგიანი პასი დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



მარიან ჰოსა

# ოთხი დიდი სლოვაკი

ამუქმეებზე ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა.

„ჩიკაგ ბლეკჰოქსის" სლოვაკმა ფორვარდმა **მარიან ჰოსამ** „ნიუ იორკ აილენდერსთან" მატჩში NHL-ში თავისი მე-400 შაიბა გაიტანა.

ჰოსა მეოთხე სლოვაკია ლიგის ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. მანამდე ეს შეძლეს ლეგენდარულმა **სტენ მიკიტამ** (სლოვაკეთში დაიბადა), **პეტერ ბონდრამ** და **პეტერ შჩასტნიმ**. მათ შესაბამისად, 541, 503 და 450 გოლით დაასრულეს კარიერა.

როგორც ხედავთ, 32 წლის ჰოსას ამ სიაში შჩასტნის გასწრების კარგი შანსი აქვს, თავად მარიანს კი მოქმედ სლოვაკებს შორის კარგა ხანი ვერავინ დაეწევა. თანამემამულეთაგან მასთან ყველაზე ახლოს „ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი **მარიან გაბორიკია** 296 გოლით.

■ ■ ■

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო „კაროლინასა" და „მონრეალს" შორის გაცვლა.

როგორც ცნობილი გახდა, „კაროლინამ" ჩეხი მცველი **ტომაშ კაბერლე** კანადურ კლუბში გაუშვა, რითაც განთავისუფლდა ევროპელის სამწლიანი და 13-მილიონიანი კონტრაქტისგან.

„მონრეალმა" კაბერლეს სანაცვლოდ დათმო 37 წლის მცველი **იაროსლავ შპაჩეკი**, რომელმაც ამ სეზონში 12 მატჩი ჩაატარა და სამი ქულა დააგროვა. 33 წლის კაბერლეს ანგარიშზე 30 შეხვედრა და 11 ქულა (0+1) მოდის. ჩეხს უკვე ჰქონდა „კანადიენსის" შემადგენლობაში დებიუტი და „ნიუ ჯერსისთან" მატჩში ორი ქულა ჩაიწერა აქტივში.

შპეჩაკის კონტრაქტს ამ სეზონის ბოლოს ეწურება ვადა.

### 9 დეკემბერი

**ვაშინგტონი–ტორონტო 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ვიდემანი-4 (ნუბლი-6, ბექსტრიომი-20), 2:0 ვიდემანი-5 (ოვეჩკინი-12, ლეიჩი-12), 2:1 კესელი-18 (ბოჟაკი-12, ლუპული-20), 3:1 ბექსტრიომი-11 (ვიდემანი-13, სიომინი-6), 3:2 ფრენსონი-3, 4:2 ვიდემანი-6 (ჯ. კარლსონი-15, ბექსტრიომი-21).

**ბაფალო–ფლორიდა 2:1 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 როი-7 (სტეფორდი-9, ენისი-1), 1:1 გარისონი-9 (ფლიშმანი-18, ვერსტიგი-17), 2:1 პომინვიდი-10 (ჩეჩურა-3, ლეოპოლდი-5).

**ვინიპეგი–კაროლინა 4:2**

2:0, 2:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ბაფლინი-6 (ველერი-14), 2:0 ე. კეინი-15 (ველერი-15), 3:0 სტეპლტონი-3 (უელვუდი-11, ბაფლინი-14), 4:0 ლიტლი-9 (ე. კეინი-8, ველერი-16), 4:1 ფოლკი-1 (შპაჩეკი-1, ე. სტაალი-12), 4:2 ბ. სატერი-6 (გლისონი-8, შპაჩეკი-2).

**ედმონტონი–კოლორადო 4:1**

2:0, 2:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სემ განიე-2, 2:0 იგერი-2 (ბელანჟე-8, რ. ჯონსი-6), 2:1 მაკლემანი-5 (ვინიკი-7, ო'ბირნი-4), 3:1 ებერლე-11 (სემ განიე-9, ნიუჯენტ-ჰოპკინსი-18), 4:1 სემ განიე-3 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-19, ებერლე-20).

### 10 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი–მონრეალი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 პასიორეტი-11 (ე. კოული-10, ტ. კაბერლე-10), 0:2 ე. კოული-10 (დერჩი-1, ტ. კაბერლე-11), 1:2 პალმიერი-4 (ტედენბი-4, სიკორა-8).

**კოლამბუსი–ბოსტონი 3:5**

2:2, 1:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ნეში-9 (პროსპალი-16, ვიშნიევსკი-13), 2:0 ჯ. კარტერი-5 (ბრასარი-3, ვიშნიევსკი-14), 2:1 კორვო-1 (ლუჩიჩი-11, კრეისი-11), 2:2 ჰორტონი-8 (ლუჩიჩი-12, ფერენსი-7), 2:3 ხარა-6 (ლუჩიჩი-13, კრეისი-12), 3:3 უმბერგერი-5 (პალსონი-6, მაკენზი-4), 3:4 კორვო-2 (ზაიდენბერგი-6, სეგუინი-13), 3:5 კ. კელი-11 (პ. ბერჟერონი-15, მარშანი-11).

**დეტროიტი–ვინიპეგი 7:1**

2:1, 4:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლიტლი-10 (ველერი-17, ე. კეინი-9), 1:1 ბერტუცი-3 (ფრანცენი-14, ლიდსტრიომი-14), 2:1 ზეტერბერგი-6 (ფილპულა-15, კრონვალი-6), 3:1 ჰუდლერი-5 (ფრანცენი-15, დაციუკი-19), 4:1 კონერი-1 (ქლირი-5, ჰელმი-3), 5:1 ფილპულა-10 (დაციუკი-20, ი. უაიტი-9), 6:1 დ. მილერი-3 (ბ. სტიუარტი-2, ბერტუცი-7), 7:1 ჰუდლერი-6 (ზეტერბერგი-13).

**ფილადელფია–ტამპა ბეი 5:2**

0:1, 3:0, 2:1

**გოლები:** 0:1 შენონი-2 (მური-6, ჰედმანი-2), 1:1 ბრიერი-9 (სიმონდსი-6), 2:1 იაგრი-10 (კ. ჟირუ-22, ჰარტნელი-12), 3:1 სიმონდსი-7 (კ. ჟირუ-23, ტიმონენი-19), 3:2 ლეკავალიე-11 (მ-ა. ბერჟერონი-19, მელოუნი-8), 4:2 მ. კარლი-4 (ბრიერი-14, რიდი-8), 5:2 ჰარტნელი-14 (იაგრი-14, ტიმონენი-20).

**აილენდერსი–პიტსბურგი 3:6**

2:2, 1:2, 0:2

**გოლები:** 1:0 ულსტრიომი-2 (რისი-1, ბეილი-6), 2:0 იურჩინა-2 (შტრაიტი-14, ოკსოპო-6), 2:1 სალივანი-5 (ვიტალე-5, ნისკანენი-7), 2:2 ჯ. ნილი-16 (მალკინი-17), 3:2 ოკსოპო-4 (გრაბნერი-5, ჰამონიკი-4), ჯ. ნილი-17 (კუნიტცი-7, სალივანი-9), 3:4 დუპუი-9 (ტ. კენედი-8, პიკარი-1), 3:5 კუკი-7 (ტ. კენედი-9, ნისკანენი-8), 3:6 პ. მარტინი-1 (მალკინი-18, კუნიტცი-8).

**ოტავა–ვანკუვერი 1:4**

0:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ედლერი-5 (ჰ. სედინი-24, კესლერი-14), 0:2 კესლერი-6 (ჰანსენი-7, რეიმონდი-2), 0:3 კესლერი-7 (ჰ. სედინი-25, დ. სედინი-22), 1:3 გრინინგი-7 (სპეცა-19, ლი-2), 1:4 ვაისი-2 (როუმი-3).

**ბაფალო–რეინჯერსი 1:4**

0:0, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 ჰაგელინი-2 (ემინგერი-1, დელ ზოტო-10), 1:1 ვანეკი-14 (პომინვილი-21), 1:2 კელეჰანი-12, 1:3 ჰაგელინი-3 (დელ ზოტო-11, ბირონი-1), 1:4 გაბორიკი-14 (ჯ. მიტჩელი-3, ემინგერი-2).

**სტ. ლუისი–სან ხოსე 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**გოლი:** 1:0 შატენკირკი-4 (პერონი-2, არნოტი-10).

**ნეშვილი–ანაჰაიმი 3:2**

0:0, 1:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ე. გორდონი-2 (მაკიმლანი-4, ჰაგმანი-4), 1:1 სპალინგი-4 (კ. უილსონი-11, ტუტუ-7), 2:1 იოსი-1 (შ. უებერი-15, ერატი-12), 3:1 ტუტუ-4 (კლეინი-4, სმიტსონი-1), 3:2 ბოშემენი-4 (სელიანე-20, პერი-12).

**ფინიქსი–მინესოტა 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 ბროძიაკი-9 (ბუშარი-12), 0:2 მ. კოივუ-7 (ტეფი-2, ლუნდინი-1), 0:3 ბროძიაკი-10 (მ. კოივუ-19, სპარჯონი-10), 0:4 ჰიტლი-9 (სპარჯონი-11, ბუშარი-13), 1:4 კორპიკოსკი-6 (დოუნი-12, ლენგკოუ-9).

**კალგარი–ედმონტონი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 კოსტოპულოსი-3 (დ. სმიტი-3, სტაიანი-5), 2:0 იგინლა-10 (ბ. მორისონი-5, ბოუმისტერი-9), 3:0 იგინლა-11 (ო. იოკინენი-13).

**ლოს ანჯელესი–დალასი 1:2**

0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბენი-7 (რაიდერი-8, დელეი-5), 1:1 რიჩარდსონი-1 (კოპიტარი-18), 1:2 დელეი-2 (ვინკური-2, უენდელი-3).

**გია თვალაბეიშვილი**

## ● კრივი. სატიტულო ბრძოლა

# ვარსკვლავობამდე ჯერ შორია

**ამირ ხანის** ოცნება სუპერმოკრივეობასა და ლამის სუპერმენობაზე ხუხულასავით დაინგრა - ვაშინგტონში ჩასულს ადგილობრივმა მოკრივემ, 27 წლის **ლემონტ პიტერსონმა** WBA-ის ქამარიც წაართვა და IBF-საც. ამერიკელს გამარჯვება ქულებით მიანიჭეს. მსაჯების გადაწყვეტილება ერთსულოვანი არ ყოფილა.

არადა, 25 წლის ბრიტანელმა პირველი რაუნდი საუცხოოდ ჩაატარა - ორჯერ ჩააგდო მეტოქე ნოკდაუნში, თუმცა თავადაც მოუხდა გაავთრებული შეტევების მოგერიება. ხანს განსაკუთრებით მესამე და მეშვიდე რაუნდებში გაუჭირდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ორმა მონაკვეთმა გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი - ორმა მსაჯმა პიტერსონს თითო ქულით მიანიჭა უპირატესობა.

არადა, გეხსომებათ, როგორ ტრაბახობდა ამირ ხანი შაბათამდე. პიტერსონთან გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა და უფრო შორს მიდიოდა - ველტერვეითში (65,5-დან 66,7 კილოგრამამდე) უნდა გადავიდე და ამ წონის ჩემპიონის ტიტულიც უნდა მოვიგოო. თურმე სადა ხარ, ჯერ ლაით-ველტერვეითში (63,5 კილოგრამამდე) გაქვს შენი უძლეველობა დასამტკიცებელი. ბრძოლისწინა ლაპარაკი მთლიანად ხანის გრძელვადიან მომავალს ეხებოდა, თითქოსდა პიტერსონი უკვე დამარცხებული ჰყავდა.

ვაშინგტონის ბრძოლამდე მეტოქეები ასე მივიდნენ: ბრიტანელის სტატისტიკა გახლდათ 26-1. 26 გამარჯვებიდან ხანს 18 ნოკაუტით ჰქონდა მიღწეული. სხვათა შორის, ერთადერთი წაგებით იყო პიტერსონიც: 29-1-1. ის ერთი ბრძოლა 2009 წელს WBO-ს ჩემპიონ **ტიმოთი ბრედლისთან** ჰქონდა წაგებული.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა პიტერსონის მშობლიურ ქალაქში იყო დანიშნული, ხანი აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ როდესაც დარბაზში ბრიტანელის სახელი და გვარი გამოაცხადეს, ვაშინგტონის საზოგადოებამ ის კარგად მიიღო.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველი რაუნდი ხანმა საუცხოოდ ჩაატარა და მეტოქე ორჯერ ჩააგდო ნოკდაუნში, ჯერ მარჯვენა, მერე კი მარცხენა ჰუკით, თუმცა რეფერი **ჯოზეფ კუპერმა** პირველი შემთხვევა ფეხის დაცდენად ჩათვალა. მეორე რაუნდში პიტერსონი გამოცოცხლდა, მაგრამ ბრიტანელის ერთი დარტყმა მაინც გაატარა. აი, მესამე რაუნდი კი პიტერსონისთვის დიდებული, ხოლო ხანისთვის კოშმარული იყო. მეხუთე რაუნდზე იმის თქმა შეიძლება, რომ მართალია, პიტერსონი აქტიურობდა, მაგრამ ქულებით ხანმა მოიგო. მეშვიდეში კი ბრიტანელი ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა. ენარცხებოდა და ენარცხებოდა ამერიკელის დარტყმების შემდეგ ბოგირებს. მეცხრეს დასაწყისში ხანს კიდევ მოხვდა სახეში. ამ დროისათვის სახეზე ორივე მოკრივეს ეტყობოდა, რომ გვარიანად ნაცემი იყო. ბოლო დარტყმა ისევ პიტერსონისა გამოვიდა. საბოლოოდ, ორმა არბიტრმა პიტერსონის გამარჯვება დააფიქსირა: 113-112, ერთმა კი მიიჩნია, რომ 114-111 ამირ ხანმა გაიმარჯვა.

ბრძოლის შემდეგ ამირ ხანის ბანაკმა გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც წერია: „უპირველეს ყოვლისა, ლემონტ პიტერსონს ამირ ხანის წინააღმდეგ შესანიშნავ ბრძოლას ვულოცავთ. მან დაამტკიცა, რომ რამდენადაც ძლიერია რინგზე, იმდენად დიდებული პიროვნებაა ცხოვრებაში.

რაც შეეხება ბრძოლის შედეგს, ხანის ბანაკი და „გოლდენ ბოი პრომოუშენზი" ვაშინგტონის საბრძოლო სახეობათა კომისიასთან, აგრეთვე WBA-სა და IBF-თან ერთად გამოკვლევას აპირებს. გვაქვს კონკრეტული შეკითხვები რეფერი ჯოზეფ კუპერთან და შესაბამისად ქულებთან, რომლებიც საბოლოოდ დაფიქსირდა. გარდა ამისა, ვითხოვთ დაუყოვნებლივ რემატჩს, რაზეც ლემონტმა და მისმა მწვრთნელმა, ბერი ჰანტერმა უკვე განაცხადეს თანხმობა".

საკუთრივ ხანმა პირველივე ბრძოლის შემდგომ ინტერვიუში თქვა: „ასე მეგონა, ერთბაშად ორ ადამიანს ვეჩხუბებოდი. პიტერსონი ნამდვილი ველურივით იბრძოდა. ის თავს ჯიუტად დაბლა ღუნავდა და მოიწევდა, რის გამოც იძულებული ვიყავი ხელის კვრით მომეშორებინა თავიდან. მოწოლის თვალსაზრისით მან შესანიშნავად იბრძოლა, თუმცა დარტყმის სიზუსტით მთელი საღამოს განმავლობაში ვჯობდი.

ახლა რემატჩი მწყურია. აქ ვარ და მინდა ის რაც შეიძლება მალე შედგეს. ვიცოდი, რომ ვაშინგტონში გამარჯვება ძალიან ძნელი იქნებოდა. საერთოდ, ამ ქალაქში დიდი ბრძოლა 20 წელიწადია არ გამართულა, რადგან აქ მსაჯები ყოველთვის დღევანდელის მაგვარ გადაწყვეტილებებს იღებდნენ".

**ილია ბაბუნაშვილი**



ხანი ბაგირებს ენარცხებოდა

## ● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **არგენტინა** | |
| არგ. ხუნიორსი-ოლიმპო | 1:0 |
| ბელგრანო-არსენალი | 1:0 |
| **ჩილე** | |
| კოლო კოლო-ლა სერენა | 3:1 |
| აუდაქსი-უნ. კატოლიკა | 0:1 |
| კობრელოა-უნ. ლა კალერა | 4:3 |
| **ეკვადორი** | |
| ელ ნასიონალი-ლიგა დე კიტო | 2:1 |
| **პარაგვაი** | |
| ნასიონალი-გუარანი | 5:2 |
| რუბიო ნუ-სოლ დე ამერიკა | 2:0 |
| სპორტივო-ლიბერტადი | 0:0 |
| სერო პორტენიო-ხენერალი | 5:1 |
| ტაკუარი-ოლიმპია | 2:3 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-დრამასი | 83:61 |
| მარუსი-პერისტერი | 55:67 |
| **ესპანეთი** | |
| ფუენლაბრადა-სარაგოსა | 88:95 (ო) |
| მურსია-კახა ლაბორალი | 67:75 |
| სევილია-ვალიადოლიდი | 87:73 |
| ხუვენტუდი-ლაგუნ არო | 70:93 |
| ბარსელონა-უნიკახა | 72:62 |
| მანრესა-ალიკანტე | 62:76 |
| ესტუდიანტესი-რეალი | 90:85 |
| **გერმანია** | |
| ტელეკომი-ბრაუნშვაიგი | 76:80 |
| **იტალია** | |
| აველინო-მონტეპასკი | 77:83 (ო) |
| ვანოლი-კაზერტა | 77:70 |
| კანტუ-ტერამო | 84:76 |
| სასარი-ვარეზე | 90:79 |
| სკავოლინი-მონტეგრანარო | 68:71 |
| ვენეცია-მილანი | 66:72 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები. 1/8 ფინალი** | |
| რუსეთი-ისლანდია | 30:19 |
| ს. კორეა-ანგოლა | 29:30 |
| ნორვეგია-ჰოლანდია | 34:22 |
| ჩერნოგორია-ესპანეთი | 19:23 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ტრაქტორი | 2:3 (ო) |
| მეტალურგი (მ)-ავტომობილისტი | 6:3 |
| იუგრა-დინამო (მნ) | 4:3 (ბ) |
| აკ ბარსი-ს. იულიაევი | 3:2 |
| ატლანტი-ცსკა | 3:2 (ბ) |
| სევერსტალი-ტორპედო | 4:1 |
| სკა-ნეფტეხიმიკი | 4:3 |
| სპარტაკი-ლევ პოპრადი | 2:3 (ბ) |
| დინამო (რ)-ვიტიაზი | 2:0 |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ვილახი | 3:5 |
| ზალცბურგი-აკრონი | 7:3 |
| ზნოიმო-ლინცერი | 4:2 |
| კლაგენფიურტი-გრაცი | 4:3 |
| ოლიმპია-ვენა | 4:0 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-მიუნხენი | 3:2 (ო) |
| ვოლფსბურგი-მანჰაიმი | 0:1 |
| ჰამბურგი-დიუსელდორფი | 7:2 |
| ჰანოვერი-კრეფელდი | 2:5 |
| ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 7:1 |
| შტრაუბინგი-აუგსბურგი | 3:0 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-ლორენსკოგი | 2:3 (ბ) |
| სტორჰამარი-რუსენბორგი | 5:1 |
| სტიერნენი-სტავანგერი | 4:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ბისტრიცა | 4:1 |
| ნიტრა-მარტინი | 8:6 |
| პოპრადი-ჟილინა | 1:3 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 1:3 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-საიპა | 7:2 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 4:1 |
| ზლინი-პარდუბიცე | 2:6 |
| ბრნო-სპარტა | 1:2 |
| ლიტვინოვი-სლავია | 3:2 |
| ბოლესლავი-ტრშინეცი | 3:2 (ბ) |
| ბუდეიოვიცე-პლზენი | 2:3 (ო) |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 2:3 |
| მოდო-შელეფტეო | 3:4 |
| ტიმრა-ვაქსიო | 1:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი



## ციბულკოვამ გაიხადა

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მე-18 ნომერმა, სლოვაკმა **დომინიკა ციბულკოვამ** ადგილობრივ ჟურნალ Novy Cas-ის საკმაოდ თამამ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

„სანამ ფოტოსესია დაიწყებოდა და პირველ სურათებს გადავიღებდით, ოდნავ ვნერვიულობდი. მაგრამ ახლა, როცა საბოლოო შედეგს ვხედავ, შემიძლია ვთქვა, რომ მომწონს ის, რაც გავაკეთე. ასეთ ფოტოებში ცუდს ვერაფერს ვხედავ“, - ალიარა დომინიკამ.

ასევე აღვნიშნავთ, რომ ამ ფოტოსესიაში სლოვაკმა ჩოგბურთელმა ჰონორარის სახით 100 ათასი ევრო მიიღო.

## როჯერმა ვილა აიშენა



მსოფლიოს მესამე ჩოგანმა **როჯერ ფედერერმა** შვეიცარიის ალპებში 17.5 მილიონ დოლარად შეფასებული ვილა აიშენა.

როგორც ვებგვერდ Tennis Times ბლოგი წერს, ვილა გრაუბინდენის სამთო რაიონში მდებარეობს. მის გარშემო არსებული რვა ათასი კვადრატული მეტრი მამულიც ფედერერის საკუთრებაა. ეს მიწა გარს ერტყმის სამთო კურორტ ლენცერჰაიდში არსებული ტბას.

შეგახსენებთ, რომ ეს მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვილა არის აშენებული, შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა ჯერ კიდევ 2008 წელს შეიძინა, 2010 წელს კი მშენებლობა დაიწყო. ვილა შვეიცარიელი არქიტექტორის **შურერ მაურუს ფრაის** პროექტის მიხედვით არის აშენებული.

ფორმულა 1



## რაიკონენი თოვლში ამოტრიალდა

ახალი სეზონის წინ ფინელმა პილოტმა **კიმი რაიკონენმა** ავსტრიაში, ტრადიციულ Swatch Snow Mobile Race-ის შეჯიბრის დროს თოვლზე სკუტერებით რბოლაში მონაწილეობა გადაწყვიტა. სამწუხაროდ, „ლოტუს-რენოს“ ახალწვეულისთვის ეს გართობა სავალალოდ დასრულდა - ფინელი ავარიაში მოხვდა, ხელის ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში გაგზავნეს სამედიცინო შემოწმების გასავლელად.

პირველივე ცდის დროს კიმიმ ძალიან მაღალი სიჩქარით სცადა მოსახვევის გავლა, მაგრამ საჭე ვერ დაიმორჩილა და ამოყირავდა. დაცემისას მან მარცხენა ხელი დაიზიანა.

მოგვიანებით, „ლოტუს-რენოს“ პრესსამსახურმა დაამშვიდა ფინელის გულშემატკივრები - დაზიანება უმნიშვნელოა. ორშაბათს რაიკონენს კიდევ ერთხელ მოუწევს სამედიცინო შემოწმების გავლა და ინციდენტი ამოწურული იქნება.

თუმცა, სანამ სამედიცინო დასკვნას გაეცნობოდა, „ლოტუს-რენოს“ ხელმძღვანელობა, სავარაუდოდ, გვარიანად ინერვიულებდა, რადგან იქ კარგად ახსოვთ ის შოკი, რომელიც გუნდმა 2011 წლის სეზონის დაწყებამდე განიცადა, როცა რალიში ტრავმა მიიღო „რენოს“ ლიდერმა **რობერტ კუბიცამ** და ის სეზონის ბოლომდე ჩამოშორდა რბოლებს.

კალათბურთი

## ჯეფერსონი ცოლმა გალახა



უცნაური ამბავი შეემთხვა „იუტა ჯაზის“ ერთ-ერთ ლიდერ **ელ ჯეფერსონს**. ხშირია შემთხვევა, როცა პოლიცია აპატიმრებს ამა თუ იმ მამაკაც სპორტსმენს ოჯახის წევრების მიმართ გამოჩენილი ძალადობის გამო. ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მსხვერპლი კალათბურთელია, მოძალადე კი მისი მეორე ნახევარი!

ეს ქალბატონი პოლიციამ თავისი რჩეულის ცემისთვის დააპატიმრა.

ერთ საღამოს ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რომელიც მუშტი-კრივში გადაიზარდა. განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენელი აქტიურობდა, რომელმაც რამდენჯერმე დაარტყა ჯეფერსონს, თან საქმეში კბილებიც ჩართო. უსაქმოდ არც კალათბურთელი ყოფილა და ქალსაც ბევრი მოხვდა, მაგრამ პოლიციამ საოლქო ციხეში სწორედ ჯეფერსონის ცოლი გადაიყვანა.

ეს ყველაფერი კი მათი ორი შვილის თვალწინ ხდებოდა, თუმცა უცნობია, ამ კონფლიქტში ვისი მხარე დაიჭირეს ბავშვებმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




